MES 5 21 0000290619

26/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:04 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:18სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი (საკითხი I, II, IV)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (საკითხი III)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

8. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ანი ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
8	ნინო გულიაშვილი	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მერაბ ხალვაში	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი, ასოცირებული პროფესორი	I, II
2	ირაკლი კორძაია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	I, II
3	ლევან ჯაყელი		ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	I, II
4	ირაკლი გორგილაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I, II
5	მურმან გორგოშაძე		„სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
6	ადამ მახარაძე		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
7	სოლომონ მენაბდიშვილი		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I, II
8	ომარ ფარტენაძე		სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I, II
9	ირინე ურუშაძე		„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული სპეციალისტი	I, II
10	ტარიელ ებრალიძე		უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი	I, II
11	ხატია სიხარულიძე		უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სპეციალისტი	I, II
12	ტომას კრუსმანი			I, II

			პროგრამის გარე შემფასებელი	
13	კახა კუპატაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**III, IV**
14	თეა კორძაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III, IV**
15	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**III, IV**
16	თენგიზ კუპრაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
17	მამუკა შენგელია		„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
18	ია ჩხეიძე		„სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
19	მარინე მარინაშვილი		„სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ვახტანგ ჟვანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ნინო ლიპარტია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ილია წიკლაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
5	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
6	დავით ელისაბედაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	სესილი ქადარია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:04 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება №240
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421

12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - ანზორ ბერიძემ და გაიოზ ფარცხალაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვახტანგ ჟვანია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს.
„სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამაში განსაზღვრულია ზოგადი ინგლისური ენის კურსები და ასევე პროგრამა სავალდებულო წესით ითვალისწინებს დარგობრივ ინგლისურ ენასაც და კრედიტების რაოდენობა შეადგენს 25 კრედიტს, აქედან გამომდინარე სტუდენტი, რომელმაც საერთოდ არ იცის ინგლისური და სხვა ენით მოხვდა აღნიშნულ პროგრამაზე შესაძლებელია ინგლისური ენის კრედიტების რაოდენობა შეავსოს ზოგადი ინგლისურით და საერთოდ ვერ ისწავლოს დარგობრივი, რომელიც სავალდებულოა, აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, რომ ზოგადი ინგლისური ენის კურსები მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდესთავისუფალი კრედიტით გათვალისწინებულ ნაწილში, რათა ყველა სტუდენტსსავალდებულოდ მოუხდეს იურიდიული ინგლისურის გავლა;
2. იურიდიულ პრაქტიკას მიენიჭოს სავალდებულო კომპონენტის სტატუსი;
3. კონსტიტუციური სამართალწარმოება დაემატოს, როგორც სავალდებულოკომპონენტი;
4. აუცილებელია, ,,ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“,„პროფესიული ეთიკა“, „ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში“ და სხვა საგნებშიაღმოიფხვრას სასწავლო საკითხების დუბლირება, რადგან სილაბუსების შესწავლამ დაადასტურა აღნიშნული პრობლემა;
5. საგანს ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში“ განისაზღვროსპრერეკვიზიტი, რადგან საგნის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული საგნის პრერეკვიზიტის გარეშე ათვისება შეუძლებელია;
6. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ საგნებთან მიმართებაში, მითუმეტეს, როდესაც ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია, როგორც ევროპული, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემების ანალიზი, ძალიან კარგი იქნება თუ ზოგიერთ საგანში ჩაემატება შედარებითი მიმოხილვით დატვირთული სახელმძღვანელოები, რაც სტუდენტს დამატებით შესაძლებლობებს მისცემს, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ აუცილებელია სასწავლო კურსის ფარგლებში შესული იქნეს განსახილველ თემასთანმიმართებით საკითხის შედარებით სამართლებრივი ანალიზი. სალექციო კურსისფარგლებში გაძლიერდეს ქართული, ევროპული, ანგლო-ამერიკული და ადამიანისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება;
7. პროგრამის შესწავლის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა კონკრეტული სილაბუსები, მაგ., „კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის“ სილაბუსი, რომელშიც მითითებულია, რომ სტუდენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, თუ ის დაესწრება სალექციო მეცადინეობების 50%-ს, რაც მიუღებელია და გაიცა რეკომენდაცია: „კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის“ და სხვა საგნების სილაბუსებიდანამოღებულ უნდა იქნას, ჩანაწერი, რომელიც სტუდენტს ავალდებულებს დაესწროსსალექციო მეცადინეობების 50%-ს;
8. შეფასების ნაწილთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ აუცილებელია სილაბუსში მითითებული კონკრეტული აქტივობა შეფასდეს დაეს შეფასება დეტალურად უნდა აისახოს სილაბუსში, რათა სტუდენტს ქონდესმოლოდინი თუ რა აქტივობებში შეძლებს შესაბამისი ქულების მოგროვებას;
9. სილაბუსებში შეფასების კომპონენტი არ უნდა იყოს იდენტური, აუცილებელიაშეფასების ნაწილშიც იგრძნობოდეს ლექტორის ხედვა და აკადემიურითავისუფლება, აუცილებელია კონკრეტულ საგანს ქონდეს მისთვის შესაბამისიშეფასების ნაწილი;
10. აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა კერძო და საჯაროსამართლის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოდგენილი პროგრამისგანხორციელება და შენარჩუნებული იქნეს მისი მდგრადობა;
11. აუცილებელია სალექციო და სასემინარო საათები გადანაწილდეს პროგრამისა და სილაბუსებში გათვალისწინებული პირებზე, რადგან გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში სილაბუსში მითითებულია ერთი აკადემიური პერსონალი და აღნიშნულ სასწავლო კურსს უძღვება სხვა, უმეტესად აკადემიური პერსონალი;

12. აუცილებელია, სალექციოს კურსის განხორციელება უშუალოდ იმ პირის მიერ განხორციელდეს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევა და პრაქტიკული გამოცდილება;
13. აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების პროექტებში. მოხდეს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;
14. გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, რომელიც სავალდებულოდ ხელშეწყობილი უნდა იქნეს დაწესებულების მიერ, განსაკუთრებით ევროპულ უნივერსიტეტებთან; ამ მიზნით უნდა გაიზარდოს ფინანსური მხარდაჭერა;
15. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მუდმივად ხორციელდებოდეს მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;
16. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სამეცნიერო ბაზები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამას, მაგრამ მისი გამოყენება ძალიან მცირეა, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია - აკადემიურ პერსონალისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ჩაუტარდეს სპეციალური ტრენინგები, რომელებიც გაზრდის მათ ინფორმირებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ;
17. პროგრამის განხორციელების მოქნილობის გაზრდისათვის და ავტონომიურობის გაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება, რადგან გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მთელ მნიშვნელოვანი/სასწრაფო გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხდება ფაკულტეტზე, რაც მასაც უშლის ხელს განვითარებაში და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება უნივერისტეტის მიერ ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯი;
18. პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩუნების მიზნით აუცილებელია გადაიხედოს მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება;
19. გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო და პროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები, სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა;
20. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გაცდენილი ლექციების აღდგენა უნდა მოხდეს სტუდენტების ინტერესებს გათვალისწინებით და გაიცა რეკომენდაცია - გაცდენილი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მისი აღდგენა სტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში;
21. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზე დასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარება ხორციელდება ასისტენტის მიერ;
22. მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი;
23. გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტს მიერ.

15:10 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორი, მერაბ ხალვაში მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ისაუბრებდა საკითხებზე, რომლებიც სცდება ფაკულტეტის საზღვრებს, დარგობრივ საკითხებთან დაკავშირებით კი პროგრამის ხელმძღვანელი ან ფაკულტეტის დეკანი გასცემდნენ პასუხს.

რეკომენდაცია 10-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი განსაზღვრავდა აკადემიური პერსონალის რაოდენობას, რომელიც დამოკიდებული იყო სტუდენტების რაოდენობაზე. შემდეგ აღნიშნული დათქმა გაუქმდა და დაწესებულებებს მიეცათ საშუალება თვითონ განესაზღვრათ აკადემიური პერსონალის რაოდენობა. უნივერსიტეტში არსებობს 2018 წელს მიღებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლითაც დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია და შესაბამის სტანდარტში მიიღო მაღალი შეფასება. წესის მიხედვით აკადემიური პერსონალის რაოდენობა ბმაშია სტუდენტთა რაოდენობასთან, ბიუჯეტთან და სხვა. ამ მომენტში უნივერსიტეტში არის 270 აკადემიური პერსონალი შვიდ ფაკულტეტზე (თითქმის 35 საბაკალავრო პროგრამაზე), „სამართლის“ მიმართულებით კი არის 16 აკადემიური თანამდებობა, რაოდენობა არ არის უმნიშვნელო, 14 აკადემიურ პირზე უკვე გამოცხადებულია კონკურსი და კონკურსის წესით არჩეული პერსონალი მუშაობს, ხოლო ორ აკადემიურ შტატზე, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გასულ წელს დაგეგმილი იყო კონკურსის გამოცხადება, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ვერ გამოცხადდა, თუმცა აუცილებლად გამოცხადდება, კერძო სამართლის მიმართულებით არის ერთი ასოცირებული პროფესორისა და სამი ასისტენტის თანამდებობა, საჯაროს მიმართულებით არის ორი ასოცირებული პროფესორის შტატი და ორი ასისტენტ-პროფესორის.

მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნულ პროგრამას საჭიროების შემთხვევაში ექნება მუდმივი მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ არის ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია, თუ კი რაიმე ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს პროგრამის განვითარება, უნივერსიტეტი მზად არის შტატების დამატების განსახილველად.

რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია მნიშვნელოვანია და წაადგება პროგრამის განვითარებას. დაწესებულების მიღებული პრაქტიკაა აკრედიტაციის პროცესის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება და პროგრამის გაუმჯობესება. მისი მოსაზრებით დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან არ იყო სრულყოფილი კომუნიკაცია და ვერ მიაწოდეს ინფორმაცია, რადგან აღნიშნული რეკომენდაციები გასცა ექსპერტთა ჯგუფმა.

დაფინანსებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა გრანტის წესი, რაც გულისხმობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, საუბარი არ არის კონკრეტულ ფაკულტეტზე, ეს არის საუნივერსიტეტო შიდა გრანტის განაწილების წესი, რომელიც დაიწყეს 2016 წელს 80 000 ლარით და მივიდნენ 300 000 ლარამდე, 2019 წლის მონაცემების მიხედვით. 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნაში საერთაშორისო ექსპერტების მიერ აღნიშნულია, რომ შიდა გრანტის თანხების გაზრდის ასეთი დინამიკა შესაძლებელია გახდეს საფუძველი იმისა, რომ პროფესორებმა მოადუნონ ყურადღება გარე გრანტების მოზიდვაზე, ამიტომ დაწესებულებას ურჩიეს უფრო თავშეკავებულნი იყვნენ გრანტების ასეთ ზრდაზე. კონკრეტულად საზღვარგარეთ კონფერენციებზე, სემინარებზე, კონგრესებზე მონაწილეობის დაფინანსებას, 2015 წელს იყო 92 000 ლარი მთელი უნივერსიტეტისათვის, 2019 წელს კი 600 000 ლარი. რაც შეეხება ფაკულტეტების მიხედვით გამოყოფილ ქვოტებს მთლიანობაში შეადგენს 90 000 ლარს, რითიც საშუალება ეძლევა მიიღოს დაფინანსება ან ხშირ შემთხვევაში თანადაფინანსება, რათა განახორციელოს აქტივობა. რამდენიმე პროფესორმა ისარგებლა ფაკულტეტიდან და პროფესორი, რომელიც ამით არ სარგებლობს მის პასიურ მოქმედებაზე მიუთითებს და დაწესებულებას არ აქვს სხვა მექანიზმი, გარდა კონკურსის ჩატარებისა. უნივერისტეტის მხრიდან აღნიშნული პროცესი არის შეუქცევადი.

ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული ცდება ფაკულტეტის კომპეტენციებს, თუმცა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში გასულ წელს ხელფასები გაიზარდა 20-25-30%-ით და ამ ეტაპზე პროფესორის ანაზღაურება შეადგენს 2 400 ლარს, ასოცირებული პროფესორის - 2 000 ლარს და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ეს ხელფასები მხოლოდ პროგრამაზე იყო თუ მთლიან უნივერსიტეტში.
რექტორმა განმარტა, რომ მთლიან უნივერსიტეტში ასეა, აღნიშნულ პროგრამაზე კი დაწესებულებას განსხვავებული სახელფასო პოლიტიკა აქვს, კერძოდ, რამდენიმე პროფესორი, რომლებიც ქალაქის გარედან არიან მოწვეულნი განსხვავებული ხელფასი აქვთ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ ძალიან კარგი იყო საუბრის დაწყება კონკრეტულ ციფრებზე, რადგან ექსპერტთა ჯგუფს დასკვნასა და რეკომენდაციაში საუბარი ჰქონდა მოწვეული პერსონალის საათობრივ ანაზღაურებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ რეკომენდაციაში საუბარი იყო ბიუჯეტის დეცენტრალიზაციაზე.
რექტორმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საუბარში ახსენა „აკადემიური პერსონალი“, დასკვნაში კი უწერიათ „მოწვეული პერსონალი“, მანაც სწორედ ამიტომ გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მოწვეულ პროფესორებთან აქვთ განსაზღვრული წესი, იმავე ფაკულტეტზე დედაქალაქიდან მიწვეულ პერსონალს ანაზღაურება ჰქონდა 65 ლარის ფარგლებში. რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ უცხოელმა ექსპერტმა დასკვნაში დაწერა, რომ უნივერსიტეტს აქვს განუსაზღვრელი ფინანსური შესაძლებლობები, დაწესებულების წარმომადგენლებს ესმით განსახილველი პროგრამის მნიშვნელოვნება, ამიტომ მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებენ მას.
ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, ლევან ჯაყელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ უფრო მეტს ელოდა ექსპერტთა ჯგუფისგან და ნაკლებად ელოდა „მეტწილ შესაბამისობას სტანდარტებთან“, მაგრამ აღნიშნა, რომ ეს შეფასებაც დადებითია რეკომენდაციებმა შეიძლება შეიძინონ ისეთი ფორმა, რომ დაწესებულებისთვის მარტივი გახდეს შესასრულებლად, დაწესებულების წარმომადგენლებმა რეკომენდაციები პირველ რიგში დაყვეს ჯგუფებად:
I ჯგუფი - უკავშირდება ცდომილებებს, რაც გულისხმობს მცდარ და არასრულ ფაქტობრივ მონაცემებზე ან ტექნიკურ ხარვეზებზე დაფუძნებული რეკომენდაცია, მაგ., რეკომენდაცია 2, რადგან რეკომენდაციაში აღნიშნული საგანი „იურიდიული პრაქტიკა“ ისედაც სავალდებულოა და მას არ აქვს არჩევითი სტატუსი, ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს. რეკომენდაცია 3, მეშვიდე სემესტრში „კონსტიტუციური სამართალწარმოების“ სილაბუსში/სასწავლო გეგმაში დამაბნეველი აღმოჩნდა ის, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევითი მიმართულების სავალდებულო კომპონენტი, სამივე არჩევითი მიმართულების სავალდებულო კომპონენტია, არცერთი სტუდენტი არ რჩება აღნიშნული კომპონენტის გავლის გარეშე ორი 10 კრედიტიანი კომპონენტია და სილაბუსში მესამე თავში წერია მიმართულებების სავალდებულო კომპონენტი, დაწესებულების წარმომადგენლებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები. რეკომენდაცია 8 მიმართებით მან განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი კერძო სამართლის მიმართულების საგნებში, რადგან ეს ჩარჩა აღნიშნული მიმართულების საგნებში, თუმცა დაწესებულების ალგორითმი ამის გამო უფლებებში არ შეზღუდავს, არცერთ პროფესორს არ გააჩნია ბერკეტი, რომ აღნიშნული მიზეზით არ დაუშვას გამოცდაზე;
ჯგუფი II - რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მოთხოვნილი რეგულირებადი სტატუსიდან გამომდინარე და ესადაგება რჩევებს. მაგ., რეკომენდაცია 1, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ეძება და ძალიან უნდოდათ მოეძებნათ, თუ სად არის დარგობრივ მახასიათებელში ინგლისურზე გაყვანის მოთხოვნა, რადგან განსახილველი პროგრამა დაფუძნებულია დარგობრივ მახასიათებელზე და ემსახურება იმ შედეგებზე გაყვანას, რასაც დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს, დაწესებულების მხრიდან, ეს არის ბონუს შესაძლებლობა და არ არღვევს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნას, მას ესმის რომ ძალიან კარგი იქნება თუ მათი სტუდენტები ინგლისურს, განსაკუთრებით დარგობრივ ინგლისურს ისწავლიან, მაგრამ ეს შეიძლება იყოს რჩევა, რადგან რეკომენდაციები უნდა ეფუძნებოდეს დარგობრივ მახასიათებელს, შესაბამისად თუ დაწესებულება გაიზიარებს აღნიშნულ საკითხს კარგია,

რადგან ორიენტირებულნი არიან პროგრამის გაუმჯობესებაზე, თუმცა სტრუქტურა არ იძლევა ამის საშუალებას.
დაწესებულება ძირითადად დაეთანხმა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, რადგან ამ კუთხით აქვთ სამუშაო, თუმცა სხვა სტანდარტებთან მიმართებით კარგი მდგომარეობა აქვთ და ყველა რეკომენდაცია რჩევის ხასიათს ატარებს, თუმცა დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, რომ გაითვალისწინოს რეკომენდაციები, როგორც ამას აკრედიტაციის საბჭო განსაზღვრავს.
ჯგუფი IV - რეკომენდაციები, რომლებიც შინაარსით ფარავს ერთმანეთს, რეკომენდაცია 13-14, რომლებიც მოიცავს აკადემიური პერსონალის ჩართვას სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო მიმართულებებით, მისაღებია, თუმცა შესაძლებელია ერთი რეკომენდაციად ჩამოყალიბდეს.

15:35 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დადასტურა ღრმა პატივისცემა ექსპერტებისა და დაწესებულების მიმართ, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს წვდომა ყველა დოკუმენტზე,
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ყველა დოკუმენტზე წვდომა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ წაიკითხა რეკომენდაცია ბიუჯეტის დეცენტრალიზაციის შესახებ, სურდა ენახა ბიუჯეტი, გახსნა დანართი 22, სადაც ეწერა, რომ დაწესებულებამ მიიღო ბიუჯეტი, დანართი 1, რომელიც არ მოიძებნა, ამასთანავე საბჭოს წევრი დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტს აქვს ბიუჯეტი უბრალოდ მან ვერ იპოვა, შესაბამისად დეცენტრალიზაციაა საჭირო თუ გადანაწილება ვერ იმსჯელებს.
ასევე, დანართი 11 და დანართი 15, შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, საბჭოს წევრმა გახსნა ორივე დანართი და არის პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმები, სადაც წერია, რომ სხდომამ იმსჯელა და დაადგინა, დაწესებულებამ კარგად შესწავლა ბაზარი, საბჭოს წევრი დარწმუნებულია, სხდომამ იმსჯელა, მაგრამ ვერ ნახა დოკუმენტი, თუ რაზე იმსჯელა, ვინ გამოიკითხა ბაზრის კვლევის ფარგლებში და რა ფორმატით ჩატარდა კვლევა, რამდენი ადამიანი/დამსაქმებელი გამოიკითხა და რა კითხვარით. იგი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს წვდომა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე.
საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ საკმაოდ ბევრი რეკომენდაციაა გაწერილი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, რომელთაც ამომწურავი პასუხები გასცა დაწესებულებამ. იგი დაინტერესდა თუ რამდენად მოიცავს აკრედიტაციის პროცესი პროფესორების ანაზღაურებას, მისი მოსაზრებით ეს უფრო ავტორიზაციის საკითხია და აკრედიტაციის საბჭო გადის თავისი უფლებამოსილებიდან. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს შეუძლია იმსჯელოს თუ რამდენად მდგრადია პროგრამა და მდგრადობა განისაზღვრება რამდენი აკადემიური და რამდენი მოწვეული პერსონალია პროგრამაზე, თუ შეუძლიათ პროგრამის განხორციელება, რამდენია სტატუსქვო რაც არის მოცემულობიდან. მისი თქმით არის 16 შტატი და აქედან 14 შევსებულა. საბჭოს წევრმა ნახა სტუდენტების რაოდენობა მიღებების მიხედვით, თუმცა რამდენი სტუდენტი სწავლობს ამჟამად მან ვერ მოძებნა, არასწორი დასკანირების გამო. მისი მსჯელობით თუ 37 არის მოწვეული და 14 პროფესორი ჰყავთ, ეს ნიშნავს, მოწვეული პერსონალის რაოდენობა ორჯერ მეტია, რაც აჩვენებს, რომ პროგრამის მდგრადობისთვის საჭიროა მეტი აკადემიური პერსონალი, თუმცა საკმაოდ სოლიდურად არის წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა, პერსონალი არის ხარისხიანი, თუმცა კარგი იქნებოდა თუ მეტი პერსონალი განახორციელებდა და 37 პროფესორის მოწვევა დასჭირდებოდათ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება გაცდენილი საათების აღდგენა და რატომ მოხვდა აღნიშნული საკითხი რეკომენდაციაში, რადგან ეს მნიშვნელოვანია სტუდენტის შედეგზე გასასვლელად.
ინგლისურის სწავლასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ რაც უფრო მეტი უცხო ენა ეცოდინება სტუდენტს უკეთესია, რასაც არავინ უარყოფს, რეკომენდაციაც დადებითი და კარგი აქცენტითაა გაცემული, თუმცა ზოგადად ბაკალავრიატი ამბობს, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს B2 როდესაც დაამთავრებს მაგისტრატურას, იგივე ვრცელდება სამართალზეც, რადგან სამართლის დარგობრივი არ ავალდებულებს დარგობრივი ინგლისურის ცოდნას, აღნიშნული რეგულაცია ხვდება ზოგადი საბაკალავრო სტანდარტების ფარგლებში, ამიტომ საბჭოს წევრი უნივერსიტეტს ხარვეზად ვერ ჩაუთვლიდა, შესაძლებელია დამატებით კარგია, მაგრამ თუ შესაძლებლობა არ არის ხარვეზად ვერ ჩაითვლება.
რეკომენდაცია 4-თან დაკავშირებით საბჭოს წევრის თქმით განცხადებით ძალიან მნიშვნელოვანია „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, ერთი მხრივ წერია, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არ არის სავალდებულო, თუმცა დარგობრივის მიხედვით უნდა იყოს სავალდებულო, მან კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ რას ნიშნავს არჩევითის სავალდებულო, არის თუ არა შესაძლებელი, რომ არ აირჩიოს სტუდენტმა, სტუდენტმა დაასრულოს სწავლა ისე, რომ არ გაიაროს აღნიშნული საგანი, რადგან თუ ასე დაასრულებს ვერ გავა კვალიფიკაციაზე.
რეკომენდაცია 9-თან დაკავშირებით საბჭოს წევრისთვის გაუგებარია, აღნიშნული პრობლემა არის ყველა სილაბუსში თუ რამ გამოწვია აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა.
რეკომენდაცია 23-თან (არგუმენტირებულ პოზიციაში რეკომენდაცია 41) დაკავშირებით განაცხადა, რომ არგუმენტირებული პოზიციის თანახმად დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას, საბჭოს წევრი დაინტერესდა საერთოდ ჰქონდა თუ არა პროგრამას გარე შეფასება, თუ არსებობს რამ გამოიწვია რეკომენდაცია.
საბჭოს წევრის მოსაზრებით პროგრამა აგებული, გააზრებულია, გადის შედეგებს თუ აღნიშნულ საკითხებს გაეცემა პასუხები.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ მისთვის რთულია რეკომენდაციასა და რჩევას შორის ზღვრის გავლება, მისთვის გაუგებარია მასშტაბი, რადგან ერთ-ერთ რეკომენდაციაში ეწერა, რომ სილაბუსში წერია აფილირებული პროფესორი, მაგრამ რეალურად კითხულობდა მოწვეული. დაინტერესდა ეს მასშტაბურად ხდებოდა თუ არა, რომ სილაბუსში ეწერა აფილირებული პროფესორი და რეალურად არ კითხულობს, ანუ მხოლოდ სილაბუსის ავტორია.
საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა მასშტაბით, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ახსენა ძველი ლიტერატურა, ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია, რომ სასურველია მისი ამოღება ეს მასიურად იყო თუ რამდენიმე ადგილას შეხვდათ.
საბჭოს წევრმა გაიხსენა რექტორის ფრაზა, რომ დაწესებულება ყველანაირ სერვისს სთავაზობს პროფესორებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც არ ჩაერთვება სამეცნიერო კვლევით პროექტებში, რადგან პასიურები არიან, თუმცა დაწესებულებას ძალიან კარგი მაჩვენებელი აქვს, საბჭოს წევრი დაინტერესდა არსებობს თუ არა აკადემიური პერსონალის შეფასების წესი და ითვალისწინებს თუ არა კვლევაში მონაწილეობას.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს პროფესიონალური და ანალიტიკური პრეზენტირებისთვის, რომელმაც ბევრი რამე დაანახა საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაცია 11-ზე, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წერია, რომ სალექციო და სასემინარო საათები აუცილებელია გადანაწილდეს პროგრამასა და სილაბუსებში გათვალისწინებულ პირებზე, ვინაიდან ინსტიტუციას აქვს ვალდებულება, რომ პროგრამა გასაჯაროებული, ვებ გვერდზე ატვირთული იყოს,

გარკვეულწილად შესაძლებელია დაინტერესებული პირები შეცდომაში შეიყვანოს, რადგან მოლოდინი იყოს სხვა პროფესორის და რეალურად დახვდეთ სხვა. საბჭოს წევრი დაინტერესდა ზემოაღნიშნულის ახსნით და რამდენად მასშტაბურია.
რეკომენდაცია 12-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რამდენად მწვავედ დგას აღნიშნული საკითხი, მისი თქმით გადახედა CV-ებს და ორი პროფესორის, ერთ-ერთ მათგანი კითხულობს სამართალს, რომელშიც მხოლოდ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი აქვს და არანაირი სხვა პროფესიული გამოცდილება CV-ში არ წერია, მეორე კი არის ასისტენტ პროფესორი 2013 წლიდან, თუმცა არ აქვს დოქტორის ხარისხი, რაც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. საბჭოს წევრი დაინტერესდა CV-ში არ არის დაფიქსირებული თუ რატომ მოხდა ასე.
მისი მოსაზრებით რჩევა 6 (აუცილებელია, სალექციო საათების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას გონივრული დატვირთვის ჩარჩოები) რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო, რადგან აღნიშნული რჩევა ბადებს კითხვას იმის შესახებ, რომ პროფესორები არიან გადატვირთულები და ხარისხის კუთხით, ასევე, საინტერესოა რა მასშტაბებზეა საუბარი, საათობრივი დატვირთვა რამდენია, რათა საბჭოს წევრებმა შეძლონ დასკვნების გამოტანა.
რჩევა 14-თან (აუცილებელია გაძლიერდეს და მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარებოდეს პერსონალის მიერ სალექციო და სასემინარო საათების ჩატარება) საბჭოს წევრმა აღიქვა, როგორც თითქოს საერთოდ არ ტარდება, შესაბამისად აღნიშნული რჩევა არ არის, რადგან საფრთხის შემცველ ნიშნებს შეიცავს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სთხოვა დაეზუსტებინათ, რადგან შესაძლებელია საბჭოს წევრი არასწორად იგებდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რჩევა 6, 11, 14 ყველგან არის „აუცილებელია“ ჩანაწერის ფორმატი არის რეკომენდაციის, ამიტომ მასაც ჰქონდა დამაზუსტებელი კითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს სიღრმისეული ანალიზისთვის და დაწესებულებას საინტერესო სტრუქტურის მქონე პროგრამის წარდგენისთვის, მიუხედავად იმისა, რომ დარგის სპეციალისტი არ არის, დარგობრივი მახასიათებლის შექმნის კოორდინაციამ გარკვეული წარმოდგენები შეუქმნა, აქედან გამომდინარე, მისი კითხვა, როგორც დარგის არა სპეციალისტის შესაძლებელია გულუბრყვილოც კი იყო, მაგრამ დაზუსტებისთვის სურდა ეკითხა. მისი თქმით ექსპერტთა რეკომენდაცია „სასამართლო მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში“ წინაპირობის მითითების თაობაზე მიიპყრო მისი ყურადღება და ჩახედა, როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსში და „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ ზოგადი და კერძო ნაწილად დაყოფა არც ერთ უნივერსიტეტში შეხვედრია, ძალიან მოეწონა და ჩათვალა კარგად არის დაყოფილი. მან განაცხადა, რომ „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“ ზოგადი ნაწილი მტკიცებულებები განხილულია ერთ თავად, მისთვის გასაგებია, რომ დაწესებულებამ „სასამართლო მტკიცებულებები სამოქალაქო სამართალში“ შემოიტანა სასწავლო კურსად და სავალდებულო არჩევით კურსად შესთავაზა სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებისთვის, მაგრამ საბჭოს წევრისთვის ცნობილია, რომ მტკიცებულებები ძალიან დიდი თემაა და დიდი მოცულობის მასალაა, აქედან გამომდინარე დაინტერესდა რამდენად შეიძლება დაიფაროს ერთ თემაში თუ სტუდენტი არ აირჩევს სავალდებულო არჩევით საგანს, კერძო ნაწილში კი მტკიცებულებებზე საერთოდ არ არის საუბარი, ანუ სტუდენტს ცოდნა მტკიცებულებების შესახებ უნდა შეექმნას ზოგადი ნაწილის ზემოაღნიშნული ერთი თემით და რა მოხდება თუ სტუდენტი სავალდებულოდ არ აირჩევს სასწავლო კურსს „სასამართლო მტკიცებულებები სამოქალაქო სამართალში“.
საბჭოს წევრი დაინტერესდა ბაკალავრის კურსდამთავრებულს თუ აქვს ადვოკატად მუშაობის დაწყების უფლება და იმ შემთხვევაში თუ აქვს ამის უფლება მტკიცებულებების ის ერთი თემა, საგნის არ არჩევის შემთხვევაში, რამდენად საკმარისია პრაქტიკული საქმიანობისათვის.
ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ პასუხისმგებელი იყო მეოთხე სტანდარტზე და შესაბამისად მან იკვლია ძალიან ბევრი დეტალი. მან უპასუხა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს,

რომელმაც განაცხადა, რომ ბიუჯეტი არ იყო დანართებში. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ დანართი 7-ში ორივეა წარდგენილი, მეორე ფურცელზეა ჩაშლა, ექსპერტი გაეცნო დოკუმენტს და იხელმძღვანელა, როდესაც გასცა რეკომენდაცია საათობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მისი თქმით ინტერვიუების დროს ბევრი ისეთი საკითხი გამოიკვეთა, რომლებთან დაკავშირებითაც დოკუმენტაციის შემოწმებისას კითხვა არ დასმულა. ინტერვიუს დროს პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა არის რეგიონული უნივერსიტეტის და რეგიონები არ არიან განებივრებული კვალიფიციური კადრებით, აქედან გამომდინარე შესაბამისი ანაზღაურების გათვალისწინებითაც რთულია მაღალკვალიფიციური კადრის მიზიდვა, რომელიც პროგრამის განვითარებისათვის დასჭირდებათ. სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს ანაზღაურების საკითხი, როდესაც ერთიდაიგივე ხელფასი ეძლევა მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, ეს ნაწილი უნდა გადაიხედოს პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის. ექსპერტი ვერ ხედავს დაწესებულების ბიუჯეტსა და შიდა ნაწილს, რაც მათივე გადასაწყვეტია, თუმცა როგორც გარე ექსპერტს მიაჩნია, რომ ვინაიდან პროგრამა ძირითადად აგებულია მოწვეულ პერსონალზე, ამის გათვალისწინებით მდგრადობის შესანარჩუნებლად, კარგი ხარისხის პროგრამის უზრუნველსაყოფად, ექსპერტის მოსაზრებით მოწვეული პროფესორების ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობაა.

აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ როგორც რექტორმა უკვე გააჟღერა პროგრამას ყავს 16 პროფესორი, ექპერტის თქმით პრობლემა არის არა რიცხვში, არამედ განაწილებაში, მას ამომწურავად აქვს შესწავლილი პერსონალის პირადი საქმეები, ექსპერტს დარჩა განცდა, რომ კერძო სამართალი დგას ერთ ასოცირებულ პროფესორსა და სამ ასისტენტზე, მაშინ როდესაც აღნიშნული პროფესორი მითითებულია არაერთ სილაბუსში, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე, იგი ასევე არის 3-4 უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, აქედან შეიძლება დასკვნა, რომ ეს საშიშია პროგრამის მდგრადობისათვის. იგივეა საჯარო სამართალშიც, თუმცა რექტორმა განაცხადა, რომ ორი ასოცირებული პროფესორი ყავთ ამ მიმართულებით, ერთ-ერთი მათგანი კონსტიტუციონალისტია და აღნიშნულ მიმართულებას ხელმძღვანელობს, მეორე კი სხვა მიმართულებას ხელმძღვანელობს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი საჯარო სფეროშია, აბსოლუტურად სხვადასხვა მიმართულებებით საქმიანობენ, ამის გათვალისწინებითა და სიღრმეები განხილვით დადგინდა - არის სამი ასისტენტია და ორი არის საჯარო სამართალში, ასისტენტებთან გასაუბრებამ დაადგინა, რომ ისინი უძღვებიან მხოლოდ სემინარებს, ამ შემთხვევაში საინტერესოა ვინ უძღვება ლექციას, როდესაც ერთი ასოცირებული პროფესორია კერძო სამართალში და ორი საჯაროში, ოღონდ საერთაშორისოსა და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით. რამდენიმე ვარიანტია: სხვა რაღაც ხდება და ექსპერტი ვერ იგებს, ან რამე დაფარული ვითარებაა, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ექპერტს შეექმნა მოსაზრება, რომ პროგრამის განხორციელებას შეექმნას საფრთხე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენად მოახდინა ექსპერტთა ჯგუფმა მიღებული შედეგის ვალიდაცია, ვერიფიკაცია ანუ გადამოწმება, რადგან ერთია რა თქვეს და მეორე დოკუმენტური მტკიცებულებები.

ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ შეისწავლა ყველა დოკუმენტი, რომლებიც მასთან მივიდა, ასევე აღნიშნა, რომ მიწოდებული პროგრამა და პირადი საქმეები არის საკმაოდ ნაკლოვანი, ხელს უშლიდა სრული სურათის შესწავლას.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით მონიშნულია მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან, ექსპერტის მიერ აღწერილი სურათი გაურკვევლობას ქმნის.

ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ ვითარება ისეთია, როგორიც აღწერა. მან განმარტა, რომ იურისტების განხილვის თანახმად ყველას აქვს თავისი შეფასებითი კატეგორია, მან არსებული სურათი ისე დაინახა, რაზეც უკვე ისაუბრა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ვითარება და შეფასება უნდა იყოს თანხვედრაში, რადგან ექსპერტთა ჯგუფის შეფასება უფრო ნათელი იყოს საბჭოს წევრებისთვის და ვითარება თუ ისეთი მწვავეა, როგორც ექსპერტმა ისაუბრა, შეფასება არ უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის. თუ ვითარება მწვავე არ არის შეფასება ვალიდურია და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ვახტანგ ჟვანიას მოსაზრებით კითხვები რეკომენდაციების შესახებ გამოიწვია იმან, რომ სწრაფად გაიარა რეკომენდაციების ნაწილი და არ გააკეთა განმარტებები მასზე. მან განაცხადა, რომ დარგობრივი ინგლისურის შესახებ რეკომენდაციით ექსპერტთა ჯგუფი არ ითხოვს მის სავალდებულო სასწავლო კურსად დამატებას, თვითონ პროგრამას აქვს სავალდებულო კომპონენტად გამოყოფილი აღნიშნული საგანი, მაგრამ დარგობრივ ინგლისურამდე მისვლის სისტემა ისეა ჩამოყალიბებული, რომ სტუდენტი, რომელმაც არ იცის ინგლისური და სხვა ენით მოხვდა პროგრამაზე თეორიულად არ აქვს შესაძლებლობა, რომ აღნიშნული საგანი გაიაროს, ანუ პროგრამა ისეა მოწყობილი, რომ სტუდენტმა შესაძლებელია სავალდებულო საგანი ვერ გაიაროს, პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, ზოგადად უცხო ენას გამოყოფილი აქვს 25 კრედიტი და ზოგადი უცხო ენის კურსები იმდენია, რომ სტუდენტმა 25 კრედიტი შესაძლებელია ამოწუროს A2.2-მდე რომ მივა და პროფესიული ინგლისური ვეღარ გაიაროს. უნივერსიტეტის მხრიდან იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ „პრაქტიკა“ და „კონსტიტუციური სამართალწარმოება“ ისედაც სავალდებულო ნაწილშია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს იმ დოკუმენტაციით, რაც მათ მიუვიდათ, პროგრამაში როგორც „კონსტიტუციური სამართალწარმოება“, ისე „პრაქტიკა“ არის არჩევით ნაწილში, რისი გაზიარებაც შეეძლო.
ფაკულტეტის დეკანმა, ლევან ჯაყელმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გაეზიარებინა აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მიეცემოდა დოკუმენტის გაზიარების საშუალება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დანართი 7-შია წარდგენილი, რაც შესაძლებელია საბჭოს წევრებამდე ვერ მივიდა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო.
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით კითხვაზე მან უპასუხა, რომ გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა აღნიშნული მოცემულობა კერძო სამართლის მიმართულებით არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ძალიან ბევრ სილაბუსშია მითითებული, მათ თეორიულადაც კი არ ჰქონდათ ამდენი საგნის წაკითხვის შესაძლებლობა, გარდა ამისა ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ სილაბუსებზე ერთი ადამიანია მითითებული და გამონაკლის შემთხვევებში პასუხობს მოწვეული პერსონალი.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა იყო თუ არა ეს გამონაკლისები და არა მასშტაბი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს იყო გამონაკლისები.
ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განმარტა, რომ კერძო სამართლის მიმართულებაზე ძირითადად ასეა.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ იკითხა, კითხულობდა თუ არა ის ადამიანი საგანს ვინც სილაბუსში იყო.
ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ ფიზიკურად ვერ წაიკითხავს პროფესორი, რადგან ბევრ სილაბუსზეა საუბარი.
გაცდენილი საათების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ვახტანგ ჟვანიას თქმით სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ როგორც კი რაღაც საგანი ცდებოდა და საუბარი იყო აღდგენაზე, უფრო მეტად აღდგენის თარიღის დანიშვნა ორიენტირებული იყო არა სტუდენტებზე, არამედ აკადემიური პერსონალის განრიგზე, რასაც შესაძლებელია პრობლემები გამოეწვია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენად არის ზემოაღნიშნული საკითხი სარეკომენდაციო, ერთჯერადად ხდებოდა თუ ხშირად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ რადგან სტუდენტი ამას ამბობს მისი დათვლა თეორიულად გამორიცხულია, რადგან ექსპერტთა ჯგუფი სტუდენტების ნაწილს ხვდება და რადგან წამოიჭრა პრობლემა, ანუ ამ საკითხზე რეაგირება სათანადოდ არ ხდება, როდესაც ფაქტები ფიქსირდება და ექსპერტთა ჯგუფს ვინაიდან დაეზღვია თავი და პროგრამის განვითარებისკენ გადაედგათ ნაბიჯი, ამიტომ გაწერეს რეკომენდაციაში.
ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ დასკვნაში მითითებულია კონკრეტული საგნები. შეფასებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დასკვნაში ასევე კონკრეტული საგნები, სადაც, მაგ., სტუდენტმა უნდა ჩააბაროს პრეზენტაცია, მაგრამ სილაბუსში არ არის განმარტებული როგორ შეფასდება. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას აღწერილობით ნაწილში თან ახლავს განმარტება და გააჩნია მყარი არგუმენტაცია.
მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტის, ნინო ლიპარტიას თქმით მის მიერ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მკაცრი რეკომენდაცია, რომ უნდა მოხდეს აკადემიური პერსონალის ზრდა.
კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ რექტორმა საკმაოდ ამომწურავი და მიმზიდველი რიცხვები დაასახელა შიდა გრანტთან და ა.შ., სამეცნიერო კვლევა, სამეცნიერო წახალისება, პროფესიული განვითარება და რაიმე სახის მხარდაჭერა ძალიან მწირი ინფორმაცია მიიღეს ექსპერტებმა აკადემიური პერსონალისგან, მხოლოდ ორ გაცვლით პროგრამას ასახელებდნენ, სადაც უნივერსიტეტმა მხარი დაუჭირა და მისი სახელით მონაწილეობდნენ ეს იყო უკრაინასა და ყაზახეთში, მეტი არ დაუსახელებიათ, ხოლო, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიურ პერსონალთან შიდა გრანტთან დაკავშირებით დასვა კითხვა, არსებობს თუ არა აღნიშნული სისტემა, მათ შესაბამისი პასუხი არ გაუციათ, ანუ თუ არსებობს არათუ ათვისების პრობლემა აქვთ, არამედ არც იციან რომ არსებობს, რადგან ასეთი პასუხები იყო, აღნიშნული მისთვის ყველაზე კარგად ცნობილია, რადგან შესაბამის სტანდარტზე იყო პასუხისმგებელი. ხოლო რაც შეეხება პროფესიულ აქტივობას, პასუხი იყო შემდეგი, რომ მათთვის 10 000 ლარია გამოყოფილი მთელ პროგრამაზე, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევას, საქმიანობას, კვლევის მხარდაჭერასა და პროფესიულ საქმიანობას, ზემოაღნიშნული ბიუჯეტი არის ძალიან მცირე და რასაც ახერხებს მთელი პერსონალი ეს მხოლოდ მათი დამოუკიდებელი საქმიანობით ორ პერსონალზე იყო საუბარი, რექტორის მიერ ნათქვამი კი არ დადასტურდა, ექსპერტებმა ინფორმაცია ვერ მიიღეს.
გაცდენებთან დაკავშრებით ექსპერტმა განმარტა, რომ ლექციის გაცდენები და აღდგენებთან დაკავშირებით ისაუბრეს, როგორც კურსდამთავრებულებმა, ასევე სტუდენტებმაც.
ექსპერტს, ილია წიკლაურის მოსაზრებით არსებული ვითარება საკმაოდ მწვავედ არის წარდგენილი დასკვნაში, ექსპერტები იყენებენ ტერმინებს: „რეკომენდირებულია“, „საჭიროა“, „მიზანშეწონილია“, ამ შემთხვევაში კი გამოყენებულია ტერმინი „აუცილებელია“, მისი მოსაზრებით დასკვნის ფორმატში საკითხის ამაზე მწვავედ გადმოცემა შეუძლებელია.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განმარტა, რომ საბჭოს წევრი გულისხმობდა სტანდარტების შეფასებებს, რომლებზეც ყველაზე მითითებულია - „მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს“.
საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის განმარტებით „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტებს“ გულისხმობს, რომ დიდი დრო სჭირდება არსებული ხარვეზების გასწორებას, ხოლო „მეტწილად შეესაბამება სტანდარტებს“ შედარებთ ნაკლებ დროს მოიცავს. ვინაიდან საბჭოს წევრები არ დარჩნენ გაუგებრობაში ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ნათელი მოეფინათ აღნიშნული საკითხისათვის.
ექსპერტმა, ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს მათი მიგნებები გააცნეს, დაწესებულებას არანაირი გამაქარწყლებელი არგუმენტაცია არ წარუდგენია, მეტიც დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უთხრეს, რომ

იცოდნენ არსებული ვითარების შესახებ და მზად იყვნენ შესაბამისი კონკურსების გამოსაცხადებლად, რადგან ამ ეტაპზე მათ პანდემიამ შეუშალა ხელი, ამიტომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, დანართი 7-ში, რომელსაც ბიუჯეტი აწერია შემოსავალი, მინუს პერსონალის ხარჯი და რაც, დარჩა ზედნადები ხარჯი, ამაზე დაწერა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ მისი დეცენტრალიზაციაა საჭირო, თუ რამე სხვა დოკუმენტიც ნახეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო თუ რა დოკუმენტს ხედავდა საბჭოს წევრი.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გაირკვა საკითხი, რომ ბიუჯეტი არ არის დანართი 22-ში და დანართი 7-ში არის, იგი დაინტერესდა დაიწერა თუ არა რეკომენდაცია აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.
ექსპერტის, ნინო ლიპარტიას თქმით ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუს შედეგად მიიღო ინფორმაცია, რომ აღნიშნული ბიუჯეტი სრულად მიედინება დაწესებულებასთან და შესაბამისად საჭიროა ფინანსური დამოუკიდებლობა ჰქონდეს პროგრამის განმახორციელებელ პირს, თუნდაც განსაზღვროს მისი ფინანსური საჭიროებებიდან, მოახდინოს წახალისება, სტატია დაუფინანსოს თუ ა.შ. პროგრამის განვითარებისათვის შესაბამისი ავტონომია წაახალისებდა აღნიშნულს.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ამს აინტერესებდა ფაქტობრივი მასალა, რომელზეც მოპოვა ინფორმაცია, ანუ ეს არის დანართი 7 და ინტერვიუები.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე გამოეხმაურა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ მსჯელობას, იგი დაინტერესდა თუ რა პრინციპით მიმდინარეობს შესარჩევი კონკურსი, როგორ დადგენილი წესი და პირობები, ასისტენტ პროფესორს, დოქტორის ხარისხის გარეშე ჰქონდა თუ არა უფლება დაეკავებინა აღნიშნული თანამდებობა, მან აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არის ჩანაწერი 35-ე მუხლის ბოლო პუნქტი, სადაც დაშვებულია შესაძლებლობა, რომ პროფესიული გამოცდილებით, პრაქტიკული მომზადებით დადგინდეს კვალიფიკაციის შესაბამისობა დოქტორის აკადემიური ხარისხის გარეშე. საბჭოს წევრი დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას წესდებაში გათვალისწინებული უმაღლესი განათლების კანონის ზემოაღნიშნული მუხლი.
რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევა უნივერსიტეტში არა თუ ამ პროგრამაზე, არამედ საერთოდ არ არსებობს, უნივერსიტეტის წესდებაში გაწერილია, ასისტენტ პროფესორის თანამდებობა სამეცნიერო ხარისხის არ მქონე პირს არ უკავია და ვერავინ დაასახელებს, მისთვის უცნობია ამ წესის ამოქმედებამდე თუ ხდებოდა და დალექილი იყო ვინმეს CV-ში.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ზუსტად ამ მიზეზით იკითხა, რადგან შესაძლებელია CV-ში არ იყოს ასახული ბოლო ინფორმაცია.
რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განაცხადა, რომ სრული პასუხისმგებლობით შეუძლია თქვას, რომ მსგავსი შემთხვევა, არა თუ ფაკულტეტზე, არამედ მთელ უნივერსიტეტში პირს, რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხარისხი და უკავია ასისტენტ პროფესორის თანამდებობა არ არსებობს.
გრანტებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ადამიანს სმენა და ხედვა არ უნდა ჰქონდეს, როდესაც ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, ვრცელდება უნივერსიტეტის შიდა ქსელით, E-flow სისტემით ყველა პროფესორს მიეწოდება ინფორმაცია და ამ ფაკულტეტიდან სამ ჯგუფს აქვს მოგებული შიდა გრანტი, მასში არიან იურისტებიც, რა ლოგიკას ექვემდებარება, რატომ არ იციან, მისი მოსაზრებით თუ ადამიანი არის პასიური არ კითხულობს და არ ეცნობა არაფერს მისი პრობლემაა, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი ვერაფერს გააკეთებს, უნივერსიტეტისგან ინფორმირებულობა ნამდვილად არის, როდესაც დაიწყეს გრანტების პროექტის განხორციელება დიდი ენერგია დასჭირდათ, რომ რაც შეიძლება მეტი განაცხადი შესულიყო და მეტი პროფესორი ჩართულიყო, პირველ 2 წელს თანხაც კი რჩებოდა, რადგან განაცხადების რაოდენობა იყო ძალიან ცოტა, მთელი რიგი სამუშაოები გასწია

უნივერსიტეტმა, რათა მეტი პროფესორი ჩართულიყო აღნიშნულ პროექტში, ფაკულტეტიდან არიან ადამიანები, რომლებმაც შეიტანეს განაცხადი, მაგრამ უარი მიიღეს კომისიისგან ამ დროს ისინი ფიქრობენ, რომ ვიღაცამ დაჩაგრა, ორი გრანტია გატანილი იურიდიულიდან, ასევე არის ფსიქოლოგიიდან, საერთაშორისო ურთიერთობებიდან, სოციალური მეცნიერებებიდან და ა.შ.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა, თუ პასიურია პროფესორი, აისახება თუ არა მის შეფასებაზე.
რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განმარტა, რომ მათ აქვთ შეფასების წესი, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სამეცნიერო აქტივობის და ზუსტად აქ ხდება მისი ასახვა, სტატიების გამოცემა, რა რეიტინგია გამომცემლობებში ხდება გამოცემა და ამის შემდეგ ენიჭება ქულები და ა.შ., სპეციალური პლატფორმაა გაკეთებული და ასევე არსებობს პერსონალის არჩევის წესი, სადაც მთელი რიგი მოთხოვნებია გაწერილი თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასოცირებული პროფესორი, ბუნებრივია ასეთივეა უნივერსიტეტშიც და განსახილველ პროგრამასთან მიმართებითაც.
მან განაცხადა, რომ გრძნობს პასუხისმგებლობას თუ რა საზოგადოების წინაშე უწევს გამოსვლა და ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბჭოს წევრებს ეჭვი არ ეპარებათ რექტორის მიერ დასახელებულ რიცხვებში, მას შეუძლია საბჭოს ნებისმიერ წევრს გადაუგზავნოს დოკუმენტაცია, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს თუ იქნებოდა მსგავსი მოთხოვნა დაწესებულებას შეეძლო მათთვის მიწოდება.
ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან ჯაყელმა ამოიკითხა პროგრამის მიხედვით „საკონსტიტუციო სამართალწარმოებას“ აქვს სამი მიმართულება, სამივე მათგანს, საჯაროს, სისხლსსა და კერძოს იცნობს სტუდენტი, ნებისმიერის დარეგისტრირების დროს სტუდენტს ავტომატურად ურეგისტრირდება 10 კრედიტი, ეს არის სწორედ „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“ და სტუდენტი არ რჩება აღნიშნული საგნის გარეშე. იგი აღნიშნული პასუხით ეხმიანება საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს და სული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ პროგრამის მე-13 გვერდზე ბოლო ნაწილში წერია: ნებისმიერი მიმართულებით დარეგისტრირებისთანავე 10 კრედიტი ავტომატურად ეკისრებათ, ერთი არის „კაზუსის ამოხსნა“ და მეორეა „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, გარდა ამისა სილაბუსშიც წერია, რომ ეს არის ყველა მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსი, შესაბამისად დარგობრივი მახასიათებლის აღნიშნული მოთხოვნა უპირობოდ დაკმაყოფილებულია. მან ასევე დაუშვა, რომ შესაძლებელია ფორმულირებაა დასაზუსტებელი, რის გასასწორებლადაც დაწესებულება სრულ მზადყოფნას აცხადებს, თუმცა საუბარია იმაზე, რომ ეს არის არჩევითი მიმართულებით სავალდებულო კომპონენტი.
რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განაცხადა, რო უნივერსიტეტი უახლოეს დღეებში განიხილავს დამატებითი შტატების გამოცხადებას კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებით.
ფაკულტეტის დეკანმა, ლევან ჯაყელმა საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ აქვთ ძალიან მკაცრი რეგლამენტი, სრული პროფესორი დატვირთულია კვირაში რვა საათი, ასოცირებული - 10 საათი და შემდეგ 12 საათი, არსებობს ამის ჩარჩო დოკუმენტი და გამორიცხულია შეცდომა, რადგან დატვირთვები მთელ პროცესებს გადის, მტკიცდება, დგინდება და ა.შ. აუდიტის სამსახურის მისვლამდე საათობრივი წესის გამოწერაც კი ექვემდებარება დათვლას, გამოთვლას, შეჯერებას, შესაბამისად არ არსებობს ისეთი წესი, რომელიც შეუძლებელია დაძლიოს აკადემიურმა პირმა.
ლექტორებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ კერძო და საჯარო სამართალს ჰყავს ხელმძღვანელები, რომლებიც ჩართულნი არიან სილაბუსის შემუშავებაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ ყველა კომპეტენცია, მაგრამ მოწვეული სპეციალისტებიც იმიტომ არიან, რომ შეივსოს ცალკეული მიმართულებები და ყველა საათის აკადემიურ პერსონალზე განაწილება მას არცერთ უნივერსიტეტში არ უნახავს, შესაბამისად არის მოწვეული პროფესორი, რომელიც შესაძლებელია სამ ჯგუფში კითხულობდეს ლექციებს, მაგრამ მოწვეულ პროფესორს ყოველ ზაფხულს თავიდან იწვევენ, მათი კვალიფიკაციის დადასტურებით, ამიტომ ვერ აწერენ მათ სილაბუსებს.

რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განაცხადა, რომ ბათუმში არის საკონსტიტუციო სასამართლო და დაწესებულება საათების მინიმალური რაოდენობით 15-30 საათის ხარჯზე იწვევენ კომპეტენტურ სპეციალისტებს და მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ესეც ზრდიდეს რაოდენობას.
ფაკულტეტის დეკანის, ლევან ჯაყელის განმარტებით მასსა და ექსპერტს შორის ნამდვილად იყო დიალოგი, როდესაც მან დაადასტურა, რომ ძალიან კარგი იქნება უფრო დიდი ანაზღაურება, რადგან ძალიან უჭირთ მოლაპარაკება, თუმცა ამით მას არ უგულისხმია პროგრამის მდგრადობის პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათუმში მოძიება პრობლემაა და საჭიროა ამ კუთხით მხარდაჭერა, ამიტომაც დაწესებულებას არ უჭირს, თუმცა კარგი იქნება შეეძლოთ უკეთესი ანაზღაურების შეთავაზება.
მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ბიუჯეტის დეცენტრალიზაციის რეკომენდაციისთვის და განაცხადა რომ, როგორც დეკანი მზად არის მიიღოს აღნიშნული რეკომენდაცია და სიამოვნებთ განკარგავს ბიუჯეტს თუ ამის საშუალება მიეცემა.
ლიტერატურასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შეუძლებელია დამატებითი ლიტერატურა სრულად იყოს ბიბლიოთეკაში, მაგრამ რეკომენდაცია ეხება დამატებით ლიტერატურასაც და მისი მოსაზრებით აღნიშნული ტიპის რეკომენდაცია სიახლეა.
„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სოლომონ მენაბდიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ პროცესის ორად დაყოფის შესახებ, მათ გაიკითხეს რამდენიმე დაწესებულებაში და სამოქალაქო პროცესი იყოფოდა ორ ნაწილად კერძო და საჯარო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ მას აარ უნახავს და მოეწონა.
„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, სოლომონ მენაბდიშვილმა აღნიშნა, რომ როგორც სისხლის სამართლის პროცესი იყოფა ორ ნაწილად ასევე უნდა დაიყოს სამოქალაქოც, მითუმეტეს როდესაც სამოქალაქოში შევიდა ცვლილებები მედიაცია და ა.შ. გამოიკითხა სტუდენტებიც, რომლებმაც თქვეს, რომ ერთ სემესტრში ამხელა საგნის დაძლევა არის ძალიან რთული და ამიტომ გაიყო, ერთი ნაწილის სილაბუსი მოიცავს მტკიცებულებებსაც, ასწავლიან ისე, როგორც არის სამოქალაქო კოდექსის მიმდევრობა მუხლების შესაბამისად ერთი ნაწილი ზოგად ნაწილსა და მტკიცებულებებსაც მოიცავს.
მისი თქმით, რაც შეეხება ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს, მას შეუძლია გახდეს ადვოკატი და უნახავს კიდეც ბათუმის სასამართლოში, როდესაც ადვოკატირებას უწევდნენ კლიენტებს, ამიტომ ამის პრობლემა არ არის, მაგისტრატურის მოთხოვნა არ აქვთ მათ საქმიანობისათვის.
აფილირებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ თვითონ არის ექსპერტის მიერ დასახელებული ერთი აფილირებული პერსონალი, უპასუხა ექსპერტის შენიშვნას, რომ რამდენიმე უნივერსიტეტშია მოწვეული და აფილირებული, რაც დაადასტურა და განაცხადა, რომ მისი ძირითადი საქმიანობა არის სალექციო საათების წაყვანა რამდენიმე უნივერსიტეტში მათ შორის ბათუმის უნივერსიტეტშიც, მან აღნიშნა, რომ 2015 წელს, როდესაც მოხდა ბათუმში მისი აფილირება დაწესებულებამ მიიღო ორი აფილირებული პროფესორი თბილისიდან კერძოს მიმართულებით არავინ იყო, 2019 წელს მეორე პროფესორმა დატოვა უნივერსიტეტი და მის ჩანაცვლებაზე ფიქრობდნენ და უნდა განხორციელებულიყო, თუმცა პანდემიამ შეუშალა ხელი, როგორც მათ უნივერსიტეტებს ისე სხვებსაც, ამ საკითხზე ზრუნავენ, ფიქრობენ და აუცილებლად აიყვანენ დამატებით კადრებს.
გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აღნიშნულ საკითხზე, ბევრი პროგრამა აქვს მიღებული ერთ-ერთი მანაც გააკეთა Erasmus-ის პროგრამაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, სოლომონ მენაბდიშვილს განმარტებისთვის. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ ბაკალავრს აქვს შესაძლებლობა ჩააბაროს საადვოკატო გამოცდა, დაიწყოს და შევიდეს პროფესიაში, მაშინ მითუმეტეს, პროცესი ძალიან დიდი დარგია და ორად კი არა შესაძლებელია სამადაც გაიყოს, მისი ინფორმაციით მტკიცებულებები ძალიან დიდი ნაწილია და ბევრი სახე არსებობს, რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტმა ისწავლოს

ერთ თემაში, რადგან პროცესი სხვა არაფერია თუ არა მტკიცებულებები და რამდენად ეყოფა სტუდენტს ერთ თემად ნასწავლი მტკიცებულებები, რომ შემდეგ დაიწყოს ადვოკატად მუშაობა, ამასთანავე აღნიშნა, რომ ძალიან კარგია მტკიცებულებების ცალკე საგნად შეთავაზება, რასაც უნივერსიტეტების დიდი ნაწილი სამაგისტრო პროგრამაში სთავაზობს ხოლმე, მაგრამ თუ სტუდენტი არ აირჩევს ამ საგანს დაწესებულება ძალით ხომ ვერ აარჩევინებს, შემდეგ კი სტუდენტი მოისურვებს საადვოკატო საქმიანობას რამდენად ეყოფა ერთი თემის ფარგლებში მიღებული ცოდნა საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად.
„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, სოლომონ მენაბდიშვილმა განაცხადა, რომ მათ აქვთ პრაქტიკა მეოთხე კურსზე, რომლის პერიოდშიც სტუდენტს შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ საკითხებს, ასევე გადიან პრაქტიკას სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, სასამართლოებში და ა.შ. ამ ყველა ცოდნას სტუდენტი უნივერსიტეტის ფარგლებში შეიძენს თუ კი ამის სურვილი აქვს, უნივერსიტეტის შემდეგ კი პრაქტიკაში ექნება საკითხები, რომლებიც პრაქტიკულად თუ ვერ გადაწყვიტა სტაჟირების დროს შეუძლებელია აითვისოს ისე.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ საათების აღდგენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის პოლიტიკა სრულად პასუხობს აღნიშნულ რეკომენდაციას, უნივერსიტეტში აუცილებელია მეცადინეობებზე დასწრება, სასწავლო საგამოცდო მასალების შეფასება და ა.შ., ვიზიტის დროს ექსპერტები თავის დასკვნაში მიუთითებენ, რომ ხდება მონიტორინგი, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და იქვე აგრძელებენ, რომ გასაუბრების შედეგად დგინდება, არაერთხელ ხდება ლექტორის შეცვლა სხვადასხვა მიზეზებით, თუკი მსგავსი ტიპის ინფორმაცია გაჟღერდა ინტერვიუების დროს შესაძლებელი იყო ექსპერტებს დაესვათ დამაზუსტებელი კითხვები და დაწესებულების წარმომადგენლები განუმარტავდნენ, ინსტრუმენტების შესახებ, რაც უნივერსიტეტში არსებობს, გაცდენები არის, რისგანაც არცერთი უნივერსიტეტი არ არის დაზღვეული თუმცა არსებობს აღდგენის წესი, თითოეული პროფესორი ვალდებულია ან წინსწრებით წარუდგინოს გეგმა/გრაფიკი გაცდენილი საათები და თუ ფაქტის წინაშე დგება და შემდეგომ დგება აღდგენის აუცილებლობა, როდესაც პროფესორი ბრუნდება უნივერსიტეტში ის იგივე გზით/ფორმით ახდენს გაცდენილი საათის ანაზღაურებას, ამასთანავე ეს ხდება ჯგუფთან შეთანხმებით და არა პროფესორზე მორგებულად.
სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ომარ ფარტენაძემ განაცხადა, რომ მას აქვს უსამართლობის გრძნობა სხდომის განმავლობაში მიმდინარე საუბრებიდან გამომდინარე, რადგან საუბარი ისეთ საკითხებზე, რომლებითაც მას ეუბნებიან - არ მუშაობს მისი დეპარტამენტი, რაც ასე არ არის, მან საბჭოს წევრებს გაუზიარა დეპარტამენტში შექმნილი აღდგენის სისტემა, პროფესორი არის, რომ შესაძლებელია კონფერენციაზე გავიდეს, საზღვარგარეთ წავიდეს ან ვირუსი დაემართოს, რაც არ ნიშნავს საათების დაკარგვას, საათები არასდროს დაკარგულა, ხდება მათი ანაზღაურება, ხდება საათების ჩანიშვნა, შეთანხმება ჯგუფებთან და იმ დროის თანახმად ხდება ყველა გაცდენილი საათის ანაზღაურება. რაც შეეხება დასწრებებს, მისივე დეპარტამენტში შემუშავებულია სპეციალური გრაფიკი, რომელიც სექტემბერში მტკიცდება და ურთიერთდასწრების გრაფიკს შემდეგ აცნობენ ყველა ლექტორს, თუმცა ვინ უნდა დაესწროს არავინ იცის, შესაბამისად ფრაზას, რომ ამ მხრივ არ მიმდინარეობს მუშაობა ვერ დაეთანხმება.
ადვოკატირების თემასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღნიშნული საგანი იკითხება ერთ სემესტრში სამ სხვადასხვა მიმართულებაზე, შეიძლება ერთი თემა იყოს თანხვედრა, მაგ., საკანონმდებლო მიმოხილვაზე, რადგან როგორც კერძო სამართლის სპეციალისტმა უნდა იცოდეს ადვოკატირება ასევე, საჯარო და ადმინისტრაციული მიმართულების სტუდენტებმა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ერთიდაიგივე საკითხს ისმენს სტუდენტს, ეს არის ერთი მთლიანი, მეოთხე კურსი, რომელიც სწავლობს სამი მიმართულებით, აღნიშნული სილაბუსი გაყოფილია სამი მიმართულებით.

ფაკულტეტის დეკანმა, ლევან ჯაყელმა განმარტა სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნათქვამი, რომ სტუდენტი ერთ საკითხს ორჯერ არ გადის.
სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელიმა, ომარ ფარტენაძემ დაადასტურა და აღნიშნა, რომ სხვადასხვა სტუდენტებთან არის. სილაბუსებში კი პირველი პიროვნება, ვინც არის მითითებული არის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, მაგრამ იმავე სილაბუსში მითითებულია განმახორციელებელი პერსონალი, რომელიც შესაძლებელია იყოს მოწვეული პერსონალი და სხვა აკადემიური პირი, ანუ ის, რომ ერთი პირი ხელმძღვანელობდეს რამდენიმე სალექციო და სასემინარო თემებს ასეთი რამე არ ხდება.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექპერტების დასკვნაში აღნიშნულია მონიტორინგის განხორციელება, რაც ნამდვილად ხორციელდება, წარმოებს ოქმებიც და დამაზუსტებელი კითხვების შემთხვევაში დაწესებულება წარადგენდა, როგორც მტკიცებულებას, მაგრამ არ ყოფილა მსგავსი კითხვა, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს მონიტორინგის განხორციელებას, მაგრამ შემდეგ დასკვნაში აქვთ გამოტანილი, რომ სასურველია მოხდეს მონიტორინგი, რაც ურთიერთსაწინააღმდეგოა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.03.2012 გადაწყვეტილება №52
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული
16		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს - ანზორ ბერიძემ და გაიოზ ფარცხალაძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. საგანებს - „დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საქართველოს ევროპეიზაცია“,„სამოსამართლეო სამართალი“, „კონსტიტუციური სამართალშემოქმედებასაქართველოში“ უნდა შეეცვალოთ სტატუსი და სტუდენტებისთვის მათიშეთავაზება უნდა მოხდეს როგორც არჩევითი დისციპლინა;
2. საგანი „მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზეგადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“ ამოღებული უნდა იყოს სამაგისტროპროგრამიდან;
3. სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მოცემულობა, რომ რიგ შემთხვევაში სილაბუსის შინაარსი აცდენილია სამაგისტრო საფეხურისთვის დადგენილ მინიმალურ

სტანდარტებს, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია - სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისისაფეხურისთვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
4. სავალდებულოა სწავლებისთვის სავალდებულო ლიტერატურად მიეთითოს ისსახელმძღვანელოები, რომელთა შინაარსი სტუდენტის მიერ არ არის დაძლეულისაბაკალავრო საფეხურზე;
5. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერსავარაუდოს პრაქტიკის გასავლელად მისაღების სტუდენტების რაოდენობა;
6. „სამოსამართლეო სამართალი“, „დემოკრატია, კანონის უზენაესობა დასაქართველოს ევროპეიზაცია“, „ადამიანის უფლებათა თანამედროვე ასპექტები“ დასხვა საგნების სილაბუსებში შეფასების ნაწილი უნდა გაიწეროს დეტალურად, ყველასასემინარო აქტივობა უნდა შეფასდეს, რათა სტუდენტებში არ გამოიწვიოსდაბნეულობა;
7. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი აკადემიურიპერსონალის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით კერძო სამართლისა და საჯაროსამართლის მიმართულებით;
8. სალექციო კურსის გაძღოლა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევისა და კვალიფიკაციის მქონე პირს;
9. აუცილებელია აკადემიური პერსონალი მუდმივად იყოს ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
10. აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო დაკვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალისმუდმივი ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში. უსდ-ს მიერ მხარდაჭერილი დაწახალისებული უნდა იქნეს პერსონალის მსგავსი აქტივობა, ხოლო შემდგომშიყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;
11. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ნებისმიერიინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ ღიად და გახსნილად მიეწოდებოდეს პერსონალს, უნივერსიტეტის მხრიდან გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ისინი ახდენენ ამის აფიშირებას, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მოსაფიქრებელია სხვა ფორმა აკადემიური პერსონალის დასაინტერესებლად;
12. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკის მიღების მიზნითაუცილებელია, პერსონალის ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში,განსაკუთრებით ევროპულ უნივერსიტეტებთან. ამ მიზნით სავალდებულოდ იქნესუზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისოკონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და სხვა მსგავსი ხასიათის პროექტებში.ამასთან, აუცილებელია მუდმივად ხორციელდებოდეს პერსონალის ინფორმირებააღნიშნული პროექტის შესახებ და უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალისსავალდებულო მხარდაჭერა უსდ-ს მიერ;
13. აუცილებელი უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის სათანადო ინფორმირებასამეცნიერო ბაზების არსებობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ. ასევე, უსდ-სმიერ მოხდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების რაოდენობის კონტროლი დაპერსონალის წახალისება მოახდინონ სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება მაღალ-რეიტინგულ გამოცემებში;
14. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსშიმითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა;
15. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნით, რეკომენდირებული უსდ-ს მიერმოხდეს დამატებითი სამეცნიერო ბაზების დამატება (მაგ, Heinonlain);
16. პროგრამის განხორციელების მოქნილობის გაზრდისათვის და ავტონომიურობისგაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება;
17. კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა დაშენარჩუნების მიზნით აუცილებელია გადაიხედოს მოწვეული პერსონალისსაათობრივი ანაზღაურება;

18. გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი პროექტების, საგანმანათლებლო დაპროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები,სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობისფინანსური უზრუნველყოფა.
19. გაცდენილი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მისი აღდგენასტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ გულისხმობს აღდგენის მექანიზმის არ არსებობას, რადგან ეს არსებობს, მაგრამ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტში არსებული წესი გამოიყენება უფრო ლექტორის ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე სტუდენტის;
20. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზედასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარებახორციელდება ასისტენტის მიერ;
21. მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი დასაგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი;
22. გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტის მიერ.
16:40 საათზე საბჭოს შემოუერთდა მაკა კაჭარავა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ადამ მახარაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ყველას სხდომისათვის, და აღნიშნა, რომ მათი ენერგია მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისაკენ.
მისი თქმით შეადარა საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხურის რეკომენდაციები და აღმოჩნდა, რომ ექვსი რეკომენდაცია განსხვავებულია, შესაბამისად მხოლოდ მათზე გაამახვილა ყურადღება.
რეკომენდაცია 5-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მან გადაამოწმა დაწესებულების მიერ გადაგზავნილი დოკუმენტები და დანართი 50-ში პირდაპირ არის მითითებული 20 მემორანდუმი და პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა 240 სტუდენტისათვის.
რეკომენდაცია 1-თან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 120 კრედიტიანი, აქედან 30 კრედიტი უჭირავს კვლევით კომპონენტს, ხოლო 30 პრაქტიკულ კომპონენტს, დიდი მოთხოვნაა პრაქტიკის კომპონენტზე, საკითხს აყენებს დამსაქმებლებიც, კურსდამთავრებულებიც და სტუდენტებიც, შესაბამისად აღნიშნული 30 კრედიტი ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკაა დაწესებულებისათვის, რაც წინა საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე არ შეუცვლიათ, შესაბამისად მხოლოდ 60 კრედიტი დარჩა სასწავლო კომპონენტისათვის, რომელშიც უნდა გაეთვალისწინებინათ დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, სწორედ დარგობრივ მახასიათებელშია გამოკვეთილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა სამოსამართლეო საქმიანობის დამახასიათებელი კომპეტენციების შეძენა სტუდენტებისათვის, ან ევროპეიზაციის მიმართულება, რომელიც ასევე წერია დარგობრივ მახასიათებელში, ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართულ სამართალზე, ანუ დარგობრივი მახასიათებელი პირდაპირ განსაზღვრავს კომპეტენციებს, რომლებისთვისაც სპეციალურად იქნა შერჩეული შესაბამისი სასწავლო კურსი, რათა ამ შედეგებზე იქნას გაყვანილი და თუ გადავა ზემოაღნიშნული სასაწავლო კურსები არჩევითში ასეთ შემთხვევაში პროგრამაში გაჩნდება ხარვეზი რაც შეასუსტებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები პროგრამის შემუშავებისას განიხილავდნენ იყო საკითხი არჩევითი კომპონენტის კრედიტების გაზრდის შესახებ, მაგრამ ამ კუთხით წასვლის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევა ეჭვის ქვეშ დადგა, შემდეგ კი გარე

ექსპერტმაც ურჩია, რომ აღნიშნული საგნები უნდა ყოფილიყო არა არჩევით, არამედ სავალდებულო კომპონენტში. მისი მოსაზრებით არ უნდა იქნას შექმნილი დამოკიდებულება, რომ პროგრამაში არ არის არჩევითობის შესაძლებლობა.
რეკომენდაცია 6-თან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსში და მათ შორის აქ მითითებულ სასაწავლო კურსებშიც, სტრუქტურის სავალდებულო ნაწილის სახით, პირველი სვეტის მე-11 ველში გათვალისწინებულია: ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები", სადაც დეტალურად არის ასახული აქტივობები, რაოდენობა, შეფასება, ქულათა განაწილების სქემა, კვირები და შეფასების კრიტერიუმები, აქედან გამომდინარე მისთვის გაუგებარია დაბნეულობის შესაძლებლობა, მითუმეტეს, როდესაც არ ყოფილა შემთხვევა სტუდენტს დაეყენებინა საკითხი, რომ ვერ გაიგო სილაბუსი, თუ ვერ იგებს თითოეული ლექტორი ვალდებულია დაწვრილებით განმარტოს სილაბუსები.
16:51 საათზე საბჭო დატოვა ნინო ინასარიძემ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ რადგან საბაკალავროზეც იყო აღნიშნული რეკომენდაცია შეფასებასთან დაკავშირებით, როდესაც საუბარია დეტალურ ჩაშლაზე დასკვნის აღწერილობით ნაწილში პირდაპირ არის მითითებული სამოსამართლეო სამართალზე რადგან სილაბუსში გაწერილია 15 აქტივობა, და მხოლოდ რვა აქტივობის შეფასებაა ჩაშლილად წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დეტალურადაა გაწერილი რა კომპონენტი რამდენჯერ არის, როდესაც საუბრობენ შეფასების ნაწილზე და იმაზე, რომ არ შეესაბამება რეალობას, სილაბუსის ერთი ნაწილი აღებულია და შედარებულია მეორე ნაწილთან, შესაბამისად ნაკლოვანებები რაც არის იგივე მოცემულობაა საბაკალავრო საფეხურზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით საბაკალავრო საფეხურის განხილვაზე პასუხი ვერ მიიღო. მისი თქმით სამაგისტრო საფეხურთან დაკავშირებით არის დანართი 12, სადაც წერია, რომ 2019 წლის 25 სექტემბერს აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა „სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ადამ მახარაძემ, რომელშიც აღნიშნა, თუ რა აჩვენა ბაზრის კვლევამ, საბჭოს წევრს ჯერა რომ ეს ყველაფერი მართლა აჩვენა ბაზრის კვლევამ, თუმცა ვერ ნახა ბაზრის კვლევა, რამდენი ადამიანი გამოიკითხა, რამდენ ადამიანთან გაიგზავნა, რამდენ ორგანიზაციაში, რამდენი დაბრუნდა, რა კითხვარი და რა ვადა იყო, სწორედ ეს აინტერესებდა მას.
მისი თქმით დანართი 6-ში ბიუჯეტთან დაკავშირებით წერია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შემოსავალი 347 500 ლარი, ყველანაირი ხელფასი 150 832 ლარი, ზედნადები ხარჯი 95 000 ლარი და ძნელი არაა იმის დადგენა, რომ 1 668 ლარი დარჩება. იგი დაინტერესდა ზედნადები ხარჯის განსაზღვრის მეთოდიკით, თუ რა შედის აღნიშნულ ხარჯში, რადგან სამაგისტრო დონეზე აუცილებელია სამაგისტრო კვლევების დაფინანსება, ეს არის გათვალისწინებული ბიუჯეტში და ზედნადებ ხარჯში შედის თუ გათვალისწინებულია სადმე სხვაგან და მან ვერ იპოვა.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ კომპეტენციისა და პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს, შესაძლებელია მან არასწორად აღიქვა, მაგრამ სამაგისტრო საფეხურზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია თუ რამდენად საკმარისია ხელმძღვანელთა რაოდენობა მან რა სამაგისტრო ნაშრომიც გახსნა კომპეტენცია ყველგან დადასტურებული იყო, ადამიანი იყო დოქტორი, დაინტერესდა თუ რამ მისცა ექსპერტებს სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი,

აღმოაჩინეს თუ არა ფაქტობრივად რომ იყო ხელმძღვანელობის პრობლემა, რადგან 3.2 კომპონენტში იყო სრული შესაბამისობა და არანაირი რეკომენდაცია არ არის გაცემული პერსონალთან მიმართებით.
მან აღნიშნა, რომ 5.2 კომპონენტში იყო საინტერესო ჩანაწერი და საბჭოს წევრი დაინტერესდა ხდება თუ არა სასერთიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზი, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი, რადგან რეგულირებადი სპეციალობაა წესით უნდა ხდებოდეს ანალიზი.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ საბაკალავრო პროგრამის განხილვისას არ დასვა კითხვა, რადგან ისედაც ბევრი ითქვა აკადემიურ პერსონალთან/ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, მაგრამ სამაგისტრო საფეხურზე აუცილებელია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი სამეცნიერო პროდუქტულობას, მან გადახედა აკადემიური პერსონალის პირად საქმეებს დამატებით დოკუმენტებში, როლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობასა და განვითარებას, მათი სამეცნიერო პროდუქტიულობა ბადებს აზრს, რომ საჭიროებს მეტად განვითარებას, მიუხედავად შიდა გრანტებისა, მაგ., 2020 წელი, რომელიც იყო პანდემიის წელი და ძლიან რთული წელი იყო, ონლაინ კონფერენციები, ონლაინ პუბლიკაციები ჩაატარდა ყველა მიმართულებით, არც პროგრამის ხელმძღვანელების და არც აკადემიური პერსონალის CV-ში არ მოიძებნა 2020-ის და ზოგ შემთხვევაში არის ძალიან მწირი მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში და პრაქტიკულად არის სამეცნიერო სიმპოზიუმი და შესაძლებელია პუბლიკაცია საერთოდ არი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამაში არიან ჩართულნი და დიდი მოთხოვნილებაა მათ მიმართ, შესაბამისად ხარისხის სამსახური კვლევების ბოლომდე შეფასებას ვერ ახდენს, რადგან ის ადამიანები, რომლებიც არ არიან მოტივირებულნი განვითარებისათვის და მეტი პუბლიკაციის შექმნისთვის, რათა პროგრამაში მიიღონ სრულფასოვანი მონაწილეობა სტუდენტების შედეგზე გასასვლელად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ხარისხის კონტროლი, ასევე განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ექსპერტთა ჯგუფსაც ჰქონდა და სრულიად იზიარებს მათ რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საქართველოს ევროპეიზაცია“, „სამოსამართლეო სამართალი“, ეს ორი ნამდვილად სავალდებულოა კომპონენტია, მაგრამ „კონსტიტუციური სამართალშემოქმედება საქართველოში“ არის საჯარო სამართლის ბლოკში ერთ-ერთი არჩევითი საგანი, ამიტომ არჩევითი, რომელიც არის მასზე არ ვრცელდება და არჩევითში უნდა დარჩეს, თუმცა „დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საქართველოს ევროპეიზაცია“, „სამოსამართლეო სამართალი“ ეს ორი საგანი აუცილებელია, რათა დარგობრივ მახასიათებელზე გავიდეს სტუდენტი, შესაბამისად თუ გადაიტანენ არჩევითში შესაძლებელია საფრთხე შეექმნას პროგრამას შედეგებზე გასვლის კუთხით, რადგან იქ არის რამდენიმე ჩანაწერი, რომლისთვისაც აუცილებელია აღნიშნული საგნები იყოს, იგი დაინტერესდა ექსპერტების მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებს რამე სხვა პრობლემა აქვთ თუ რატომ ფიქრობენ არ უნდა იყოს სავალდებულო, რადგან დარგობრივი მახასიათებელი ზუსტად იმ უნარებს ითხოვს, რაზეც აღნიშნული სასწავლო კურსები გადიან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვახტანგ ჟვანიამ განაცხადა, რომ „სასამართლო ეთიკა“, როგორც სავალდებულო საგანი ისე იკითხება.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ საუბარი იყო „სამოსამართლეო სამართალზე“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წერია „სამოსამართლეო სამართალი“, მაგრამ პროგრამაში „სასამართლო ეთიკა“, როგორც სავალდებულო კომპონენტი ისე იკითხება და სილაბუსების შედარებითა და გადახედვით დაადგინეს აღნიშნული გადაწყვეტილების ოპტიმალურობა. თუმცა „დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საქართველოს ევროპეიზაციის“ შინაარსიდან გამომდინარე ან სრულად უნდა მოხდეს სილაბუსის მოდიფიცირება, ან არჩევითი დისციპლინა გახდეს ყველა შემთხვევაში.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მეორე რეკომენდაციის მიხედვით საგანი „მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“ უნდა იყოს სრულად ამოღებული, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაციის მოტივაციით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სილაბუსზე გადახედვის შემთხვევაში შესაძლებელია თავისუფალ კრედიტებში გადატანაც, თუ საჭირო იქნება, თუმცა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით საერთოდ ვერ მოდის პროგრამასთან შესაბამისობაში.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ თუ სწორად მიხვდა აღნიშნული სასწავლო კურსი გადის საბაკალავრო პროგრამის უნარებზე.
სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით ექსპერტის, ნინო ლიპარტიას განცხადებით, სამწუხაროა, რომ სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი სამეცნიერო კვლევის შესაბამისობის დასადასტურებლად მასალები ეძებეს, მაგრამ ვერ დადასტურდა, საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას აბსოლუტურად დაეთანხმა, რომ 2020 წელი უძრაობის ხანის მიუხედავად, შესაძლებელია მეტად პროდუქტიული ყოფილიყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აქტივობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც არის ასახული და ამ მოცემულობით იყო ნაკარნახევი, რაც შეეხება იმ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა თემის ხელმძღვანელობას, როდესაც საუბარია აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, ერთია თემის ხელმძღვანელობა და მეორეა კონკრეტული საგნების განხორციელება და ექსპერტთა ჯგუფი მხოლოდ ერთ კომპონენტს ვერ აიღებდა, ერთიანად აწონ დაწონეს და სწორედ აქედან გამომდინარე გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია დასკვნაში.
მისი მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამა გადიოდა ზღვარზე და იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა მისცეს პირობა და ვაკანტური ადგილები და რაც არის გათვალისწინებული თუ სწორად წარიმართება და სწორ მიმართულებას აიღებს შემდეგ უფრო დადებით შედეგს მიიღებენ ვიდრე უარყოფითს, ექსპერტთა ჯგუფის მიზანი არ იყო რაღაც საკითხებზე ჩასაფრება და თუ საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი ფიქრობს, რომ არასწორი იყო მათი ეს მიდგომა ექსპერტთა ჯგუფი გაიზიარებს მის პოზიციას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ არ აკეთებდა შეფასებას სწორი იყო თუ არა, მან ექსპერტთა პოზიციის მიმართ დამაზუსტებელი კითხვა გასცა.
17:00 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს იყო მისი პირადი მოსაზრება, რომ დაწესებულებას აქვს პერსპექტივა, რომ ჩადგეს კალაპოტში.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სახელი/პრესტიჟი ყველამ იცის და ყველა პატივს სცემს, შესაბამისად ნდობაც არის.
„სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ადამ მახარაძემ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ორივე პროგრამის ფარგლებში დაისვა. მან ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ ორივე პროგრამაზე მუშაობა დაიწყო ორი წლის წინ, შემდეგ გადაიწია აკრედიტაციის ვადები, თუმცა დაწესებულებას ორი წლის წინ უნდა გაევლო აღნიშნული პროგრამების აკრედიტაცია, მუშაობის დაწყებისას საჯარო სამართლის მიმართულებით იყო ერთი პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორი, სისხლის სამართლის მიმართულებით იყო ერთი პროფესორი და ორი ასოცირებული პროფესორი, კერძო სამართლის მიმართულებით იყო ორი ასოცირებული პროფესორი და ასისტენტები, მისი თქმით პანდემია ძალიან ცუდად დაემთხვა პროგრამის შემუშავების პროცესს, მოხდა ზემოაღნიშნული ადამიანების უნივერსიტეტიდან გადინება და ერთი წელი დარჩა ისეთი, როდესაც დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კონკურსის ჩატარება ახალი ადამიანების ასაყვანად, თუმცა, როგორც კი პანდემია გადავა ადამიანური რესურსის შევსება დაუყოვნებლივ მოხდება, დაწესებულება აცნობიერებს და აღიარებს, რომ ადამიანური რესურსი შესავსებია.

მაგისტრატურის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როდესაც სამაგისტრო ნაშრომების დაცვა მოხდა, უნივერსიტეტში ადამიანური რესურსი მეტიც კი იყო, საჯარო სამართლის მიმართულებით სამი პროფესორი და 10 სტუდენტი იყო, შესაბამისად მარტივი იყო თითო პროფესორს გაეწია ხელმძღვანელობა სამი სტუდენტისათვის, ანალოგიური იყო სისხლისა და კერძო სამართლის მიმართულებებში, კერძო სამართლის მიმართულება მაგისტრატურაში წელს დაამატეს, რადგან ამ მიმართულებით პროფესორები შემოიყვანეს და გაუჩნდათ საფუძვლები, მან მაგალითად მოიყვანა სოლომონ მენაბდიშვილი, რომელიც თბილისიდან ჩადის და კითხულობს ლექციებს, ასევე იყო სხვა პროფესორიც, რომელმაც სამსახურეობრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვეღარ შეძლო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა, თორემ პროგრამისა და სილაბუსების გარკვეული ნაწილის შემუშავებაში იყო ჩართული.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევა საკმაოდ ინტენსიურად ჩატარდა, რომლისთვისაც იყენებენ ელექტრონულ პლატფორმას, დამსაქმებლებს უგზავნიან კითხვარს და ისინი პასუხობს მას, აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის ბმული გაზიარებულია დანართის სახით და საბჭოს ნებისმიერ წევრს შეუძლია წაიკითხოს თუ რა საკითხებს აყენებს დამსაქმებელი, დაწესებულებამ მოახდინა მისი ანალიზი და გაითვალისწინა პროგრამაში.

სასერთიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როდესაც სამაგისტრო პროგრამაზე დაიწყეს მუშაობა მაშინვე მისწერეს სხვადასხვა ორგანიზაციებს, რადგან ისინი არიან კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები და გამოცდების ჩაბარების საკითხზე ესაუბრნენ საადვოკატო ასოციაციას, ნოტარიუსთა პალატას, იუსტიციის საბჭოს, ორი მათგანიდან დაწესებულებას მოუვიდა მონაცემები, რომლებიც გამოიყენეს თვითშეფასების ჩამოყალიბების პროცესში, რაც მითითებულია, როგორც პროგრამაში, ასევე თვითშეფასების ანგარიშშიც დეტალურად, თუ რამდენი კურსდამთავრებული გავიდა სასერთიფიკაციო გამოცდაზე და რამდენმა ჩააბარა.

სასწავლო კურსთან („მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“) დაკავშირებით ისაუბრა „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული სპეციალისტმა, ირინე ურუშაძემ. მან განაცხადა, რომ ექსპერტების მოსაზრებით მთავარი შენიშვნა უკავშირდება საგნის სტრუქტურასა და არ შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, დაწესებულების წარმომადგენლების ხედვით მისი მთავარი ასპექტები არის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით უნარ-ჩვევების დახვეწა და ისეთ საკითხებზე საუბარი, რომლების საბაკალავრო კურსში უბრალოდ არ არის სივრცე აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ, ძალიან თანამედროვე საგანია და მწირია სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევის წარმოება/კვლევითი კომპონენტის გაძლიერება შესაძლებლობის ფარგლებში შეიძლება სამაგისტრო ნაშრომზეც მოხდეს მუშაობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რო, სამაგისტრო ნაშრომების სიაში ძალიან საინტერესო თემებია და ალბათ საინტერესოდაც არის დამუშავებული, ორმა თემამ მიიპყრო მისი ყურადღება: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები“ და „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოკლე ისტორიული ექსკურსი საზღვარგარეთის ქვეყნებში და ამ ინსტიტუტის რეალობა ქართულ მართლმსაჯულებაში“ ორივე დაწერილია 2016 წელს, იგი დაინტერესდა თუ გამოითხოვეს ექსპერტებმა აღნიშნული ნაშრომები, რადგან მისი მოსაზრებით მსგავსი თემებია და რამდენად არის შესაძლებელი ერთიდაიგივე წელს ორმა მაგისტრანტმა დაიცვას ერთიდაიგივე საკითხზე, ანუ თუ იძლევა საკითხი შესაძლებლობას, რომ ასე გაღრმავებულად იყოს გაშლილი.

მისი თქმით ერთ-ერთი ნაშრომის ხელმძღვანელი ადამ მახარაძე ესწრება სხდომას და მას ჰკითხა თუ რამდენად იძლევა თემა გაშლის საშუალებას და პირველი იყო თუ არა განხილული სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი და ხომ არ არის დუბლირება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას უჭირს ყველა დეტალის გახსენება, მაგრამ თამამად შეეძლო ეთქვა, რომ სათაურებიდან გამომდინარე კვეთა არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუციაზე, მაგრამ მეორე თემაში საუბარია საქართველოს კომპონენტზე, მეორე კი ისტორიულ ნაწილს ეხება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა სამაგისტრო ნაშრომების სია, რომლებიც გამოითხოვეს, შეაფასეს, შეამოწმეს და აკმაყოფილებს ზოგად სტანდარტს, მაგრამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მის დასკვნაზე შეეძლო ესაუბრა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ ხდება სამაგისტრო ნაშრომების თემების შერჩევა, შესაძლებელია თუ არა ორი ნაშრომი ემთხვეოდეს ერთმანეთს და გარდა ამისა დაინტერესდა ხელმძღვანელობის შემთხვევაში რამდენი თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ერთი აკადემიური პირი ერთ სემესტრში.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ იკითხა ანტი პლაგიატის პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნულია, რომ Moodle-ს სისტემაში ხდება თანხვედრის დადგენა, რა მექანიზმები/ინსტრუმენტები აქვთ, რადგან თანხვედრა აუცილებლად იქნება ნაშრომებში ამონარიდების სახით, სამართლებრივი აქტებიდან, არის თუ არა განსაზღვრული რა ხდება თანხვედრის შემთხვევაში ან რომელ დოკუმენტშია გაწერილი.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა საკანონმდებლო მაცნესთან წვდომის „იუზერების“ რაოდენობით და თუ აქვთ სტუდენტებს კამპუსის გარედან წვდომის შესაძლებლობა.

ფაკულტეტის დეკანმა, ლევან ჯაყელმა განაცხადა, რომ 111-ე დადგენილებაა, რომელიც არეგულირებს თემატიკის განსაზღვრას, რომელიც სტუდენტისა და ნაშრომის ხელმძღვანელის პრეროგატივაა, ისინი თანხმდებიან, თუ რა თემაზე სურთ ნაშრომის შესრულება, აღნიშნულის შეგროვება ხდება დეპარტამენტში და მხოლოდ ამის შემდეგ საბაკალავრო და სამაგისტრო თემები ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება, რადგან იყოს მკაცრი, არ იყოს დუბლირება. ასევე, კონტროლდება რაოდენობა, ინდივიდუალური დატვირთვის შემთხვევაში პროფესორს შეუძლია უხელმძღვანელოს ხუთ საბაკალავრო ნაშრომს, შესაძლებელია მოწვეულმა პირმა/სპეციალისტმა უხელმძღვანელოს საბაკალავრო თემატიკას, მაგრამ არაუმეტეს სამი სამაგისტრო ნაშრომისა, ერთობლივად ვერ იქნება გადაფარული, ხუთი საბაკალავრო და ორი სამაგისტრო ნაშრომი არის გაწერილი რეგულაციურად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სხვა დოქტორებს იწვევენ ხელმძღვანელებად.

საკანონმდებლო მაცნესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას შესყიდული აქვს პროგრამა „კოდექსი“, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის დერეფნის კომპიუტერებზე, დეპარტამენტზე, გარედან წვდომა არ აქვთ, მაგრამ ჯგუფებს ყავთ კურატორები, რომლებთანაც აგზავნიან მოთხოვნას ბიბლიოთეკაში და ისინი დღის განმავლობაში აწვდიან მოთხოვნილ რესურსს, ასე არის დალაგებული დისტანციურ რეჟიმში.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი და ხორციელდება შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა სამეცნიერო პროგრამებში მათი მონაწილეობის შეფასებას, შეფასება ასევე გათვალისწინებულია პერსონალის არჩევის წესშიც, რაც ზრდის პერსონალის პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, უნივერსიტეტის ძირითადი ბერკეტია კონკურსი, რომელიც 7, 5 და ა.შ. სტატუსების მიხედვით იმართება, კონკურსები ცდება ფილტრი უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესახებ ამიტომ ფილტრი ძალიან კარგად მუშაობს და ზემოაღნიშნული პლატფორმა ყოველი წლის დასასრულისას ივსება, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ის აბსოლუტურად დაცულია და ჩაშლილად ხედავს პროფესორი რაში რამდენი ქულა ენიჭება.

ანტი პლაგიატთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია მუშაობს აღნიშნული პროგრამა და შეუძლებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში გაორდეს შინაარსი, რადგან პროგრამას შეუძლია გამოავლინოს მსგავსება იდენტურ ნაშრომთან და იბლოკება. არის ზღვრული ოდენობა რის გამოვლენის შემთხვევაშიც სტუდენტს უჩერდება საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მან ნახა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებული ბმული, მაგრამ იქ წერია - დამსაქმებელთა გამოკითხვის ანკეტა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი, ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა. საბჭოს წევრის მოსაზრებით ვერ იპოვა ის ბმული.
17:19 საათზე საბჭო დატოვა ნინო ინასარიძემ.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამასაც იგივე აქვს და სთხოვა საბჭოს წევრს შესულიყო გამოკითხვის სკალებში.
დეპარტამენტში თემატიკის რეგისტრაციასთან დაკავშირებით სამართლისა და საჯარო მმართველობის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ომარ ფარტენაძემ განაცხადა, რომ მათ აქვთ განსაზღვრული ვადა ხელმძღვანელების დამტკიცების შემდეგ სტუდენტები არჩევენ თემატიკა, რაც ხდება იმისთვის, რომ დაწესებულებამ კონტროლი გაუწიოს შინაარსისა და თემების თანხვედრას, ძირითადი კონტროლი მიმდინარეობს სასწავლო წლის დასაწყისში, რადგან მეორე სემესტრში არანაირი პრობლემა არ შეიქმნას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ მისი უნივერსიტეტი ჩართული იყო ინტეგრიტის პროექტში, სადაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიც იღებდა მონაწილეობას. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იყო, რადგან ყველა ინსტიტუციამ ერთად შეიმუშავა აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი და აიღეს ვალდებულება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაენერგათ Turnitin-ის საშუალებით და შემდგომ გაეგრძელებინათ, ამიტომ ეს მექანიზმი თვითონ პროექტის ფარგლებშიც მკაცრად რეგულირდება.
რექტორმა, მერაბ ხალვაშმა განაცდა, რომ დაიწყეს 2 000 ლიცენზიით და ამ ეტაპზე უკვე 4 000 ლიცენზია აქვთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:26
დასრულების დრო: 18:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. ზოგადი ინგლისური ენის კურსები მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდესთავისუფალი კრედიტით გათვალისწინებულ ნაწილში, რათა ყველა სტუდენტსსავალდებულოდ მოუხდეს იურიდიული ინგლისურის გავლა;
2. იურიდიულ პრაქტიკას მიენიჭოს სავალდებულო კომპონენტის სტატუსი;
3. კონსტიტუციური სამართალწარმოება დაემატოს, როგორც სავალდებულოკომპონენტი;
4. აუცილებელია, ,,ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“,„პროფესიული ეთიკა“, „ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში“ და სხვა საგნებშიაღმოიფხვრას სასწავლო საკითხების დუბლირება, რადგან სილაბუსების შესწავლამ დაადასტურა აღნიშნული პრობლემა;
5. საგანს ,,სასამართლოს მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში“ განისაზღვროსპრერეკვიზიტი, რადგან საგნის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული საგნის პრერეკვიზიტის გარეშე ათვისება შეუძლებელია;
6. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ საგნებთან მიმართებაში, მითუმეტეს, როდესაც ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია, როგორც ევროპული, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემების ანალიზი, ძალიან კარგი იქნება თუ ზოგიერთ საგანში ჩაემატება შედარებითი მიმოხილვით დატვირთული სახელმძღვანელოები, რაც სტუდენტს დამატებით შესაძლებლობებს მისცემს, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ აუცილებელია სასწავლო კურსის ფარგლებში შესული იქნეს განსახილველ თემასთანმიმართებით საკითხის შედარებით სამართლებრივი ანალიზი. სალექციო კურსისფარგლებში გაძლიერდეს ქართული, ევროპული, ანგლო-ამერიკული და ადამიანისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება;
7. პროგრამის შესწავლის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა კონკრეტული სილაბუსები, მაგ., „კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის“ სილაბუსი, რომელშიც მითითებულია, რომ სტუდენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, თუ ის დაესწრება სალექციო მეცადინეობების 50%-ს, რაც მიუღებელია და გაიცა რეკომენდაცია: „კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის“ და სხვა საგნების სილაბუსებიდანამოღებულ უნდა იქნას, ჩანაწერი, რომელიც სტუდენტს ავალდებულებს დაესწროსსალექციო მეცადინეობების 50%-ს;
8. შეფასების ნაწილთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ აუცილებელია სილაბუსში მითითებული კონკრეტული აქტივობა შეფასდეს დაეს შეფასება დეტალურად უნდა აისახოს სილაბუსში, რათა სტუდენტს ქონდესმოლოდინი თუ რა აქტივობებში შეძლებს შესაბამისი ქულების მოგროვებას;
9. სილაბუსებში შეფასების კომპონენტი არ უნდა იყოს იდენტური, აუცილებელიაშეფასების ნაწილშიც იგრძნობოდეს ლექტორის ხედვა და აკადემიურითავისუფლება, აუცილებელია კონკრეტულ საგანს ქონდეს მისთვის შესაბამისიშეფასების ნაწილი;
10. აუცილებელია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა კერძო და საჯაროსამართლის მიმართულებით, რათა შესაძლებელი გახდეს წარმოდგენილი პროგრამისგანხორციელება და შენარჩუნებული იქნეს მისი მდგრადობა;
12. აუცილებელია, სალექციოს კურსის განხორციელება უშუალოდ იმ პირის მიერ განხორციელდეს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევა და პრაქტიკული გამოცდილება;
13. აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების პროექტებში. მოხდეს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ მოხდეს ამ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა და წახალისება, ხოლო შემდგომში ყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;
14. გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, რომელიც სავალდებულოდ ხელშეწყობილი უნდა იქნეს დაწესებულების მიერ, განსაკუთრებით ევროპულ უნივერსიტეტებთან;

15. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და მუდმივად ხორციელდებოდეს მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;
16. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სამეცნიერო ბაზები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამას, მაგრამ მისი გამოყენება ძალიან მცირეა, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია - აკადემიურ პერსონალისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ჩაუტარდეს სპეციალური ტრენინგები, რომელებიც გაზრდის მათ ინფორმირებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ;
18. პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩუნების მიზნით შემუშავდეს წახალისების მექანიზმი.

19. გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო და პროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები, სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება.
20. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ გაცდენილი ლექციების აღდგენა უნდა მოხდეს სტუდენტების ინტერესებს გათვალისწინებით და გაიცა რეკომენდაცია - გაცდენილი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მისი აღდგენა სტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში;
21. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზე დასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარება ხორციელდება ასისტენტის მიერ ინსიტუციის სტრუქტურული ერთეულების დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში
22.მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი ინსიტუციის სტრუქტურული ერთეულების დადგენილ კომპეტენციის ფარგლებში
23. გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტს მიერ.

რჩევები:

1. იურიდიული ინგლისურის კურსის სწავლება განხორციელდეს ორი სემესტრის განმავლობაში.
2. სასურველია სილაბუსებიდან ამოღებულიქნეს ძველი სახელმძღვანელოები, რათა სტუდენტი არ დაიბნეს, რაც გაართულებს სწავლის პროცესს.
3. სასურველია სილაბუსებში ნორმატიული მასალა ცალკე, გამოყოფილად მიეთითოს.
4. სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი საგნები, რაც სტუდენტს მისცემს არჩევანის მრავალფეროვნებას და შესაძლებლობას უფრო მეტად შეძლოს სასურველი საკითხების უფრო დეტალურად შესწავლა.
5. პერსონალის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსის კრიტერიუმების სრულყოფის მიზნით გაგრძელდეს მუშაობა. ამავე დროს უნდა პერსონალის შერჩევა განხორციელდეს ობიექტური და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურების შემდგომ.
6. აუცილებელია, სალექციო საათების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას გონივრული დატვირთვის ჩარჩოები.
7. პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით და ენობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით უნდა გაძლიერდეს პერსონალის გადამზადების პროცესი. ამავე დროს გადამზადების კურსი სასურველია მოიცავდეს დარგობრივ ინგლისურს.
8. გაძლიერდეს პერსონალის სათანადო ინფორმირება სამეცნიერო ბაზების არსებობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ. ასევე, უსდ-ს მიერ მოხდეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების რაოდენობის კონტროლი; უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის

წახალისება მაღალ რეინტინგული გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

9. რეკომენდირებულია, უსდ-ს მიერ მოხდეს დამატებითი სამეცნიერო ბაზების დამატება (მაგ, Heinonlain);
10. გაძლიერდეს პორტალის გამოყენების სერვისი, რათა განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში არ შეფერხდეს წვდომა და გამოყენება;
11. აუცილებელია სტუდენტებს მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია სამეცნიერო ბაზების არსებობის შესახებ და განემარტოთ მათი გამოყენების ინსტრუქცია;
12. გაიზარდოს და ხელმისაწვდომი გახდეს უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობის მხარდაჭერა;
13. პროგრამის განვითარებასა და კულიკულიმების შედგენის პროცესში გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართულობა.
14. აუცილებელია გაძლიერდეს და მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარებოდეს პერსონალის მიერ სალექციო და სასემინარო საათების ჩატარება;
15. გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში;
16. მოხდეს საერთიფიკაციო გამოცდის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები;
17. აუცილებელია სალექციო და სასემინარო საათები გადანაწილდეს პროგრამისა და სილაბუსებში გათვალისწინებული პირებზე, რადგან გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში სილაბუსში მითითებულია ერთი აკადემიური პერსონალი და აღნიშნულ სასწავლო კურსს უძღვება სხვა, უმეტესად აკადემიური პერსონალი.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, წელიწადსა ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით (IV, V სტანდარტის).

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. საგანი „მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზეგადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“ უნდა მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ იგი გავიდეს მაგისტრატურის საფეხურის მისაღწევ შედეგებზე;
3. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსების შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისისაფეხურისთვის დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
4. რეკომენდირებულია სწავლებისთვის სავალდებულო ლიტერატურად მიეთითოს ისსახელმძღვანელოები, რომელთა შინაარსი სტუდენტის მიერ არ არის დაძლეულისაბაკალავრო საფეხურზე;
5. მემორანდუმების ტექსტში განისაზღვროს კონკრეტული დაწესებულების მიერსავარაუდო პრაქტიკის გასავლელად მისაღების სტუდენტების რაოდენობა;
6. „სამოსამართლეო სამართალი“, „დემოკრატია, კანონის უზენაესობა დასაქართველოს ევროპეიზაცია“, „ადამიანის უფლებათა თანამედროვე ასპექტები“ დასხვა საგნების სილაბუსებში შეფასების ნაწილი უნდა გაიწეროს დეტალურად, ყველასასემინარო
7. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი აკადემიურიპერსონალის რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით კერძო სამართლისა და საჯაროსამართლის მიმართულებით;
8. სალექციო კურსის გაძღოლა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევისა და კვალიფიკაციის პირის მიერ;
9. აუცილებელია აკადემიური პერსონალი მუდმივად იყოს ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
10. აუცილებელია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის ჩართვა სამეცნიერო დაკვლევით საქმიანობასა და პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალისმუდმივი ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში. უსდ-ს მიერ მხარდაჭერილი დაწახალისებული უნდა იქნეს პერსონალის მსგავსი აქტივობა, ხოლო შემდგომშიყოველწლიურად მოხდეს ინფორმაციის შეფასება და ანალიზი;
11. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ ღიად და გახსნილად მიეწოდებოდეს პერსონალს;
12. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკის მიღების მიზნითაუცილებელია, პერსონალის ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში,განსაკუთრებით ევროპულ უნივერსიტეტებთან. ამ მიზნით სავალდებულოდ იქნესუზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისოკონფერენციაში, გაცვლით პროგრამებსა და სხვა მსგავსი ხასიათის პროექტებში. რჩება მოცემული სახით14. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდში აუცილებელია არსებობდეს სილაბუსშიმითითებული ძირითადილიტერატურა;
15. სამაგისტრო პროგრამის განხორციელების მიზნით, რეკომენდირებული უსდ-ს მიერმოხდეს დამატებითი სამეცნიერო ბაზების გამდიდრება (მაგ, Heinonlain);
16. პროგრამის განხორციელების მოქნილობის გაზრდისათვის და ავტონომიურობისგაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება;
17. პროგრამის განხორციელებაში კვალიფიციური კადრებისა და დარგის სპეციალისტების მოწვევისა და შენარჩუნების მიზნით შემუშავდეს წახალისების მექანიზმი.
18. გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი პროექტების, საგანმანათლებლო დაპროფესიულ პროექტებში (საერთაშორისო და ეროვნული იმიტირებულ პროცესები,სიმპოზიუმები, საჯარო ლექციები) პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობისწახალისება.

19. გაცდენილი სალექციოს საათების შემდგომ სავალდებულოა მოხდეს მათი აღდგენასტუდენტებისათვის მისაღებ დროსა და პირობებში;
20. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია მოხდეს ლექციებზედასწრება, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა სალექციო საათების ჩატარებახორციელდება ასისტენტის მიერ;
21. მუდმივად ხდებოდეს პერსონალისა პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი ინსიტუციის სტრუქტურული ერთეულების დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში
22. გაძლიერდეს პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტის მიერ.
23. დადარდეს პროგრამა უცხო ანალოგიურ პროგრამასთან

რჩევები:

1. მაგისტრატურის საფეხურზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით უმჯობესი იქნება სტუდენტებისთვის მოხდეს უცხო ენის შეთავაზება.
2. პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მიზნით და ენობრივი კომპეტენციის დაძლევის მიზნით უნდა გაძლიერდეს პერსონალის გადამზადების პროცესი. ამავე დროს გადამზადების კურსი სასურველია მოიცავდეს დარგობრივ ინგლისურს.
3. ბიბლიოთეკის წარმომადგენელების მიერ მუდმივად ხორციელდებოდეს მატერიალური სახით არსებული ლიტერატურის ელექტრონული ფორმით გადაქცევა, რათა გაიზარდოს მათი ხელმისაწვდომობა;
4. გაძლიერდეს პორტალის გამოყენების სერვისი, რათა განსაკუთრებით საგამოცდო პერიოდში არ შეფერხდეს წვდომა და გამოყენება;
5. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
6. გაიზარდოს და ხელმისაწვდომი გახდეს უნივერსიტეტის გარეთ სტუდენტთა და პერსონალის აქტივობის მხარდაჭერა;
7. პროგრამის განვითარებასა და კულიკულიმების შედგენის პროცესში გაძლიერდეს სტუდენტთა ჩართულობა;
8. აუცილებელია გაძლიერდეს და მუდმივ ზედამხედველობას ექვემდებარებოდეს პერსონალის მიერ სალექციო და სასემინარო საათების ჩატარება;
9. გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

18:40 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

19:41 საათზე საბჭო დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	16.09.2011, გადაწყვეტილება №17
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N1; 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი მახარობლიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს.
„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1.1. კომპონენტთან მიმართებაში:
რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვით-შეფასებას განახორციელებს;
1.2. კომპონენტთან მიმართებაში:
რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს;
რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშის ყველა სავალდებულო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულფასოვნად იქნეს შევსებული;
რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვით-შეფასებას განახორციელებს;
რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მექანიზმის დონეზე სწორად არის გაწერილი, ასევე, სწორად იქნეს გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში, სამიზნე ნიშნულების დადგენასა და მონაცემთა შეგროვება-შეფასების პროცესში;
რეკომენდირებულია, კურუკულიმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე და ის დონეც, თუ რომელი რა დონით ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს;
რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და თითოეული სწავლის შედეგისათვის ხელახლა დადგინდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, განხორიელდეს მონიტორინგი და მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადრება;
2.2. კომპონენტთან მიმართებაში:
რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შინაარსიდან და თემატიკიდან გამომდინარე, დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, კერძოდ:
ა. სავალდებულო სასწავლო კურსს „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული

სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“;
ბ. სავალდებულო სასწავლო კურსს „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“;
გ. სავალდებულო სასწავლო კურსს „სასამართლო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“;
დ. არჩევით სასწავლო კურსს „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“;
ე. არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სახელშეკრულებო სამართალი“ და „შრომის სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“;
ვ. არჩევით სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“;

რეკომენდებულია, იურიდიული კლინიკა შეტანილი იქნეს პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;

2.3. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ დაიყოს 3 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სამოქალაქო სამართალში“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“ და „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ და სტუდენტებს შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ამასთან, სასწავლო კურსმა „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ უნდა მოიცვას, როგორც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში;

2.4. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდებულია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში მყისიერი ტრანსფერის მიზნით, უსდ-მ სრულყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი და სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი, პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს;

სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენდეს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური წერითი საშინაო დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია ან საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი, თუნდაც ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორიცაა საქართველოს ისტორია, ლათინური ენა, ლოგიკა,

პოლიტოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია და რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში;

2.5. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული მეთოდების, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდის გამოყენებას;

2.6. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გაითვალისწინონ თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, მათ შორის ისეთი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, როგორიცაა პრაქტიკული დავალება, ტესტი, ღია კითხვა, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა;

4.2. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;

რეკომენდირებულია უსდ-მ ბიუჯეტში კონკრეტულად განსაზღვროს/გამოყოს მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობა;

5.1. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) ხორციელდებოდეს;

შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რეკომენდირებულია, მონაცემთა, მათ შორის, პროგრამის სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისათვის გამოყენება;

5.3. კომპონენტთან მიმართებაში:

რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით;

რეკომენდირებულია, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მინიმუმ ყოველწლიურად ხორციელდებოდეს;

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდირებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მიღებული შედეგები გაანალიზდეს და ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თეა კორძაძე მიესალმა საბჭოს წარმომადგენლებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციების პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, უკვე დაგეგმილია რეკომენდაციების განხორციელების გზები და სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, მამუკა შენგელიას.

„სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, მამუკა შენგელია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა საბჭოს საკითხის განხილვისათვის, განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ღირებულია მათი რეკომენდაციები, მიგნებები და რჩევები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია, რათა პროგრამამ სრულად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის სტანდარტები და სამართლის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი მოთხოვნები.

სწავლის მაზენებისა და შედეგების რუკის გადახედვასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის მისია, ფასეულობები. პროგრამის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება შრომის ბაზრის ინტერესების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა როდესაც საუბარია მიზნებისა და შედეგების თანხვედრასა და მის გადახედვაზე, აღნიშნული გათვალისწინებული იქნა პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ და მათი მოსაზრებით სწავლის მიზნები და შედეგები კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ გადახედავენ მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკას, რადგან აღნიშნული პროცესი სიახლეა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და შესაძლებელია საჭიროებდეს დახვეწას, რაც განხორციელდება პერიოდულად, გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ხშირი ინტენსივობით.

თვითშეფასების ანგარიშთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ შევსებული იყო ცალკეული ველები, მხოლოდ ერთი ველი იყო დარჩენილი სადაც დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო სტატისტიკური მონაცემები კურსდამთავრებულთა შესახებ. რეკომენდაციის გათვალისწინებით დაწესებულების წარმომადგენლებმა შეავსეს ანგარიში და გარკვეული მონაცემები გადაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება შემდეგი მონაცემების მიმართ და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით ბოლო რამდენიმე დღეში ექსპერტების ვიზიტისას და შემდეგ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან, რომლის მიხედვითაც: ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დასაქმებული იმ საჯარო მოსამსახურეებიდან, რომელთაც დამთავრებული აქვთ აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული აქვს 11 საჯარო მოსამსახურეს, მოსამართლის თანაშემწის გადამზადების კურსი - 6 საჯარო მოსამსახურეს, ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა - 1 საჯარო მოსამსახურეს, ხოლო ადვოკატთა ტესტირება - 10 მოხელეს და გრძელდება მუშაობა სხვა სტატისტიკური მონაცემების შევსებისათვის.

მან აღნიშნა, რომ „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამაა, როგორც ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე რეგიონისათვის, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა დებატებში, პრაქტიკულ მეცადინეობებში და სხვა. ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც გასათვალისწინებელია, არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან არსებული სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული იმიტირებული სასამართლო პროცესები საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ იმიტირებული პროცესები და მნიშვნელოვანია ბოლო მონაცემები, 2021 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს სამართლის ინსტიტუტის მიერ ჩატარდა იმიტირებული პროცესი ადამიანის უფლებებში, სადაც აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრებისა და მაგისტრანტების 2 გუნდი იყო წარდგენილი, ორივე გუნდი გავიდა ნახევარფინალში.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში არსებობს პროგრამის ინიცირების, დაგეგმვის დამტკიცების

ითვალისწინებს, ა და შემდეგ უკვე განხორციელების პროცედურები, ეს არის სამ ფაზიანი პროცედურა, რომელიც როგორც პროგრამის ინიცირებას, ასევე შემუშავებასა და დამტკიცებას, ყველა ფაზაში მოცემულია შესასრულებელი სამუშაოები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები, აქედან გამომდინარე ის ჯგუფი რომელიც შეიქმნა, როგორც თვითშეფასების ჯგუფი ახორციელებდა, როგორც პროგრამას, ასევე მთელი რიგი სამუშაოების შესრულებას, ამ შემთხვევაშიც დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, თვითშეფასების ჯგუფის გამიჯვნის შესახებ რეკომენდაციაზე.
რეკომენდაცია ასევე ითვალისწინებდა სამიზნე ნიშნულების დადგენას, რასაც აბსოლუტურად ეთანხმება დაწესებულება და პროგრამის განვითარების მიზნით უახლოეს მომავალში როგორც სხვა განგრძობადი სამუშაოები აღნიშნული პროცედურაც დაზუსტდება და გახორციელდება, გარდა ამისა რეკომენდირებული იყო იურიდიული კლინიკის შეტანა 240 კრედიტის ფარგლებში, დაწესებულებაში იურიდიული კლინიკა 2010 წლიდან ფუნქციონირებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით, ფუნქციონირებდა 240 კრედიტის მიღმა, დამატებითი 10 კრედიტის მოცულობით, ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და 240 კრედიტის ფარგლებში იურიდიული კლინიკა შეტანილი იქნება, როგორც არჩევითი სასწავლო კურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის ხელმძღვანელს სთხოვა ესაუბრა რეკომენდაციებზე, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ძირითადი რეკომენდაციები გასასთვალისწინებელია და მისაღები დაწესებულებისთვის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის დახვეწას, როგორც აკრედიტაციის სტანდარტების სრულიად დაკმაყოფილებას, ასევე სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან
19:29 საათზე საბჭო დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, სადაც წერია, რომ გამოიკითხეს 24 რესპოდენტი, მისი მოსაზრებით დაწესებულებამ გამოიკითხა, მხოლოდ იმერეთის რეგიონი და დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია, დაწესებულება კადრებს მხოლოდ იმერეთისთვის არ ამზადებს, რადგან რეგულირებადი სფეროა კურსდამთავრებულს ყველგან მუშაობა შეუძლია. 24 რესპოდენტი ეს რიცხვი რამდენად რელევანტურია, რომ თუნდაც მხოლოდ იმერეთის რეგიონში მიიღონ წარმოდგენა სუბ-შრომითი ბაზრის შესახებ.
ბიუჯეტთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მან უკვე ნახა რამდენიმე ბიუჯეტი და ალბათ ეს მიღებული ფორმაა მათთვის, მისი თქმით ისევ ფიგურირებს პრქატიკის ხარჯი 300, მას ასევე ახსოვს, რომ აღნიშნულ დაწესებულებას ჰქონდა ერთ სტუდენტზე 20 ლარი და იქ ეწრა რომ სურდათ 22 ყოფილიყო, საბჭოს წევრი დაინტერესდა ისევ არის თუ არა შეუსაბამობა თუ 15-ზე აქვთ დათვლილი და 22, მაშინ შემოსავალიც 15-ზე უნდა იყოს დათვლილი და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნული საკითხის განმარტება.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში ასახული არგუმენტირებული პასუხებისთვის, მან განაცხადა, რომ 2.6 კომპონენტთან მიმართებით არის ჩანაწერი, რომ უნიფიცირებულია შეფასების სისტემა, ფასდება ორი 10 ქულიანი კაზუსი და არ არის გათვალისწინებული საგნის სპეციფიკა. დასკვნაში აღწერილია, რომ სტუდენტების დიდი ნაწილისთვის შეფასების სისტემა ბუნდოვანია, რამაც გააჩინა კითხვები. საბჭოს წევრი დაინტერესდა თვლიდნენ თუ არა ექსპერტები, რომ პროგრამა აღნიშნული შეფასების სისტემას შედეგზე ვერ გაიყვანდა. უწერიათ თუ არა კონკრეტული შედეგები კურსებს.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ სამი რეკომენდაცია პრაქტიკულად გამეორებულია, ერთიდაიგივე რეკომენდაციაა განსხვავებული ფორმულირებით და აღნიშნული რეკომენდაციებს, I და V

სტანდარტში გამეორებისთვის ექსპერტს ალბათ ჰქონდა საფუძველი. საბჭოს წევრი თქმით 1.1 კომპონენტში პირველივე რეკომენდაციაში ჩამოყალიბებულია მიზნების ფორმულირების საკითხი, საუბარი არ არის თვითშეფასების ჯგუფსა თუ პროგრამის კომიტეტზე მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ აკრედიტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტანდარტი არის ბოლო 5 წლის პროგრამის შემუშავების ჩართულობის ძალიან მაღალი ხარისხი, რაშიც იგულისხმება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, იგივეა 1.2 კომპონენტის მესამე ბულეტი იგივეს ნიშნავს, უბრალოდ დამატებულია სიტყვა შედეგები, თუმცა მთლიანობაში ეს ერთიდაიგივე მექანიზმია და 5.3 კომპონენტი არის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ავტომატურად ეხმიანება იგივე სტანდარტს, რომ ხარისხის კუთხიდან არ იყო ჩართული უზრუნველყოფა, შესაბამისად გამოდის, რომ 2-3 ადამიანის მიერ გაკეთდა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული ჩანაწერი, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, თუ დოკუმენტაციის საფუძველზე გახდა აღნიშნულის სამჯერ ჩაწერა რეკომენდაციების ნაწილში.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ რჩევებთან დაკავშირებით აქვს რამდენიმე კითხვა, რომლებიც მისი გადმოსახედიდან ძალიან მნიშვნელოვანია და უკავშირდება გარკვეული სტანდარტების შესრულებას, კერძოდ 1.1 კომპონენტთან მიმართებით წერია რჩევა - სასურველია, საბაკალავრო სამართლის პროგრამის მიზნების შემუშავება, უფრო მეტად, პროგრამულად რელევანტური ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევასა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების ანალიზზე დაყრდნობით განხორციელებულიყო, შესაბამისად პროგრამის მიზნების შემუშავებაში არ იქნა გათვალისწინებული შრომის ბაზრის ანალიზით მიღებული მონაცემები, საბჭოს წევრი დაინტერესდა სწორად გაიგო, თუ ექსპერტთა ჯგუფს რამე დააკლდა და ამიტომ განსაზღვრეს რჩევად.

საბჭოს წევრის თქმით 1.2 კომპონენტთან მიმართებით არის ჩანაწერი - სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელებულიყო - აქედან დაასკვნა, გამოდის, რომ არ განხორციელებულა, აღნიშნული რჩევა გამოკვეთილია სხვა სტანდარტებთან მიმართებითაც, მაგ., მეხუთე სტანდარტში, თუმცა, როგორც ცნობილია ძალიან მნიშვნელოვანია აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების თვალსაზრისით, რომ მოხდეს დაკვირვება ამ საკითხზე.

ასევე 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულია რჩევა - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, მეტწილად იცნობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა, სასურველია, მათი ხელახალი ინფორმირება მას შემდეგ, რაც ხსენებული მექანიზმები გადაისინჯება - ანუ თუ ინსტიტუციამ არ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სწორი იქნება თუ არა, რომ აკადემიური პერსონალი არ იყოს ჩართული აღნიშნულ პროცესებში.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ არის იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც გაიარეს ძირითადი/სავალდებულო კურსები და იციან საფუძვლები, შესაბამისად უკვე კონკრეტული მიმართულებით კაზუსები უნდა ამოხსნან სისხლის, სამოქალაქო ან ა.შ. სილაბუსიდან გამომდინარე უცნაურად გამოიყურება და ექსპერტებს უწერიათ კიდეც, თუმცა შესაძლებელია მათი ჩანაფიქრი იყო სხვაგვარი დაწესებულების მიერ ამ საგნის მიმართ, უბრალოდ შეუძლებელია ერთ კურსში იყოს მოქცეული ყველა კაზუსი მეთოდიკა წარდგენილი, რადგან აბსოლუტურად სხვადასახვაგვარია კაზუსების შესწავლა, კურსი მითითებული ლიტერატურიდან და ზოგადად როგორიცაა აგებულია, კურსი კაზუსის ყველა მეთოდიკაზე, ასე არის მართლა გააზრებული თუ მისთვის არის უცხო.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ რიგი პრერეკვიზიტებისა ჩამოწერილია ექსპერტების მიერ, რასაც ეთანხმება, მას სურდა ეკითხა თუ არ იქნებოდა ასეთი ბმა და არც არის რადგან რეკომენდაციებში მოხვდა, როგორ შეიძლება სტუდენტი გავიდეს შედეგზე თუ მას არ აქვს

წინაპირობა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ერთის მხრივ მარტივი, რომ სტუდენტმა ჯერ ერთი სასწავლო კურსი გაიაროს და შემდეგ მეორე, მაგრამ როგორ გავა სტუდენტი შედეგზე თუ იმის წინაპირობა არ აქვს შესრულებული, უბრალოდ ვერ გაიგებს, აღნიშნული საკითხი საკმაოდ სერიოზულია და რიგი საკითხები არის აქ, ეს ჯაჭვური რეაქცია სამართლის პროგრამებში არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომ გაამახვილა ყურადღება, რომ ჯაჭვი მთლიანად დარღვეულია.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ პროგრამის შედგენა არის გემოვნების საქმე და დაწესებულების წარმომადგენლების სურვილზეა დამოკიდებული როგორ გადაწყვეტენ, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ საუბარი იყო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე, პროგრამაში მიზნებისა და შედეგების ფართოდ გაწერა, ჯერ მხოლოდ მონიშვნაც კი გაუჭირდება შემფასებელს და ხომ არ ჯობდა უფრო მოკლე სახე მიეცათ და შემდეგ სილაბუსში/ლიტერატურაში ჩაეშალათ, დაინტერესდა, თუ რატომ გაკეთდა ასე.

მან განმარტა, რომ თვალი გადაავლო სილაბუსებს, სადაც ბევრი რაღაც იყო კარგად გაკეთებული, ბევრი კი სასურველია რომ განვითარდეს. იგი დაინტერესდა, თუ რატომ არის დამატებით ლიტერატურაში ცოტა რაოდენობის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ზოგადად ჭარბობს, მაგ., კომპიუტერული მეცნიერებების დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რუსული სახელმძღვანელო. Microsoft-ის პეოგრამებს რათ უნდა წიგნიდან სწავლა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რეკომენდაციის გამეორებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შესაძლებელია პირველ და მეხუთე სტანდარტთან მისი გამეორება გამოიწვია პირველ სტანდარტში პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავებასთან დაკავშირებით სტანდარტის შეფასების კრიტერიუმებისა და აღწერილობით ნაწილში, რომ უნდა იყოს ჩართული, ბუნებრივია ექსპერტთა ჯგუფმა არა მხოლოდ დოკუმენტებიდან, არამედ სამიზნე ჯგუფთან გასაუბრების შედეგად დაუდასტურდათ თვითშეფასების ჯგუფის მიერ, სწორედ ეს პოზიცია იყო რეკომენდაციის საფუძველი. ჯგუფმა არ უნდა შექმნას და შემდეგ თვითონვე არ უნდა შეაფასოს. მეხუთე სტანდარტთან მიმართებით მან განაცხადა, რომ ეს არის მთელი ამ პროცესის შიდა ხარისხის შეფასების კუთხით, პირველი არის, თუ როგორ გაკეთდა და მეორე არის როგორ უნდა შეფასდეს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი.

რჩევებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ შიდა შეფასებისას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შესწავლის კომბინირებული ანალიზის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს არ იყო სარეკომენდაციო, რადგან ვერ შეაბრუნებდნენ იმ მიმართულებით, რა მოხდებოდა თუ დაწესებულება არ გაითვალისწინებდა კონკრეტულ რჩევას, რეალურად რჩევა იწერება სამომავლოდ განსახორციელებელ ისეთ ქმედებაზე, რომელიც ებმის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გადახედვას, ანუ გადახედვის შემთხვევაში, ამჯერად უკვე ინფორმირებულია აკადემიური პერსონალი და დაინტერესებული პირები აღნიშნული მექანიზმის თაობაზე, შესაბამისად სურვილის დონეზე იქნა გამოხატული, რომ როდესაც გადაიხედება და მოხდება პროგრამის სწავლის შედეგებზე მორგება, ეს თავისთავად იქნება უზრუნველყოფილი ინფორმირებულობა და ჩართულობა, მსგავსი სურვილი გამოხატულ იქნა რჩევის სახით.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი ჩაეკითხა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ, თუ არ განხორციელებულა ბოლო პერიოდში, ეს როგორ შეიძლება იყოს რჩევა, როდესაც სტანდარტების მოთხოვნაში ზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად, გარდა ამისა ინსტიტუციისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემი, რათა გაიგოს როგორ ხორციელდება პროგრამა და როგორ გადის სტუდენტი შედეგებზე, თუ ეს არ კეთდება, საბჭოს წევრი, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, რჩევად ვერ მიიღებდა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დაზუსტა, რომ აკადემიური მოსწრება იყო ცოტა ადრე, ახლა კი ეს ჩაშენდა სამიზნე ნიშნულებში, რაზეც ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაციაში ასახული, სამიზნე ნიშნულები ეს აკადემიური მოსწრების ნაწილია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას განხორციელებული აქვს, ე.წ. „გაუსის“ სისტემით სასწავლო კურსებში მიღებული შედეგების ანალიზი, შესაბამისად აღმოჩნდა, რომ 2020 წელს არ იყო გაკეთებული, 2018-2019 წლების იყო წარდგენილი და ვინაიდან ეს არ არის სრულად წარდგენილი, არის მოწყვეტილი და მსგავსი აქტივობები ჰქონდა უნივერსიტეტს, ასევე სამიზნე ნიშნულებიც მათ შორის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით უნდა გაიწეროს, რადგან სამიზნე ნიშნულები ბევრ მიმართულებას უკავშირდება აღნიშნულ მიმართულებასაც მოიცავს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დასძინა, რომ შესაძლებელია იფიქრონ არა ბოლო წლების, არამედ ბოლო წლის, რაც არსებითად მნიშვნელოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ მას ზუსტად არ ახსოვს, ერთ წელზე იყო საუბარი თუ ორზე. საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას კითხვასთან მიმართებით მან განაცხადა, რომ სწავლა-სწავლების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით რეკომენდაციაში განისაზღვრა და აღნიშნული რეკომენდაციის სირთულე არ ჩათვალეს იმდენად მძიმე, რომ ხელი შეეშალა სწავლის შედეგების მიღწევაში აუცილებელია, რომ სხვადასხვა მიმართულებით იყოს მორგებული, შესაძლოა დაემთხვეს რამდენიმე სასწავლო კურსში, მაგრამ მასობრივად გამორიცხულია.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა, დააზუსტა, რომ იმ უნარების შესაფასებლად, რაც უწერიათ სწავლის შედეგებში არსებული სისტემაც ვარგა თუ არა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არსებული სისტემა ხარვეზიანია და გამოსასწორებელია, ანუ მეტ ნაკლებად გამოდგება.

19:58 საათზე სხდომა დატოვა ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინოიმნაძე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, კახა კუპატაძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განმარტებას გააკეთებს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო მიმართულებითაც, რადგან, როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნა დაწესებულება ერთი ფორმით ადგენს ბიუჯეტს, არა მარტო სამართლის არამედ სხვა პროგრამებისთვის, ფორმა შემუშავებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობით და აკადემიური საბჭოს უშუალო ჩართულობით, ბიუჯეტი ანუ შემოსავლებისა და ხარჯების ფორმა ითვალისწინებს გარემოებას, რომ მაქსიმალურად ზუსტად დაითვალოს 2 250 ლარის პირობებში მინიმუმ რამდენი სტუდენტია საჭირო აუცილებელი ხარჯების დასაფარად, დაწესებულების წარმომადგენლები ეცადნენ, რომ ფორმა ყოფილიყო უნიკალური და მორგებოდა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებსა და ყველა პროგრამას. ცნობილია, რომ ერთი, კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცება საუნივერსიტეტო სივრცეში არ ხდება, რადგან 100-200 პროგრამაა, ამიტომ ეცადნენ ხარჯების დათვლის პრინციპი ყოფილიყო ისე მინიმუმ რამდენი სტუდენტი იყო საჭირო აღნიშნული პროგრამების განვიტარება/განხორციელებისათვის. აღნიშნული უნივერისტეტის შემთხვევაში ბაკალავრიატს სჭირდება მინ. 20 სტუდენტი ხარჯების დასაფარად, და აქედან გამომდინარე 2 250 ლარის პირობებში, მაგისტრატურის საფეხურზე კი 14 სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ რაკი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ორივე პროგრამასთან დაკავშირებით უპასუხა, მასაც აქვს კითხვა, თუ სად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო საფეხურის ბიუჯეტში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბაკალავრიატში არ არის კვლევის ნაწილი, სწორედ ამასთან დაკავშირებით დაისვა კითხვა 300 კრედიტის შესახებ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასძინა, რომ საუბარი იყო პრაქტიკის კომპონენტის შესახებ. მისი კითხვა მგომარეობდა შემდეგში თუ 300 წერია და ინსტიტუცია 20 ლარს ანგარიშობს სტუდენტზე, მაშინ უნდა იყოს 15 სტუდენტი.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბაკალავრიატის ბიუჯეტის ფორმასთან წერია, სასწავლო კომპონენტი - 240 კრედიტი, მან იფიქრა, რომ ეკითხებოდნენ სამაგისტრო პროგრამაზე,
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ საუბარია პრაქტიკაზე, რომელზეც მიწერილია 300 ლარი. მან გააზიარა ეკრანი და აჩვენა დამსწრე პირებს, რომ პრაქტიკის ანაზღაურება - 300 ლარი. თუ ეს არ უნდა ყოფილიყო საბჭოსთან მაშინ, განმარტონ რომ არ უნდა ყოფილიყო.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ ეს არის ბრძანებით, უბრალოდ მიღებული ფორმა, და მას შეუძლია გააზიაროს კიდევ რა დოკუმენტი უნდა იდოს „სამართლის“ პროგრამასთან ერთად.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, დოკუმენტებს ნაწილ-ნაწილ აწვდიან, გაზიარებულია ცენტრთან და ცენტრი არ აწვდის საბჭოს წვრებს თუ რა ხდება. დააზუსტა იყო თუ არა გადაგზავნილი ცენტრთან და ექსპერტთა ჯგუფთან.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ იყო გადაგზავნილი ცენტრთან და დევს დანართებში.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, კახა კუპატაძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ფორმა რომელიც მასთან დევს და დაწესებულებამ დაამუშავა რეკომენდაციების გაცემის შემდეგ, არ წერია პრაქტიკის ანგარიში და მოიხადა ბოდიში ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით, თუმცა ბაკალავრიატის პროგრამაში აღნიშნული ხარჯი არ არის, რადგან პრაქტიკა კრედიტში არ არის გათვალისწინებული და ეს 300 ლარი ხარჯადაც არ უნდა იყოს მითითებული, მაგრამ რომც იყოს 300 ლარი ეს იქნება ტექნიკური ხარვეზი, თუმცა 300 იქნება 400 თუ 500 ლარი ხარჯი ეს დიდ გავლენას ვერ მოახდენს სტუდენტების იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა, თითოეულ პროგრამაზე დაწესებულებას ყავს მინიმუმ 25-30 სტუდენტი ჯგუფში, 20 სტუდენტია სჭირო იმ ფორმის გათვალისწინებით, რომელიც მას უჭირავს და 300 ლარი იქნება პრაქტიკის ხარჯი, თუ 2 000 ეს გავლენას ვერ ახდენს, პროგრამის ფინანსურ სტაბილურობაზე.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა ცენტრის წარმომადგენელს, ანა ლელაძეს სთხოვა გადაემოწმებინა არის თუ არა ყველა მასალა საბჭოსთან მიწოდებული.
ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ საბჭოს მიწოდებული აქვს ყველა დოკუმენტი, თუმცა კიდევ გადაამოწმებდა გაზიარებულ დოკუმენტებში, მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესაც შეუძლია დაადასტუროს, რომ წვდომა ჰქონდა ყველა დოკუმენტზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ წვდომა ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტზე, მათ რა დოკუმენტებიც ჰქონდათ იმით იხელმძღვანელეს.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ხედავდა აღნიშნულ ორ დოკუმენტს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ბაზრის კვლევასთან დაკავშიირებით კითხვაზე უპასუხა, რომ უნივერსიტეტი ცალკე აკეთებს პროგრამების მიხედვით ბაზრის კვლევას, მაგრამ ყველა პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს საკუთარ კვლევას კონკრეტული მიმართულებით. მან გაიხსენა 2020 წელი უნივერსიტეტის რამდენიმე პროგრამის მიხედვით იქნა ბაზარი გამოკვლეული საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის „ვუმენის“ მიერ და მიიღეს გარკვეული შედეგები, თუმცა სამართლის პროგრამის წარმდგენ ფაკულტეტს გააჩნია თავისი დამსაქმებლებთან ურთიერთობის პოლიტიკა და პროგრამის ხელმძღვანელს გაკეთებული აქვს დამსაქმებელთან ინტერვიუს ანალიზი, რისი დოკუმენტიც წარდგენილია.
პროგრამის ხელმძღვანელი, მამუკა შენგელიამ განაცხადა, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24-მა რესპოდენტმა და ზოგადად, დამსაქმებლების გამოკითხვა ხდება ორ წლიან დინამიკაში,

ამიტომ გამოკვლევა ძირითადად ეყრდნობა 2019 წლის ოქტომბრის გამოკითხვას, ის რეგულაციები და რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა აღნიშნულთან დაკავშირებით, 2021-2022 წლის ოქტომბრის თვეში იქნება გათვალისწინებული. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით გამოიკვეთა მთელი რიგი შენიშვნები, თვითონ დამსაქმებლების მიერ და ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო იმაზე, რომ კურსდამთავრებულები უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან თეორიულ სწავლებაზე, კომუნიკაციაზე, და კარგი იქნება, თუ პრაქტიკული კომპონენტები დაემატება პროგრამას, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და მოქმედ პროგრამაში, გაიზარდა პრაქტიკული საათები სხვადასხვა სასწავლო კურსებში, რაც მონელებულიც კი იქნა სიტყვიერ დონეზე, 2021 წლის ოქტომბერში კი ალბათ დოკუმენტებშიც აისახება, თვითონ დამსაქმებლები კი ორიენტირებულნი იყვნენ, რომ უფრო მეტად ჩართულიყვნენ ახალი საბაკალავრო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით. 24 რესპოდენტი აბსოლუტურად რელევანტური და ვალიდურია, რადგან ზოგადად დაახლოებით 40-მდე კერძო და საჯარო იურიდიული პირი არიან, მაგ., ბანკები, რომელთა იურისტებიც ადგილზე არიან და შესაბამისად დასაქმების ბაზარი არის.

20:10 საათზე სხდომას შემოუერთდნენ დავით კაპანაძე და ნინო ინასარიძე.

ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ განაცხადა, რომ სამართლის პროგრამა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 1992 წლიდან და მას შემდეგ ყოველ წელს არის კონკურსი განსახილველ პროგრამაზე, 2011 წლიდან 100 ადგილი ჰქონდათ მიღება, რომელზეც დიდი კონკურსი იყო, ერთ ადგილზე მინიმუმ 3 აბიტურიენტი იყო. 24 რესპოდენტი შრომის ბაზრის კვლევის შეიძლება იყოს რაოდენობით ცოტა, მაგრამ მიუხედავად ამისა უნივერსიტეტი და რეგიონი დაკომპლექტებულია მათი კურსდამთავრებულებით და არა მხოლოდ რეგიონი, არამედ ქვეყნის მასშტაბთაც არიან დასაქმებულები, შესაბამისად დეკანი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ საქართველოს მასშტაბით უნდა ჩაეტარებინათ კვლევა, მაგრამ შრომის ბაზრის კვლევა ცოტა რთული საკითხია, აქედან გამომდინარე რეგიონში უმნიშვნელოვანესია „სამართლის“ პროგრამის ფუნქციონირება, რადგან რეგიონის ახალგაზრდობას ეს პროგრამა ამაგრებს ადგილზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც იყო გაწერილი რეკომენდაცია პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა შენგელიამ განაცხადა, რომ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა, პროგრამის განხილვის დროს რამდენჯერმე წამოიწია იმ საკითხმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა რეკომენდირებული, რომ კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ჩაშლილიყო სამ, დამოუკიდებელ სასწავლო კურსად, თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსის სახით, შემდეგ უკვე რაღაც დონეზე შეუძლებელი გახდა, თუმცა მათ ექსპერტთა რეკომენდაციაში მიუთითეს, რომ გათვალისწინებული იქნება პროგრამის განვითარებასთან ერთად უახლოეს პერიოდში და კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართლის მიმართულებით, კერძო სამართლის მიმართულებით, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით და კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით ალბათ ერთობლივად შესაძლებელია დაჯგუფდეს და შეტანილი იქნება დამოუკიდებელ სასწავლო კურსად.

წინაპირობებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, თუმცა ზოგიერთ მათგანში ექსპერტებსაც ჰქონდათ მინიშნება ცალკეულ საგნებზე მიზანშეწონილი/რეკომენდირებული იყო ახალი წინაპირობა მიმატებოდა ეს იყო „სასამართლო უნარ-ჩვევებსა“ და „საადვოკატო უნარ-ჩვევებზე“, დაწესებულება ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას და უახლოეს პერიოდში, როდესაც დაიწყება სხვა სამუშაოები აღნიშნული პროცედურაც განხორციელდება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ გადახედა ყველა საგანს და ზოგადად, მისთვის ძალია მისასალმებელია, როდესაც ყველა საგანს არ აქვს ერთიდაიმავე რაოდენობის კრედიტები, კარგი პრაქტიკაა, რადგან ჩანს, რომ დაწესებულებამ იმსჯელა, აწონ-დაწონა და დაფიქრდნენ პროგრამის შედგენაზე. სასწავლო კურსს „ადამიანის ძირითადი უფლებები და

თავისუფლებები“ აქვს მხოლოდ 4 კრედიტი, უმეტესობას აქვს 5 კრედიტი და ზოგიერთს - 6, ეს არის საგანი, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტურია და გადის არა მხოლოდ ცოდნა-გაცნობიერებასა და სხვადასხვა უნარებზე არამედ ღირებულებებსა და ავტონომიურობაზეც გადის, დაინტერესდა რამ გამოიწვია ცოტა დროის დათმობა, რადგან არის საკითხები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია „ბავშვის უფლებათა სამართალს“ 5 კრედიტი აქვს და არჩევითი საგანია, საბჭოს წევრმა იკითხა, სჭირდება თუ არა ბავშვის უფლებათა სამართალს უფრო მეტი დრო ვიდრე ძირითად უფლებებს, დაინტერესა თუ რატო გადაწყვიტეს კრედიტების ასეთი განაწილება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა შენგელიამ განაცხადა, რომ გარკვეული საგნები, რომლებიც ჩაშლილი იქნა, ანუ წინაპირობა მისი „საქართველოს კონსტიტუციური სახელმწიფოლმოწყობის სამართალი“ 6 კრედიტიანია, ამიტომ მიიჩნიეს, რომ წინაპირობა ყოფილიყო 6 კრედიტიანი, სადაც ასევე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, თუმცა ქართულ საუნივერსიტეტო, იურიდიულ სივრცეში „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ უმნიშვნელოვანესი საგანია და გამომდინარე აქედან, მხოლოდ 4 კრედიტია და რადგან წინაპირობაში იქნა ბევრი ცალკეული კომპონენტი და თემატიკა გათვალისწინებული უფრო მეტად „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ ამ შემთხვევაში 4 კრედიტიანია. გარდა ამისა რადგან ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ითვალისწინებდა იმიტირებული სასამართლო პროცესის დამატებას პრაქტიკული კომპონენტის სახით, იქნება გათვალისწინებული და იურიდიული კლინიკა, რომელიც გამოიწვევს, როგორც არჩევითი ისე სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების გადახედვას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა ისწავლება თუ არა „საქართველოს კონსტიტუციური სახელმწიფო მოწყობის სამართალი“ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ძირითადი ნაწილი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მთლიანად არ ისწავლება, მაგრამ ზოგადი სახით ისწავლება. შესაძლებელია ცალკეულ საკითხთან მიმართებაში „საქართველოს კონსტიტუციური სახელმწიფო მოწყობის სამართლიდან“ რაღაც საკითხები შემცირდეს, ამიტომ 6 კრედიტი მას, ისევე როგორც ცალკე აქვთ „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, რადგან „საქართველოს კონსტიტუციური სახელმწიფო მოწყობის სამართალი“ 6 კრედიტიან საგნად არის მოაზრებული ამიტომ უპრიანია „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, თუმცა აბსოლუტურად ეთანხმება საბჭოს წევრის შენიშვნას.

სწავლის მექანიზმებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თითოეულ სილაბუსში სალექციო კურსის შემდეგ ჩაშლილია პრაქტიკული სწავლის მეთოდები, რეკომენდაცია ითვალისწინებდა როლურ და სიტუაციურ თამაშებს, რომელიც დაფიქსირებული იყო მხოლოდ მეთოდის სახით, რა თემატიკაზე იქნებოდა თითოეული მათგანი, თითოეულ სილაბუსში ჩაშლილია აწ უკვე რეკომენდაციით გათვალისწინებულ იმიტირებულ პროცესში რამდენი ქულა იწერება რა სამუშაოს შესრულებისათვის, დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს რეკომენდაციის გათვალისწინება რეფერატთან, კვლევით ნაშრომთან დაკავშირებით, რომელიც კიდევ უფრო მეტად იქნება მიმართული სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე, სამეცნიერო კვლევებზე შემუშავების კუთხით და სასამარლო გადაწყვეტილებებზე მუშაობის კუთხით, რეფერატი ჩაშლილი იქნება არჩევით სასწავლო კურსებში, გათვალისწინებული იქნება ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში.

დამატებით ლიტერატურასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს უკვე სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილება იყო, თუმცა ზოგადი მითითება არსებობს, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში ვერ მოხდეს ინგლისურის გათვალისწინება, მაგრამ სხვა სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ იყო ორი დოკუმენტი - ინიცირების დოკუმენტი, რომელშიც არ ეწერა და შემდეგ იყო დამტკიცებული ბიუჯეტი, თარიღით და ხელმოწერად, შესაბამისად ლოგიკურია იმსჯელონ დამტკიცებული ბიუჯეტით და არა

ინიცირებულით, რადგან დამტკიცებული ბიუჯეტი არის შემდეგ, ვიდრე ინიცირების დოკუმენტი, რაც შეეხება ფრაზას მნიშვნელობა არ აქვს რა ციფრი ეწერება, განმარტა, რომ ბიუჯეტს სჭირდება ფაქიზი დამოკიდებულება, რამდენი სტუდენტიც იქნება იმდენი თანახა უნდა იყოს.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დაინტერესდა, მიუხედავადი იმისა, რომ თვითონ არ არის დოკუმენტაციის გამგზავნი პირი, შესაბამისი სამსახური აგზავნის, მაგრამ დაინტერესდა დამტკიცებულ ბიუჯეტში იყო თუ არა ხარჯი 300 ლარი.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ ეს იყო 175-ე დადგენილება.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება არის ფორმასთან დაკავშირებით და მასში არ წერია, რომ არის „სამართლის“ საბაკალავრო პროგრამის, თავზე აწერია „ბიუჯეტი“ ფორმა, რომელშიც ცვლადი და მუდმივი ხარჯები ასახულია ნიმუშების სახით, დამტკიცებულია ფორმა 2018 წელს და წიანსწარ არავინ იცის რამდენი სტუდენტი ეყოლება, რადგან როდესაც მტკიცდება პროგრამა შემდეგი წლების განმავლობაში აცხადებენ სავარაუდო მიღებას, რომელთა შესაბამისად საზღვრავენ სავარაუდო ხარჯებს იმის მიხედვით თუ რა შემოსავალი ექნებათ.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძემ გადაგზავნა სამაგისტრო საფეხურის ბაზრის კვლევა, რომლის კითხვებიც იდენტურია საბაკალავრო საფეხურის ბაზრის კვლევისა, კითხვებიც კი საბაკალავრო საფეხურზეა დასმული.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებიდან გამოგზავნილ დანართ 14-ში არის დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება, არის სერთიფიკატები, ტრენინგებში მონაწილეობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტაცია და ფოტო მასალა, არის ტრენინგი „სამეცნიერო წერა“ ასეთი შინაარსის ტრენინგი და დაინტერესდა რა მიზნით უტარდებათ პროფესორებს და რას ნიშნავს, საბჭოს წევრი ასევე არ გამორიცხავს რომ ეს იყო სტუდენტების ტრენინგი და შემთხვევით მოხვდა აღნიშნულ დოკუმენტებში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა დონორების მონაწილეობით, რომელიც ითვალისწინებდა სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული კომპონენტების განვითარებას აკადემიურ პერსონალთან მიმართებით და სტუდენტები არ ყოფილან ჩართულნი. უცხოელმა ექსპერტებმა გადაამზადეს სამეცნიერო კვლევის სტანდარტებში, მოხდა მათი გამოცდილების გაზიარება.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დააზუსტა ჩაუტარდა თუ არა აკადემიურ პერსონალს ტრენინგი სამეცნიერო ნაშრომების წერაში.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს დაკავშირებული იყო უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებასთან/ციტირებასთან დაკავშირებით. მათ ჰქონდათ ახლებური ხედვა და ტრენინგს ატარებდა ამერიკის უნივერისტეტის ორი პროფესორი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა იკითხა აღნიშნული ხომ არ ეხებოდა მაღალ Impact ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ ზუსტად ამას ეხებოდა და დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშშიც აქვს ასახული ერთ-ერთ სუსტ მხარედ, რომ მაღალი დონის Impact ფაქტორიან ჟურნალებში მეტი კვლევა გამოქვეყნდეს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აკადემიური მოსწრების ბოლო კვლევა განხორციელდა 2018-2019 წლებში, რადგან ივნისში ჩაბარდა პროგრამა დაწესებულებას გააჩნია 2019-2020 წლის კვლევაში, რომელიც ვერ მოხვდა გადაგზავნილ დოკუმენტაციაში.
საბჭოს წევრის, დიანა მჭედლიშვილის თქმით თვითშეფასების ანგარიშში დაწესებულებას უწერია, რომ სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი 200, გადახედა პერსონალის წარდგენილ რეზიუმეებს და უკმარისობის გრძნობა დარჩა ამასთან დაკავშირებით. იგი

დაინტერესდა, თუ როდის განახლდა რეზიუმეები. აქვე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას აქვს ერთიანი ფორმა და რაღაც სიხშირით ხდება განახლება, მისი მოსაზრებით ბოლო პერიოდში განახლებული არ არის.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ცალკეულ პერსონალთან მიმართებაში შესაძლებელია გარკვეულ უზუსტობას შეიცავდეს, რადგან დაახლოებით ერთი წელია რაც CV-ის ფორმები შეგროვდა რათა პროგრამას თან დართულიყო და მონაცემებში, თვითშეფასების ანგარიში მოგვიანებით იქნა შესრულებული და შესაძლებელია, საბჭოს წევრი აბსოლუტურად მართალი იყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ რამდენი რეზიუმეც გახსნა 2012 წელს ზევით მონაცემი არ წერია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს ძირითადად არის მოწვეულ პერსონალთან და იმ პერსონალთან დაკავშირებით, რომლებიც ეწევიან მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას და არ არიან დაკავშირებულნი სამეცნიერო საქმიანობასთან, აკადემიურ პერსონალს შედარებით უფრო მოწესრიგებული სახით აქვს გაკეთებული ყველაფერი.
ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი არის საბჭოს წევრებისთვის განკუთვნილ „ფოლდერებში“ ატვირთული, შესაბამისად მას არ სურს, რომ ეჭვის ქვეშ იდგეს საკითხის, რომ რაიმე დოკუმენტი ცენტრს გამორჩა და არ ატვირთა.

20:37 საათზე სხდომას შემოუერთდა ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი.
20:38 საბჭო დატოვა გაიოზ ფარცხალაძემ.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი, 0421
12	კვალიფიკაციის კოდი	0421
13	სწავლების ენა	ქართული

14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი N1; 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ორი სამაგისტრო პროგრამა იქნა აკრედიტებული 2011 და 2012 წელს, მოცემულ შემთხვევაში წარდგენილია სამართლის სამაგისტრო პროგრამა და დასკვნის აღწერილობითი ნაწილში სრულად არის წარდგენილი აღნიშნული პროგრამების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2015 წელს და აკრედიტაციის დებულების მიხედვით ეს იწვევს სწავლის შედეგების გადაწყობას, კვალიფიკაციის ცვლილებასა და შესაბამისად რეაკრედიტაციის საფუძველი ხდება.
„სამართლის“ სამაგისტრო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.2. კომპონენტთანმიმართებაში:

პროგრამის სწავლის შედეგის ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში, რეკომენდირებულია, სწავლის ყველა შედეგი ე.წ. აქტიური ზმნების ფორმატში, ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული საფეხურების მიხედვით იქნეს წარმოდგენილი;

რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგი ცოდნა/გაცნობიერების ნაწილში პირდაპირ არ იმეორებდეს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შედეგებს, მორგებული იყოს პროგრამაზე და ითვალისწინებდეს მის ინდივიდუალიზმს;

2.3. კომპონენტთანმიმართებაში:

რეკომენდებულია, უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდიფიცირება იმ თვალსაზრისით, რომ მათმა ერთობლიობამ უზრუნველყოს ასევე სამოსამართლო ეთიკის წესების, ქართული სამართლის ევროპეიზაციის საკითხების, შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის სწავლება;

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები „საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, „ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის სამართლის პროცესში“ მოდიფიცირებული იქნეს თემატიკის შესატყვისი კონკრეტული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიმართულებით და აღნიშნული სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკიდან გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში;

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სრული მოდიფიცირება, ისე რომ პროგრამის შედეგები შეესაბამებოდეს სამართლის დარგობრივი მახასიათებლის ეროვნულ სტანდარტს. შესაბამისად შერჩეული უნდა იქნეს ის სასწავლო კურსები, რომელსაც შედეგზე გაჰყავს სტუდენტი.

2.4. კომპონენტთანმიმართებაში:

რეკომენდებულია, უსდ-მ პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში დააზუსტოს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, ვინაიდან შეუძლებელია სტუდენტი შუალედურ გამოცდას აბარებდეს 10 საკონტაქტო საათის განმავლობაში ან პრაქტიკის შეფასებას ახდენდეს 12 საკონტაქტო საათის განმავლობაში;

რეკომენდებულია, სპეციალობით დასაქმებული სტუდენტები (მაგალითად, ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი, იურიდიული სამსახურის თანამშრომელი და ა.შ.), რომლებსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალით გააჩნიათ იურისტის პრაქტიკული უნარები, განთავისუფლდნენ პრაქტიკის კომპონენტისაგან და მათ მიერ სავალდებულო კრედიტების დაგროვება განხორციელდეს სხვა ალტერნატიული მექანიზმით, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კურსების ხარჯზე;

რეკომენდებულია, უსდ-მ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დააზუსტოს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ისე, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 750 საათს (30 ECTS);

რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს დაცული სამაგისტრო ნაშრომების სრული აღრიცხვა, რათა გარე შემფასებლებს მიეცეთ მათი ანალიზისა და ობიექტური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა;

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ყველა საჭირო მაჩვენებელი უსდ-ის მიერ ასახოს სრულად, რათა გარე შემფასებლებს გააჩნდეთ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ანალიზისა და სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა;

2.6. კომპონენტთანმიმართებაში:

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა, მათ შორის, უარყოფით შეფასების სამართლებრივი შედეგები.

3.2. კომპონენტთანმიმართებაში:

სამართლებრივად გაიწეროს ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები;

დარეგულირდეს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები ნათლად და გარკვევით; გაიწეროს რეცენზენტის მიერ გაცემული დასკვნის სამართლებრივი შედეგი;

5.2. კომპონენტთანმიმართებაში:

რეკომენდირებულია, გარე ხარისხის შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა თუ გაუთვალისწინებლობის შესახებ მონაცემები თვითშეფასების ანგარიშში აისახოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ია ჩხეიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მისი თქმით დიდი გამოწვევა იყო აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა, რადგან თვითონ აღნიშნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და მისი მოსაზრებით, როდესაც რეგიონში ამთავრებენ უნივერსიტეტს შემდეგ უწევთ გარკვეული წვლილის შეტანა უნივერსიტეტის განვითარებაში. კიდევ უფრო ამაღელვებელი იყო მისთვის განსახილველ პროგრამაზე მუშაობა, რადგან მას უწევს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, საპროკურორო მიმართულებით და დღეს მისივე სტუდენტები არიან კოლეგები და იცის ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან, ასევე მისთვის ცნობილია თუ რატომ უნდა იმუშაოს აღნიშნულმა პროგრამამ რეგიონში, რადგან სტუდენტები, რომლებმაც შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაფარეს დასაქმების თვალსაზრისით, ამბობენ, მათ რეგიონში რომ არ ჰქონოდათ განათლების მიღების შესაძლებლობა ვერ მიაღწევდნენ წარმატების მიღწევას, აღნიშნულ ბავშვები საქმიანობენ პროკურორად კახეთის რეგიონში, თბილისში, გენერალურ პროკურატურაში, მის ერთ-ერთ სტუდენტს უკავია საკმაოდ სერიოზული თანამდებობა, სამტრედიის რაიონული პროკურორის მოადგილეა და ასეთი ძალიან ბევრია. დაწესებულება მუდმივად გადიოდა კონსულტაციას მათთან, და იზიარებდა მათ მოსაზრებას, შესაბამისად უნდა იზრუნონ, რომ პროგრამამ იარსებოს და ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. მან განაცხადა, რომ დაწესებულება ფაქტობრივად იზიარებს რეკომენდაციებს.

საგნებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როგორც კი დაწესებულებამ მიგნებები მოისმინა და ვიზიტის დროს გაჟღერდა აღნიშნული საკითხი, მაშინვე თქვეს, რომ ეს გარკვეულწილად წარმოადგენდა პროგრამას, მეორე დღესვე აკადემიურ პერსონალს გააცნეს რეკომენდაციები და არგუმენტირებულ პასუხში წარადგინეს რომ ჩაასწორეს კურიკულუმი და სილაბუსები, სავალდებულო საგნების რაოდენობა გაზარდეს, პირველ და მეორე სემესტრში 15-15 კრედიტით აითვისებს სტუდენტი სავალდებულო საგნებს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სამეცნიერო წერის საფუძვლები, დაემატა საგანი „სამოსამართლეო სამართალი“ და მეორეს სემესტრში იმ კონცენტრაციით, რომ სტუდენტს ჰქონდეს საბაზისო ცოდნის ათვისების შესაძლებლობა ყველა დარგიდან გათვალისწინებულია სისხლის შედარებითი სამართალი, კერძო შედარებითი სამართალი და საერთაშორისო შედარებითი სამართალი, ასევე მნიშვნელოვანია ევროპეიზაცია, ასოცირების ხელშეკრულების გამო, რადგან ძალიან ცოტა მიმართულებაა, რომელსაც ეს არ შეეხო, მათ შორის განათლებას, პროკურატურას, ასევე დაემატება „ევროკავშირის სამართალი“ და მისი მთავარი აქცენტი ასოცირების ხელშეკრულება იქნება. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული საკითხები.

სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით არსებულ ზოგად რეგულაციებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს ზოგად რეკომენდაციებზე და პირველი ვარიანტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი, წარდგენილიც იყო აკადემიურ საბჭოზე, რომელმაც მიუთითა რომ დასაზუსტებელი იყო საკითხები გასაჩივრებასთან დაკავშირებით და დაუბრუნდა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს დასამუშავებლად, თუმცა სექტემბრიდან შესაძლებელია არსებობდეს აღნიშნული დოკუმენტი და იქამდე სწორედ იმიტომ, რომ ეს დანაკლისი შეევსოთ და სტუდენტს გაეაზრებინა თუ როგორი უნდა იყოს

მუშაობის ინდივიდუალური გეგმა, ამიტომ გაწერეს ერთ სემესტრის განმავლობაში და სილაბუსი მეტ-ნაკლებად შეავსეს, რომ გეგმა შეეთავაზებინათ სტუდენტებისთვის. საათების გადანაწილება გასწორდა და გადანაწილდა სწორად, 50 საათამდე გაიზარდა საკონტაქტო და 8 საკონტაქტო ურთიერთობის.

20:48 საათზე საბჭოს შემოუერთდა ელიზბარ ელიზბარაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამის შრომის ბაზრის კვლევა იწყება კითხვით შეესაბამება თუ არა საბაკალავრო დონეს, შემდეგ ფიგურირებს იგივე 24 რესპოდენტი და კითხვარი, დანართი საბაკალავრო და სამაგისტრო შრომის ბაზრების კვლევისა ერთიდაიგივეა და იმეორებს ერთიდაიგივე შეცდომას, იგი დაინტერესდა რამე სხვა კვლევა ხომ არ ჰქონდა დაწესებულებას წარდგენილი, რომელიც მან ვერ გახსნა, თუ ეს არის, მაშინ დაინტერესდა თუ როგორ შეისწავლეს აღნიშნული კვლევით შრომის ბაზრის მოთხოვნა სამაგისტრო საფეხურზე.

მან კიდევ ერთხელ გადაამოწმა ბიუჯეტის დოკუმენტი, რომელსაც თავზე აწერია სამართალი, იგულისხმება, რომ 14 სტუდენტი უნდა მიიღონ და დაინტერესდა თუ სად არის სამაგისტრო კვლევების დაფინანსება.

მისთვის გაუგებარია ეს პროგრამა ახალია თუ რაც იყო იმის სამართალმემკვიდრეა, და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტა მისთვის.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით, მათ მოითხოვეს 6 სამაგისტრო ნაშრომი და გადაეცათ 4, რომელთაგან ერთი არ იყო ის რაც მოითხოვეს, დაინტერესდა თუ რითი დაასაბუთა დაწესებულებამ რატომ ვერ გადასცა ის კონკრეტული 6 ნაშრომი და ხომ არ უნახავთ შეფასება, ხომ არ ჰქონდათ საშუალო ან საშუალოზე დაბალი შეფასებები. მან დასძინა, რომ ნაშრომები მოწმდება Turnitin-ის პროგრამაზე და არ უნდა ყოფილიყო რთული ნაშრომების ელექტრონული ვერსიების გადაცემა ექპერტებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასებასთან დაკავშირებით მისთვის გაუგებარია რეცენზენტი მხოლოდ სიტყვიერად წერს დასკვნას თუ წერილობითაც, ან როგორ აისახება შემდეგ 100 ქულაში, რატომ უნდა მივიდეს ურთიერთშეთანხმებაზე რეცეზენტი და კომისია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგებში წერია „აფასებს იურიდიდული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს….“ სასწავლო კურსებზე გადახედვის შემდეგ სამოქალაქო პროცესში კომპეტენცია რომ ჰქონდეს, უშუალოდ მტკიცებულებების ნაწილში ვერაფერი შეამჩნია და ცალკეულ სილაბუსშიც ვერ მოძებნა მსგავსი რამ. იგი დაინტერესდა, რომ საბაკალავრო პროგრამაში მტკიცებულებები მხოლოდ ორ თემად ისწავლება და საკმაოდ მოცულობითა, აქ კი ვადები სამოქალაქო და საპროცესო სამართალში მთელი სემესტრის კურსად არის გაწერილი და კიდევ სადმე სხვაგან სწავლობს სტუდენტი მტკიცებულებების საკითხს და გაბნეულია, ვადები უფრო მნიშვნელოვანია ვიდერე მტკიცებულებები თუ რა ხდება, რადგან მისი ინფორმაციით პრაქტიკაში გამოცდის ჩაბარების შემდეგ შესვლის უფლება მოსამართლის დონეზე მაგისტრატური კურსდამთავრებულს აქვს, სწავლის შედეგზე გასვლის პრობლემა ხომ არ დგება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მან გადახედა ექსპერტების დასკვნა და გაეცნო პროგრამას, სავალდებულო საგნებში მითითებული სასწავლო კურსები, რასაც ადასტურებს დაწესებულება, რომ გადახედეს და გაიტანეს საბჭოზე, უნდა გადახედონ აუცილებლად, მაგრამ დარგობრივი პირდაპირ წერს, რომ „ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართულ კანონმდებლობაზე“ აღნიშნული შედეგი არცერთ სავალდებულო კურსს არ აქვს, დარგობრივის რამდენიმე შედეგი არის, რომელიც საგნებში არ დასტურდება, შესაძლებელია საგნებში გაბნეული იყოს და მან ვერ ნახა, თუმცა საკმაოდ კარგად გადახედა აღნიშნულ პროგრამას და დარგობრივის მოთხოვნა რაც არის, სამართლის მაგისტრის მიმართ იმაზე კი არ არის ძირითადი აქცენტი, პრაქტიკულ საკითხებს მოიცავს, რაც

ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა პრაქტიკული საკითხებიც შეიძლება ყოფილიყოს ევროკავშირის უახლესი გადაწყვეტილებები და სხვა, მაგრამ მან ვერ იპოვა, ძირითადად არის ყურადღება პრაქტიკაზე გამახვილებული. დაწესებულებამ აღნიშნა რომ განაახლეს პროგრამა და ეს სტანდარტი არის ნაწილობრივ შესაბამისობაში, რასაც ეთანხმებიან, მაგრამ საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ შეფასებულ დოკუმენტაციაზე, რაც შეცვალეს რომ გამოაგზავნონ საბჭო მაინც ვერ იმსჯელებს, რადგან ეს ექსპერტებმა უნდა ნახონ და შეაფასონ, მიუხედავად იმისა, რომ ხედავს მათ მზაობას ვერ იმსჯელებენ იმაზე, რაც ვიზიტის შემდეგ გააკეთეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ რეალურად ვიზიტის განმავლობაში აღმოაჩინეს, რომ არსებობდა საჯარო და სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამები 2012 წელს აკრედიტებული დაწესებულებას ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნული ორი პროგრამის გაერთიანების შესახებ და შემდეგ ხელახალი აკრედიტაციისთვის წარსადგენად, რეაკრიდატიციის შემდეგ სახეზეა ხელახალი აკრედიტაცია, კვალიფიკაციის ცვლილება და შესაბამისად გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებული პროგრამა არის ახალი და ის რეაკრედიტაციის მიზნისთვის ვერ იქნებოდა წარდგენილი, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია აღბეჭდა დასკვნის შესავალ ნაწილში. რაც იწვევს ძველი პროგრამების ვადის გასვლას, რაც ნიშნავს, რომ იმ ორ პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს შეუწყდებათ სტატუსი, ანუ პროგრამები 2012 წელს იყო აკრედიტებული, მაგრამ თვითშეფასებაშია ასახული, რომ 2015 წელს მიიღეს გადაწყვეტილება შიდაორგანიზაციულ დონეზე ორი პროგრამის გაერთიანებისთვის.

შრომის ბაზართან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს რჩევის ნაწილში აქვს მითითებული სწორედ პროგრამისთვის რელევანტური შრომის ანალიზი უნდა იყოს წარდგენილი და არა რეგიონალურ დონეზე ჩატარებული 24 რესპოდენტიანი კვლევა.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ისევე როგორც სხვა პროგრამების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომზე მეხუთი დანართშია ჩამონათვალი წლების მიხედვით, სათაურის დონიდან მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან თანხვედრაში, და სამწუხაროდ მათ მიერ გამოთხოვილი ნაშრომების სრული სია არ მიეწოდათ და არც დამატებითი განმარტება გაკეთებულა დაწესებულების მხრიდან. რაც დასკვნაში მითითებულია და სრულფასოვანი სურათი ვერ დაინახეს.

მისი თქმით პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები არის ის კურსები, რომლებიც მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლაზე, მოცემულ შემთხვევაში პროგრამის სწავლის შედეგები ფაქტობრივად იმეორებს სამართლის დარგობრივი მახასიათებელს და რეკომენდაციაშიც არის მითითებული, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებელი არის სარეკომენდაციო, რაც შემდგომ პროგრამის ინდივიდუალიზმში უნდა გამოიხატებოდეს და შესაბამისად შესაცვლელია სასწავლო კურსები, რომლებიც დარგობრივი სწავლის შედეგებზე უზრუნველყოფს გასვლას, ასევე აღნიშნული საგნების დონეებიც უნდა განისაზღვროს, რომელია შესავალი, განმავითარებელი და განმამტკიცებელი, გამაღრმავებელი კურსები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ორი პროგრამა სისხლის სამართალი და საჯარო სამართალი, მოხდა ამ პროგრამების გაერთიანება და დაემატა კერძო სამართალი, მაგრამ მთ რადგან აღნიშნული პროგრამები ხორციელდება არსებული პროგრამების ბაზაზე არსებული პროგრამა წარადგინეს, რაეკრედიტაციაზე, როგორც იმ ორი პროგრამის სამართალმემკვიდრე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს რიგი საკითხების დასაზუსტებლად, რომ ეს არის ახალი პროგრამა, რომელიც გადის რეაკრედიტაციას.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულების მიხედვით პროგრამების დაყოფის/გაერთიანების შემთხვევაში, პროგრამა ითვლება ახალ პროგრამად და შემოდის რეაკრედიტაციაზე, თუ მიენიჭება აკრედიტაცია, მიენიჭება,

როგორც ახალ პროგრამას, ის პროგრამები აკრედიტაციის ვადას ასრულებენ 15 მარტს და დაწესებულებას მოუწევს შიდა მობილობით სტუდენტები გადაიყვანოს ახალ პროგრამაზე, რადგან პროგრამა არის ახალი, რეესტრში დაფიქსირებულია ორი პროგრამა
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა, ვინც მეორე კურსზეა, ბოლო სემესტრში და უნდა დაამთავროს, ის სად უნდა გადაიყვანონ.

ცენტრის დირექტორის მოადგილე, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ უნდა გადაიყვანონ განსახილველ პროგრამაზე, თუკი მიიღებს აკრედიტაციას.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე გაინტერესდა შეუძლიათ თუ არა გადაიყვანონ პირდაპირ მეორე სემსეტრში დამამთავრებელ კურსზე.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ შეუძლიათ თუკი უღიარებენ კრედიტებს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ უნდა მოხდეს ყველა შიდა კრედიტის აღიარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კრედიტების აღიარება მოხდება ავტომატურად.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ თუ არ ემთხვევა ვერ უღიარებენ.
ცენტრის დირექტორის მოადგილე, ლაშა მარგიშვილმა დასძინა, რომ თავსებადი თუა შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ კრედიტების აღიარებას, თავსებადი თუ არ არის, არსუბული პროგრამა რომ ჩაეთვალათ მაინც ვერ დაასრულებდნენ, რადგან 15 მარტს გასდიოდა ვადა პროგრამას, ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს დაწესებულებას ახალი და ძველი პროგრამის თავსებადობის შედარება.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა ყავს თუ არა კურსდამთავრებული აღნიშნულ პროგრამას.
ცენტრის დირექტორის მოადგილე, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ სამართლებრივად განსახილველ პროგრამას კურსდამთავრებული არ ყავს, თუმცა ყავს ორ ძველ პროგრამას რომლის გაგრძელებაც არის აღნიშნული პროგრამა და რომლის სტუდენტებმაც უნდა გააგრძელონ სწავლა განსახილველ პროგრამაზე.
საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ განაცხადა, რომ სჯობდა პროგრამის ხელმძღვანელისთვის ეკითხათ.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა რომ ეს არის ახალი პროგრამა, ხოლო დაწესებულებამ პროგრამა შემოიტანა რეაკრედიტაციაზე.
საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი ყავთ, როგორ აპირებენ გადაყვანას და ა.შ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ უკვე არსებულ პროგრამებზე 55 სტუდენტი ირიცხება და არის აქტიური სტუდენტი, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, რადგანაც 15 მარტს შეუწყდება ვადა არსებულ პროგრამებს, დაწესებულება გამოაცხადებს შიდა მობილობას და მოხდება შესაბამისობის დადგენა, კრედიტების აღიარება და სტუდენტები გადავლენ ახალ პროგრამაზე.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ განცხადა, რომ ფაქტობრივად დაწესებულებამ გაამსხვილა ორი პროგრამა, ჰქონდა ორი ვიწრო პროგრამა და გაამსხვილა ისინი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა რეაკრედიტაცია, სწორედ მის გამო ჰქონდა კითხვა, რადგან დასკვნაში წერია ორი პროგრამის გაერთიანება და სტატუსი ახალი პროგრამა, მაგრამ დაწესებულებამ ახსენა რეაკრედიტაცია.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ რეალურად განსხვავება შედეგშია, აკრედიტაციის მინიჭებაში, რეაკრედიტაციის დროს პროგრამას მიენიჭება 7 წლიანი აკრედიტაცია და ახალი პროგრამის შემთხვევაში 4 წლიანი აკრედიტაცია.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა სთხოვა ცენტრის დირექტორის მოადგილეს დაეზუსტებინა რომელი უნდა განიხილოს საბჭომ აღნიშნულ შემთხვევაში.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ თუ კი საბჭო წავა სრულ აკრედიტაციაზე და მიანიჭებენ პროგრამას სრულ აკრედიტაციას, უნდა მიენიჭოს 4 წლის ვადით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა ვინაიდან სამართალი რეგულირებადია იქნება თუ არა იმხელა განსხვავება, რომ სტუდენტებს ვერ უღიაროს კრედიტები.
ცენტრის დირექტორის მოადგილის მოსაზრებით არ იქნება პრობლემა. ერთადერთი პრობლემა შეიძლება წარმოიშვას თუ სტუდენტს უნდოდა სისხლის სამართლის მაგისტრი კვალიფიკაცია ჩაწერილიყო მის დიპლომში, ახლა ეწერება ზოგადი სამართალმცოდნე.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამა გამსხვილდა, რაც ნიშნავს, რომ საგნების აღიარება არ უნდა იყოს პრობლემა, არჩევითი საგნები სტუდენტებს მისცემენ იმის საშუალებას, რომ აღიარებულ იქნას კრედიტები, რეაკრეტიტაციაზე წავა თუ აკრედიტაციაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა დაწესებულების პოზიცია, შედეგი მხოლოდ აკრედიტაციის ვადაშია, 4 წლიან აკრედიტაციას მიიღებენ თუ 7 წლიანს, სტუდენტების მობილობის საკითხის წინაშე დაწესებულება მაინც დადგება, როდესაც შეუწყდება აკრედიტაცია მოქმედ პროგრამებს, შესაბამისად დაწესებულებას ნაფიქრი ჰქონდა ამ საკითხზე.
საბჭოს წევრის, ნინო ინასარიძის მოსაზრებით დაწესებულებას ნაფიქრი და დათვლილი აქვს როგორ აღიარებენ კრედიტებს და ამ მხრივ მშვიდად არიან, რომ სტუდენტი არ დარჩება უკმაყოფილო და არ შეექმნება პრობლემა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მითუმეტეს თვითშეფასების ჯგუფში მოქმედი მაგისტრანტები შედიოდნენ, შესაბამისად ისინი საქმის კურსში არიან და ფლობენ ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ. დაწესებულებას გათვლილი აქვს ყველა რისკი, რომ არცერთი სტუდენტი არ დაზარალდეს და მათ საწინააღმდეგოდ ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა არიან თუ არა სტუდენტები ინფორმირებულნი კვალიფიკაციის სახელწოდების ცვლილების შესახებ.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ არიან ინფორმირებულნი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და არ აქვთ პრობლემა, რადგან მათთვის მთავარია მათ მიერ გავლილი საგნები, რომელსაც დიპლომის დანართი მოიცავს, მათი სამსახურეობრივი საჭიროებიდან არ იქნება პრობლემა, რადგან მათთვის ცნობილია ბაზარი და არცერთი მიმართულებით დამთავრება არ უშლის სტუდენტს ხელს, რომ სხვა მიმართულებით დასაქმდეს და არცერთი დაწესებულება არ ზღუდავს უკვე მინიჭებულ საგანმანათლებლო დონეზე კვალიფიკაციით, მთავარია შესაბამისი მიმართულებით საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს და კონკრეტულ ბაზარზე დასაქმდეს.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საბჭოს წევრი ამ შემთხვევაში სწორ დოკუმენტზე საუბრობს, სადაც გათვალისწინებულია 14 სტუდენტზე შესაძლო ხარჯები, ფორმა ითვალისწინებს ცვლად და მუდმივ ხარჯებს, რომელშიც გათვალისწინებულია ხარჯების ის მინიმალური მოცემულობა რაც არის აუცილებელი პროგრამის არსებობისათვის, ფორმაში ორი გრაფაა ცვლადი ხარჯი: ინფრასტრუქტურა და სხვა ხარჯები, თითოეული ჯგუფის მიხედვით და გარდა ამისა არსებობს რისკებს დაზღვევის მუხლი, რომელიც არის პროგრამის 10, ამ შემთხვევაში შეადგენს 3 000 ლარს, რომელიც შესაძლებელია მოხმარდეს ცვლად ხარჯებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა ხარჯებს, ამ უკანასკნელიდან შესაძლოა დაფინანსდეს კვლევის ხარჯი, ისევე როგორც რისკების დაზღვევა მოხმარდეს სხვა ხარჯებს, დაახლოებით ჯგუფის შემთხვევაში ეს იქნება 3 500 ლარი იმ შემთხევაში, როდესაც არის 14 სტუდენტი და ეს არის მინიმალურად დათვლილი ხარჯი 14 სტუდენტიან ჯგუფზე, თუმცა მაგისტრატურაში ყავთ 20-25 სტუდენტიანი ჯგუფი, შესაბამისად 15 000–20 000 ლარი შესაძლებელია მოხმარდეს კვლევით ხარჯებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია საბაკალავრო საკითხის განხილვისას დაწვრილებით განიხილეს შრომის ბაზრის კვლევის საკითხია და 2021 წლის

კვლევისას დაწესებულება აუცილებლად გამიჯნავს საბაკალავრო/სამაგისტრო ბაზრის კვლევებს და გახდება უფრო ყოვლისმომცველი. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას და 2021 წელს უფრო ფართო მასშტაბით განახორციელებს ბაზრის კვლევას.
რეცეზენტის როლთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რეცეზენტს მხოლოდ მას შემდეგ ეგზავნება ნაშრომი, რაც სამაგისტრო ნაშრომის ხელმღვანელი დადებით დასკვნას დაწერს და რეცენზენტის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება ავტორს და ეძლევა გარკვეული პერიოდი ხარვეზების გასასწორებლად, რომელზეც მიუთითებს რეცენზენტი, ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპი მოიცავს შემდეგს, ნაშრომის სათაურის თანხვედრის თავიდან ასაცილებლად წინასწარ ხდება აკადემიურ პერსონალთან სათაურების შეთანხმება, შემდეგ ხდება შედარება ბოლო ხუთი წლის ნაშრომებთან, ხომ არ იყო გამოყენებული და შესრულებული და ამის შემდგომ სტუდენტი ირჩევს ნაშრომს, შესაძლებელია სტუდენტს არ უნდოდეს ნაშრომის სათაურის სიტყვა-სიტყვით შერჩევა და ამ შემთხვევაში მას აქვს მოდიფიცირების უფლება.
21:15 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განმარტა, რომ მას არ დაუსვამს ხელმძღვანელისა და თემის შერჩევის საკითხი, იგი დაინტერესდა რატომ არ გადაეცა სამაგისტრო ნაშრომები ექსპერტებს სრულად, მან გადაამოწმა და აღებულია 2015-2018 წლის ნაშრომები, ანუ 2019-2020 წლის ნაშრომები არ არის, მას აქვს ეჭვი, რომ ექსპერტები მოითხოვდნენ ბოლო წლების ნაშრომებს, ასევე დაინტერესდა თუ როდიდან გადის Turnitin-ის პროგრამაზე პლაგიატზე შემოწმებას ნაშრომები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან წარდგენილი ნაშრომები საკმაოდ მაღალი შეფასებითაა, ორი A და ორი B.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მოხდა ტექნიკური გაუგებრობა, რადგან ცენტრის მიერ გადაცემული იყო ნომრები, თუ რომელი სამაგისტრო ნაშრომები უნდა წარედგინა დაწესებულებას, რა თქმა უნდა ბოლო 5-6 წლის სამაგისტრო ნაშრომები ელექტრონული სახით ისედაც ჰქონდა უნივერსიტეტს, თუმცა 5 წლით ადრე დაცული ნაშრომები გადაცემულია არქივში, თუმცა დეპარტამენტი ინახავს ელექტრონულ ვერსიებს, 2018 წლიდან დაწესებულება ჩართულია Erasmus+-ის პროექტში და ყველა სამაგისტრო ნაშრომი ტარდება პლაგიატზე, მაგრამ მოხდა ისე, რომ ნუმერაციის გადაცემის შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ხელმძღვანელს სულ სხვა დოკუმენტი ჰქონდა გახსნილი 2019 წლის ბრძანებით დამტკიცებული სამაგისტრო ნაშრომების სია და 2020 სასწავლო წელს სამაგისტრო ნაშრომები არ იყო, ძველ დოკუმენტთან იყო შედარებული და ახალი იყო აღდგენილი საბჭოს წევრებთან და ექსპერტთა ჯგუფთან, ამიტომ მოხდა გაუბრებო და ვერ აღმოაჩინეს ნაშრომი 166 ნომრით, რადგან სია შეიცავდა 133 ნაშრომს, ამიტომ ჩათვალეს, რომ ნუმერაცია არეული იყო და არ წარადგინეს ექსპერტებთან წარდგენილი დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როგორ დაემთხვა, რომ ოთხივეს მაღალი შეფასება ქონდა.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ ერთი ვერ იპოვეს და გადააგზავნეს სხვა - გასაგებია, მაგრამ 2 არ იყო წარდგენილი, ანუ 6-დან წარადგინეს 4, მათ შორის ერთი სხვა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ 13-ის შემდეგ ნუმერაციით მოდიოდა ყველა ნაშრომი, რომელიც დაცული იყო 2020 წლის გაზაფხულზე, ამიტომ არცერთი ნაშრომი არ ყოფილა წარდგენილი, გაუგებრობა გულისხმობდა, რომ წარდგენილი იყო ძველი ნაშრომები და 153-ის ქვევით არცერთი ნაშრომი არ აქვთ წარდგენილი.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია რა მოხდა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახება დეპარტამენტში, როდესაც მან მიიღო ნუმერაციით დაწესებულების მხრიდან წარსადგენი ნაშრომები ნომრებით იქ იყო რამდენიმე, 5, 6, 8 შემდეგ 166, 167, მაგრამ როდესაც გადააგზავნა დეპარტამენტში მამუკა შენგელიამ უთხრა,

რომ მხოლოდ 133 ნაშრომი იყო დეპარტამენტში და ალბათ რაღაც გაუგებრობა მოხდა, რაც ნიშნავს, რომ 133-დან ქვემოთ ნაშრომები არის 2020 წლის გაზაფხულზე დაცული სამაგისტრო ნაშრომები, რომლებზეც შეთანხმდნენ, რომ მოხდა ტექნიკური ხარვეზი და ნუმერაცია იყო არეული, ამიტომ არ აქვთ არცერთი ნარომი ექსპერტებისთვის წარდგენილი

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის სერიოზული პრობლემაა, რადგან შესაძლებელი იყო ამ საკითხის დაზუსტება ექპერტებთან კომუნიკაციით, რადგან სამაგისტრო ნაშრომი ინდიკატორია, რომლითაც უნდა გაერკვიათ როგორ დაიწერა სამაგისტრო, თუ საერთოდ არ წარუდგენიათ მისთვის გაუგებარია თუ როგორ უნდა შეაფასონ.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა შენგელიამ განაცხადა, რომ გადაცემული იყო 6 ნაშრომის ნუმერაცია, საიდანაც 2015-2016 წლის ბრძანება იყო ცალკე და 2020 წლის ბრძანება იყო ცალკე, 133-ით მთავრდებოდა 2019 წლის ჩათვლით ბრძანება, ამიტომ როდესაც დაწესებულებაში მივიდა ექსპერტებისგან შესაბამისი 6 ნაშრომის ნუმერაცია, აქედან მოძებნილი იქნა 6 ნაშრომი და 2-ზე უთხრა, რომ ისინი არ ჯდებოდა 133-ში, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის სახით 2020 წლის ნაშრომებში ყოფილა ორივე ნაშრომი, რომელიც ვერ იქნა მოძებნილი, თუმცა შემდეგ დაზუსტებული სახით, როდესაც გადააგზავნეს 4 ნაშრომი ცენტრში, დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, რომ თუ რაიმე დასაზუსტებელი იქნებოდა ან დამატების მოთხოვნა იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფისაგან, შესაძლებელი იყო უფრო დეტალურად მოძებნა/განხორციელება და დამატებითი კითხვა აღარ მისვლიათ, შესაბამისად დაკმაყოფილდნენ 4 ნაშრომზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნუმერაცია წარდგენილი იყო დანართისთვის და დანომრილია, ნუმერაცია არაფრისმთქმელია, რადგან 8, 9, 133, 156, რომ მიაწოდეს იმ ნუმერაციის უკან არის სახელი გვარი და თემის სახელი. მისი თქმით სახელი და გვარი იკითხებოდა ნუმერაციიდან, დანომრილია თუ არა არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, იქ ეწერა კონკრეტული სახელი, გვარი და თემა, შესაბამისად მისთვის გაუგებარია თუ რა სირთულე უნდა ყოფილიყო. სახელი გვარებით მოითხოვეს და არა ნომრებით.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მამუკა შენგელიამ განაცხადა, რომ მასთან მივიდა მხოლოდ ნუმერაცია და არანაირი სახელი და გვარი არ მისულა, მასთან მივიდა მოთხოვნა ნომრების შესაბამისი სტუდენტებისა და ნაშრომების მოძებნისა და გადაგზავნის შესახებ.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა თუ რამდენი ნაშრომი მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა და რამდენი მიაწოდეს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა ცენტრის თანამშრომელს სთხოვა დაეზუსტებინა გვარებით მიეწოდათ ნაშრომების სია დაწესებულებას, თუ ნუმერაციით.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ, როდესაც მან ნახა დაადგინა - გამოითხოვეს 6 ნაშრომი, გადასცეს 3, რაც მოითხოვეს და მე-4 არა ის, რაც მოითხოვეს არამედ სხვა. დასკვნაში ასახეს, რომ სახელით, გვარითა და თემით იქნებოდა მიწოდებული, რა სამაგისტრო ნაშრომებიც ნახა, ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსგავსი თემატიკის ნაშრომები მოითხოვა: 1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების სამართლებრივი შედეგები; 2. ადმინისტრაციული სამართალწარმოების პირველი ინსტანციის სასამართლოში; 3. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის წარმოების თავისებურებანი; 4. ტერიტორიული მოწყობის პრინციპები უნიტარულ სახელმწიფოში. საბჭოს წევრი არ არის სამართლის სპეციალისტი, მაგრამ სახელებს შორის მსგავსებას ვერ ხედავს, შესაბამისად უჩნდება ეჭვი თუ რა იყო არ გადაცემის რეალური მიზეზი, ვერ ისმენს ამ საკითხის დასაბუთებას.

ექსპერტმა, დავით ელისაბედაშვილმა განაცხადა, რომ რაც შეეხება ნაშრომების გამოთხოვას, თვითონ იყო 2 ნაშრომის გამოთხოვის ინიციატორი, რადგან ციფრობრივი სხვაობა იყო 1 და ვერ იქნა მოძიებული, ეს ყველაფერი კი იმაზე ნაკლები იყო ვიდრე აპელირებს დაწესებულება. ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა გაესაჯაროებინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიწოდებული

ციფრები, რა ციფრებზეა საუბარი და მას ზუსტად შეუძლია თქვას, რომ მის მიერ გამოთხოვილი ორი ნაშრომი იყო თანმიმდევრობით დაახლოებით 105-დან 115-მდე ნუმერაციით ერთი ნაშრომი მიიღეს მეორე კი ვერა.
ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ ნამდვილად ნუმერაციით მიაწოდეს ნაშრომების შესახებ ინფორმაცია.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ განცხადა, რომ საბოლოო შეფასებაში მესამე სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში, დასკვნაში კი ნაწილობრივ და ეს ტექნიკური ხარვეზია, რომ იცოდნენ რომელია სწორი.
ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ გადაგზავნილი იყო 3, 107, 109, 110, 143 და 156.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა გადაგზავნილი ნომრების მითითებით.
ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გაგზავნილი იყო ნომრების მითითებით, თუმცა სახელი და გვარი ქონდა ყოველ ნომერს მიწერილი.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ ნუმერაციას არ აქვს მნიშვნელობა.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საუბარი იყო 133-ზე, 2 ნაშრომი იყო 133-ზე მეტი, ეს იყო 2020 წლის ორი ნაშრომი, რომლებიც იყო ბრძანების მიღმა, ამიტომ მისწერეს ცენტრს, რომ არ იძებნებოდა ორი ნაშრომი და ელოდებოდა დამატებით მითითებას, რომელიც არ მისვლიათ.
ექსპერტმა, დავით ელისაბედაშვილმა განაცხადა, რომ 107, 109 ან 110 ამ რიცხვებიდან ერთ-ერთი არ არის გადაგზავნილი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი ნაშრომი იყო მოთხოვნილი და რამდენი გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოთხოვნილი იყო 6 ნაშრომი, მიწოდა 4 ნაშრომი.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა გადაგზავნილი 4-დან რომელიმე თუ ემთხვეოდა მოთხოვნილ 6 ნაშრომს.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი 6 ნაშრომიდან გადაიგზავნა 4 ნაშრომი და გადაიგზავნა.
საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა, 4 ნაშრომი რომელიც გადაიგზავნა, იყო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი.
საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა ის 4-ია, რომელიც მოთხოვეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს ასე არ არის.
საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას მოსაზრებით განსხვავება იყო იმაში, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს იმ ნუმერაციით რა ნუმერაციითაც დაწესებულება აგზავნის სამაგისტრო ნაშრომების სიების ნუსხას, ხოლო ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ უნა ეხელმძღვანელა ბრძანებაში სტუდენტის ნომრით, რაც აცდენა იყო ნუმერაციაში.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა ამ შემთხვევაში როგორ დაემთხვა 3 ნაშრომი.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განცხადა, რომ გვარები ცენტრს არ გადაუგზავნია.
საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა დაინტერესდა თქვა თუ არა ცენტრის წარმომადგენელმა, რომ გვარებიც გადაგზავნეს.
ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ მას არ უთქვამს გვარების გაგზავნის შესახებ, მან განმარტა, რომ თითოეული ნომერი ეკუთვნის კონკრეტულ გვარს.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ განცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილია სტუდენტის გვარი არ უნდა იყოს მითითებული სიაში.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა თუ აცდენა მოხდა ბრძანების ნომერსა და ნუმერაციის ნომერს შორის, მაშინ როგორ დაემთხვა 3 ნაშრომი, რა არის იმის ალბათობა, რომ 150 შემთხვევაში 3 თავისთავად დაემთხვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ უპასუხა, რომ ეს იყო 3/150 ანუ 1/50 არის ამის ალბათობა.

ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ განაცხადა, რომ დეპარტამენტი წარადგენს თემების ჩამონათვალს ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად, მაგრამ მანამდე აღნიშნული თემები არის მაგისტრანტებთან შეთანხმებული, მაგისტრანტსა და ხელმძღვანელს შორის ხდება დაზუსტება თემების, როდესაც დეპარტამენტი ფაკულტეტის საბჭოზე წარადგენს ამონაწერს, სანამ ფაკულტეტის საბჭოზე გავა მანამ ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება წინა წლების თემებთან შედარება და ამით ყოველთვის გამორიცხულია წინა წლის თემის გამეორება.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში სხვა ამოცანა დგას, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა 6 ნაშრომი, არ იყო თანხვედრა მოთხოვნილ ნუმერაციასა და უნივერსიტეტის ნუმერაციას შორის, მაგრამ მიუხედავად ამისა დაემთხვა 3.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა როდესაც ექსპერტთა ჯგუფს მიუვიდა სხვა ნაშრომები, მათ თუ აცნობეს დაწესებულებას, რომ ეს არ იყო მათ მიერ გამოთხოვილი ნაშრომები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიმართებები მყისიერად არ გადაუხედავს. შერჩეული სია შეარჩიეს თვითონ უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული დოკუმენტიდან, სადაც არის 156 კაციანი სია, ამიტომ იმ მომენტისთვის დღის ბოლოს, რომ დაამთავრეს და შემდეგ ნახეს, მაშინ აღმოაჩინეს გადაგზავნილი სხვა ნაშრომები.
ექსპერტმა, ზვიად როგავამ განაცხადა, რომ მათ მოითხოვეს მანამდე გაგზავნილი ნაშრომები, რომლებზეც უთხრეს, რომ არ იძებნებოდა, ცენტრმა ასე გადასცა, და საბოლოოდ ცენტრის წარმომადგენელმა უთხრა ექსპერტებს, რომ დაწესებულებას უთხრა რამდენჯერმე და სთხოვა დაეწერათ ისე, როგორც იყო გადაგზავნილი და ასეც მოიქცნენ.
ექსპერტმა, დავით ელისაბედაშვილმა დადასტურა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გაჟღერებული ინფორმაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:39
დასრულების დრო: 22:13

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვითშეფასებას განახორციელებს.
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს;

3. რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშის ყველა სავალდებულო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულფასოვნად იქნეს შევსებული;
4. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვით-შეფასებას განახორციელებს;
5. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მექანიზმის დონეზე სწორად არის გაწერილი, ასევე, სწორად იქნეს გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში, სამიზნე ნიშნულების დადგენასა და მონაცემთა შეგროვება-შეფასების პროცესში.
6. რეკომენდირებულია, კურუკულიმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე და ის დონეც, თუ რომელი რა დონით ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს;
7. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და თითოეული სწავლის შედეგისათვის ხელახლა დადგინდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, განხორიელდეს მონიტორინგი და მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადრება.
8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების შინაარსიდან და თემატიკიდან გამომდინარე, დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები, კერძოდ:
9. ა. სავალდებულო სასწავლო კურსს „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“; ბ. სავალდებულო სასწავლო კურსს „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“. გ.სავალდებულო სასწავლო კურსს „სასამართლო უნარ-ჩვევები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები: „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“. დ.არჩევით სასწავლო კურსს „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“; ე.არჩევით სასწავლო კურსს „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები „სახელშეკრულებო სამართალი“ და „შრომის სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“; ვ.არჩევით სასწავლო კურსს „სამოხელეო სამართალი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“. სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“;
10. რეკომენდებულია, იურიდიული კლინიკა შეტანილი იქნეს პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.
11. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსი „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა“ დაიყოს 3 დამოუკიდებელ სასწავლო კურსად „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სამოქალაქო

სამართალში“, „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას სისხლის სამართალში“ და „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ და სტუდენტებს შეეთავაზოთ თუნდაც არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში. ამასთან, სასწავლო კურსმა „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკას საჯარო სამართალში“ უნდა მოიცვას, როგორც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში.

12. რეკომენდებულია, თეორიული ცოდნისა და გამოცდილების პრაქტიკაში მყისიერი ტრანსფერის მიზნით, უსდ-მ სრულყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი და სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რა სახის როლურ და სიტუაციურ თამაშებში მონაწილეობა ან/და რა სახის პრაქტიკული დავალების შესრულება ევალება სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთან, პრაქტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსი, პრაქტიკის აღნიშნული მოდელი გამჭოლად უნდა გასდევდეს პროგრამას და მას ინტენსიური ხასიათი უნდა გააჩნდეს;
13. სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩაშენდეს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად სტუდენტის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური წერითი საშინაო დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია ან საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო კომპონენტად დაემატოს საბაკალავრო ნაშომი, თუნდაც ისეთი არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე, როგორიცაა საქართველოს ისტორია, ლათინური ენა, ლოგიკა, პოლიტოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია და რომლებიც მონაწილეობას არ ღებულობენ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში.
14. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, უსდ-ის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული მეთოდების, ასევე კვლევითი პროექტის შემუშავებისა და პრეზენტაციის (ზეპირი, Power Point და სხვა) მეთოდის გამოყენებას.
15. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა გაითვალისწინონ თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და სტუდენტთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, მათ შორის ისეთი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, როგორიცაა პრაქტიკული დავალება, ტესტი, ღია კითხვა, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა.
16. რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
17. რეკომენდირებულია უსდ-მ ბიუჯეტში კონკრეტულად განსაზღვროს/გამოყოს მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობა.
18. რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) ხორციელდებოდეს;
19. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რეკომენდირებულია, მონაცემთა, მათ შორის, პროგრამის სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისათვის გამოყენება.

20. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით;
21. რეკომენდირებულია, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მინიმუმ ყოველწლიურად ხორციელდებოდეს; პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდირებულია, სამართლის საბაკალავრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მიღებული შედეგები გაანალიზდეს და ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, საბაკალავრო სამართლის პროგრამის მიზნების შემუშავება, უფრო მეტად, პროგრამულად რელევანტური ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევასა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების ანალიზზე დაყრდნობით განხორციელებულიყო.
2. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის მიზნების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა.
3. პროგრამის შედეგების მიღწევადობისა და შეფასების პროცესის გამარტივების მიზნით, სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგები მცირედად შემცირდეს;
4. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის შედეგების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა;
5. სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელებულიყო;
6. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, მეტწილად იცნობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა, სასურველია, მათი ხელახალი ინფორმირება მას შემდეგ, რაც ხსენებული მექანიზმები გადაისინჯება.
7. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ინტერნაციონალიზმის ხელშეწყობის მიზნით, სასურველია 5-8 სასწავლო სემესტრების ფარგლებში სტუდენტებს უცხოურ ენაზე შეთავაზოთ არჩევითი სასწავლო კურსები, ხოლო ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს უცხოენოვანი ლიტერატურით სწავლებას.
8. სასწავლო კურსი „საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“ ორიენტირებულია მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკის სწავლებაზე. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდიკა“. ამასთან, სასწავლო კურსი „სასამართლო უნარ-ჩვევები“ თემატურად მოიცავს მხოლოდ სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვასთან მიმართებაში. შესაბამისად, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“;
9. სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით არჩევითი სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT)“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;

10. როგორც სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო რესურსების ანალიზმა ცხადყო, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსები განახლდეს ან/და შეივსოს თანამედროვე ან/და უახლესი სასწავლო რესურსებით. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: ა. სასწავლო კურსი „სანივთო სამართალი“ (თ. ზარანდია, სანივთო სამართალი, თბ., 2019); ბ.სასწავლო კურსი „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“ (მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2018); გ. სასწავლო კურსი „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ (რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2019); დ. სასწავლო კურსი „შრომის სამართალი“ (დ. ძამუკაშვილი, შრომის სამართალი, მე-5 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2019; პ. ბელთაძე, რ. ლიპარტელიანი, შრომის კოდექსის კომენტარები, თბ., 2018. ზ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბ., 2020); ე. სასწავლო კურსი „საკორპორაციო სამართალი“ (ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბ. 2019); ვ. სასწავლო კურსი „საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი“ (ა. დემეტრაშვილი, გ. გოგიაშვილი, კონსტიტუციური სამართალი, მე-2 გადამუშავებული და განახლებული გამოცემა, თბ., 2020; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, ვ. გონაშვილი, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ი. კახიძე, გ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭიღლაძე, თბ., 2020); ზ. სასწავლო კურსი „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ (კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2020; ვ. გონაშვილი, ლ. დარბაიძე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა), თბ., 2019); თ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ (სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მე-4 გამოცემა, ავტორთა ჯგუფი ; რედ.: გურამ ნაჭყებია, ნონა თოდუა, თბ., „მერიდიანი“, 2019); ი. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“ (სისხლის სამართლის სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-7 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2019; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, მე-6 გამოცემა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, რედ. გ. მამულაშვილი, თბ., 2020; თ. გეგელია, ი. კელენჯერიძე, ბ. ჯიშკარიანი, სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ თბ., 2020; ი.დვალიძე, ლ.ხარანაული, გ.თუმანიშვილი, ,კ.წიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, თბ., 2019); კ. სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“ (თ. გეგელია, გ. დავითური, გ. იმნაძე, გ. მახარაძე, ბ. ჯიშკარიანი, ნარკოტიკული დანაშაული, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2020); ლ. სასწავლო კურსი „ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა კერძო სამართალში“ (მ. ბიჭია, ხელშეკრულების ფორმები კერძო სამართალში, თბ., 2019).

1. სასურველია უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.

1. სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი

აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

2. სასურველია, უსდ-მ გადახედოს შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასებება) მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვროს იმგვარად, რომ მათი ჯამი მინიმუმ 41 ქულას (FX) იძლეოდეს.
3. სასურველია, სასწავლო კურსის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებითა და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, სასწავლო კურსის სილაბუსით უშუალოდ განსაზღვროს როგორც შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი 100 ქულიანი შეფასების ფარგლებში, ასევე შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და აღნიშნული საკითხი ამ დონეზე არ იყოს სტანდარტიზირებული უსდ-ის მიერ.
4. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა იზრუნოს კურსდამთავრებულების მიღწევების, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების, დასაქმების, სწავლის გაგრძელების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაზე. ეს გახდება საფუძველი ოფიციალური სტატისტიკის გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავებისთვის, რაც წარმოაჩენს უსდ-ს სუსტ და ძლიერ მხარეს. კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაცია წარმოადგენს პროგრამის განვითარების მნიშნველოვან საფეხურს.
5. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასება გაიმიჯნოს ხარისხის გარე შეფასებამონიტორინგისაგან.
6. სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელდეს.

გადაწყვეტილება:

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2} მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6} მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერსსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 1 წლით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვით-შეფასებას განახორციელებს.
2. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა გადაიხედოს;
3. რეკომენდირებულია, თვითშეფასების ანგარიშის ყველა სავალდებულო პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებელი სრულფასოვნად იქნეს შევსებული;
4. პროგრამის სწავლის შედეგის ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში, რეკომენდირებულია, სწავლის ყველა შედეგი ე.წ. აქტიური ზმების ფორმატში, ბლუმის ტაქსონომიით განსაზღვრული საფეხურების მიხედვით იქნეს წარმოდგენილი.
5. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგი ცოდნა/გაცნობიერების ნაწილში პირდაპირ არ იმეორებდეს სამართლის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ შედეგებს, მორგებული იყოს პროგრამაზე და ითვალისწინებდეს მის ინდივიდუალიზმს. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რომლის შემდგომ ეტაპზეც შეიქმნება თვითშეფასების ჯგუფი და დამტკიცებული პროგრამის თვით-შეფასებას განახორციელებს;
6. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მექანიზმის დონეზე სწორად არის გაწერილი, ასევე, სწორად იქნეს გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენაში, სამიზნე ნიშნულების დადგენასა და მონაცემთა შეგროვება-შეფასების პროცესში.
7. რეკომენდირებულია, კურუკულიმის რუკაზე სწორად და სრულყოფილად განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც გადის პროგრამის სწავლის შედეგებზე და ის დონეც, თუ რომელი რა დონით ავითარებს ამა თუ იმ სწავლის შედეგს;
8. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სამიზნე ნიშნულები და თითოეული სწავლის შედეგისათვის ხელახლა დადგინდეს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, განხორიელდეს მონიტორინგი და მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადრება.
9. რეკომენდებულია, უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდიფიცირება იმ თვალსაზრისით, რომ მათმა ერთობლიობამ უზრუნველყოს ასევე სამოსამართლო ეთიკის წესების, ქართული სამართლის ევროპეიზაციის საკითხების, შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის სწავლება;
10. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები „საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, „ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, „მოწმის დაკითხვის მეთოდები სისხლის

სამართლის პროცესში“ მოდიფიცირებული იქნეს თემატიკის შესატყვისი კონკრეტული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიმართულებით და აღნიშნული სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკიდან გადატანილი იქნეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში.

11. რეკომენდებულია, უსდ-მ პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში დააზუსტოს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, ვინაიდან შეუძლებელია სტუდენტი შუალედურ გამოცდას აბარებდეს 10 საკონტაქტო საათის განმავლობაში ან პრაქტიკის შეფასებას ახდენდეს 12 საკონტაქტო საათის განმავლობაში;
12. რეკომენდებულია, სპეციალობით დასაქმებული სტუდენტები (მაგალითად, ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი, იურიდიული სამსახურის თანამშრომელი და ა.შ.), რომლებსაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალით გააჩნიათ იურისტის პრაქტიკული უნარები, განთავისუფლდნენ პრაქტიკის კომპონენტისაგან და მათ მიერ სავალდებულო კრედიტების დაგროვება განხორციელდეს სხვა ალტერნატიული მექანიზმით, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კურსების ხარჯზე;
13. რეკომენდებულია, უსდ-მ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დააზუსტოს სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები ისე, რომ მათი ჯამი შეადგენდეს 750 საათს (30 ECTS).
14. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს დაცული სამაგისტრო ნაშრომების სრული აღრიცხვა, რათა გარე შემფასებლებს მიეცეთ მათი ანალიზისა და ობიექტური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა;
15. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით გათვალისწინებული ყველა საჭირო მაჩვენებელი უსდ-ის მიერ ასახოს სრულად, რათა გარე შემფასებლებს გააჩნდეთ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ანალიზისა და სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა.
16. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა, მათ შორის, უარყოფით შეფასების სამართლებრივი შედეგები.
17. სამართლებრივად გაიწეროს ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები.
18. დარეგულირდეს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები ნათლად და გარკვევით; გაიწეროს რეცენზენტის მიერ გაცემული დასკვნის სამართლებრივი შედეგი.
19. რეკომენდირებულია ხარისხის კონტროლის მიზნით სტუდენტთა გამოკითხვისთვის განკუთვნილ დროდ შეირჩეს სემესტრის ბოლო, ფინალურ გამოცდამდე შუალედი და უსდ-მ უზრუნველყოს ამ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
20. რეკომენდირებულია უსდ-მ ბიუჯეტში კონკრეტულად განსაზღვროს/გამოყოს მოწვეული/აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ფინანსური რესურსი და უზრუნველყოს საერთაშორისო კონფერენციებში გასვლითი მონაწილეობის შესაძლებლობა.
21. რეკომენდირებულია, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი პერმანენტულად (წლების განმავლობაში უწყვეტად) ხორციელდებოდეს;
22. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რეკომენდირებულია, მონაცემთა, მათ შორის, პროგრამის სტატისტიკური/რაოდენობრივი მაჩვენებლების, სწორად განსაზღვრა, შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარებისათვის გამოყენება.
23. რეკომენდირებულია, გარე ხარისხის შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა თუ გაუთვალისწინებლობის შესახებ მონაცემები თვითშეფასების ანგარიშში აისახოს.

24. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შემუშავება მოხდეს შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით;
25. რეკომენდირებულია, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მინიმუმ ყოველწლიურად ხორციელდებოდეს;
26. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, რეკომენდირებულია, სამართლის სამაგისტრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მიღებული შედეგები გაანალიზდეს და ანალიზის შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნების შემუშავება, უფრო მეტად, პროგრამულად რელევანტური ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევასა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებულიყო.
2. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის მიზნების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა.

1. პროგრამის შედეგების მიღწევადობისა და შეფასების პროცესის გამარტივების მიზნით, სასურველი, პროგრამის სწავლის შედეგები მცირედად შემცირდეს;
2. სასურველია, უსდ-მ უზრუნველყოს ახალი პროგრამის შედეგების ვებგვერდზე ხელმისაწვდომობა;
3. სასურველია, აკადემიური მოსწრების შედეგების კვლევა ბოლო წლების განმავლობაშიც განხორციელებულიყო;
4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, მეტწილად იცნობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა, სასურველია, მათი ხელახალი ინფორმირება მას შემდეგ, რაც ხსენებული მექანიზმები გადაისინჯება.
5. სასურველია უსდ-მ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დააზუსტოს B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატები და ქულები.
6. სასურველია, სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი შეასრულოს სამართლის იმ მიმართულების ფარგლებში, რომლის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზეც დაგროვილი აქვს მინიმუმ 18 კრედიტი.
7. იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება არა მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნის საფუძველზე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს არჩევითი სასწავლო კურსები შეეთავაზოთ სხვა, მათთვის რელევანტურ, უცხოურ ენებზეც;
8. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია სასწავლო კურსების სასწავლო რესურსებში მეტი ყურადღება დაეთმოს უცხოენოვან ლიტერატურას, მათ შორის სამართლის სფეროს უახლეს უცხოენოვან კვლევებსა და მიღწევებს.
9. სასურველია, უსდ-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმში და ხელშეკრულებებში დეტალურად აღწეროს, როგორც მიმღებ დაწესებულებაში მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა, ასევე პროფესიული პრაქტიკის მიზანი და პრაქტიკის ხანგრძლივობაც;
10. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის ნაცვლად უსდ-მ შეიმუშავოს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის

დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა, შეფასების კრიტერიუმები, ასევე ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროცესები, მათ შორის, ხელმძღვანელის მხრიდან კვლევის მიმდინარეობაზე პერიოდული ზედამხედველობისა და სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდების პროცედურები. შემუშავებულმა წესმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სამართლის აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობა, მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზების შემუშავება, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა, კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის შემუშავება;

11. სასურველია, უსდ-ის მიერ სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებში დაკონკრეტდეს, რომ იგი შეიძლება იყოს მხოლოდ სამართლის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, რომელსაც გააჩნდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. ამასთან, დეტალურად უნდა გაიწეროს სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მეცნიერხელმძღვანელის ვალდებულებებიც;
12. სასურველია, უსდ-მ კიდევ უფრო გააუმჯობესოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული პროექტების/გრანტების თაობაზე სტუდენტთა დროული ინფორმირება.
13. სასურველია უსდ-მ გააძლიეროს მონიტორინგი პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლა/სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი სწავლება;
14. სასურველია უსდ-მ დახვეწოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი თუ კვლევითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).
15. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა/ მოწვეულმა პერსონალმა შეფასების კომპონენტებში ასევე ფართოდ გამოიყენონ შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრაქტიკული დავალების შესრულება, ტესტი, ღია კითხვა, იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა და სხვა;
16. სასურველია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს საშუალება დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობაში, სასურველია, შედიოდნენ როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადმიური და მოწვეული პერსონალი, ასევე - გარე ექსპერტებიც.
17. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა უნდა იზრუნოს კურსდამთავრებულების მიღწევების, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების, დასაქმების, სწავლის გაგრძელების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვებაზე. ეს გახდება საფუძველი ოფიციალური სტატისტიკის გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავებისთვის, რაც წარმოაჩენს უსდ-ს სუსტ და ძლიერ მხარეს. კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაცია წარმოადგენს პროგრამის განვითარების მნიშნველოვან საფეხურს.

18. უსდ-ს ხარისხის სამსახურმა გამოიკვლიოს საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებლის მკვეთრად კლების მიზეზი და მიიღოს აღმოფხვრისთვის საჭირო ზომები.
19. სასურველია, გარე კოლეგიალური შეფასება გაიმიჯნოს ხარისხის გარე შეფასებამონიტორინგისაგან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 22:18 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ